



ომინდე (იონანე) ივანეს ძე კორძია  
დაიბადა 1912 წლის 16 მაისს.  
დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ იფარის  
სკოლაში, სხვადასხვა დროს მუშაობდა საგზაო  
მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში  
„ლესპრომხოზი“, ოქროს წარმოებაში –  
„ტორგსინების“ არსებობის დროს  
ოქროს ეძებდნენ ენგურში.  
უყვარდა კითხვა, შქონდა მდიდარი  
ბიბლიოთეკა, კარგად იცოდა ხუცური,  
იყო საუკეთესო მედიატორე და  
ზედმინეენით იცნობდა სვანურ ადათებს  
და წეს-ჩვეულებებს.  
გარდაიცვალა სიმღერით 1986 წლის 8 აგვისტოს.

ISBN 978-99940-28-40-5



ომინდე (იონანე) კორძია სვანური ამბები 1920–1960-იანი წლები

ომინდე (იონანე) კორძია

# სვანური ამბები

1920–1960-იანი წლები

ლიბრარუმის მუზეუმი  
Literature Museum



ლიბრატურის  
Literature Museum



მუზეუმი

© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის  
სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 2016

**Ominde (Ioane) Kordzaia, Svanetian Stories (1920–1960s)**

© Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature  
Tbilisi 2016

მისამართი: გიორგი ჭანტურიას ქუჩა 8

ტელ.: +995 32 293 20 45

[www.literaturemuseum.ge](http://www.literaturemuseum.ge)

[info@literaturemuseum.ge](mailto:info@literaturemuseum.ge)

გამომცემელი:

ლაშა ბაქრაძე

რედაქტორი:

ანა კორძია-სამადაშვილი

ფოტოები:

უილიამ ოზგუდ ფილდ

დაკაბადონება და დიზაინი: ფატი გაგულია

დაიბეჭდა სტამბაში *კოლორი*

ISBN 978-99940-28-40-5

ოზინდე (იონანე) კორძია

# სვანური ამბები

1920–1960-იანი წლები

სვანურიდან თარგმნა და კომენტარი დაურთო  
არსენ კორძია



## კოკინაი

გვყავდა ოჯახში ძალიან ლამაზი თეთრი ჯორი. არ მახსოვს ზუსტად, საიდან გაჩნდა ის ჩვენს სახლში. მგონია, ბალსქვემოურ სვანეთიდან მოიყვანა მამამ.

ჯორი სასტიკად ავი ზნისა იყო. უმიზეზოდ დაერეოდა საქონელს და კბენდა. არც ხარებს ეპუებოდა. ნაიღებდა უკან ყურებს, დაკრეჭდა კბილებს და დაედევნებოდა საქონელს და გარეშე ადამიანებსაც. ოჯახის წევრებს ისე არ ერჩოდა, მაგრამ ხანდახან შინაურებსაც კბენდა. გახედნილი იყო, მაგრამ ზურგზე არავის შეისვამდა, ჩემ გარდა. ზამთარში თივას მე ვუყრიდი, ნყალზე მე ვუშვებდი და, ალბათ, მე მთვლიდა პატრონად.

საოცარი კარგი სვლა ჰქონდა. სუფთა თოხარიკი იყო. სოფლის სვიფში (კომენტ. 1) ხშირად მომიგია ნიძლავი. ცხენებს სჯობნიდა სისწრაფეში. უკვირდა ყველას, ისეთი სვლა იცოდა. ზედ როცა ვაჯექი და ნებაზე ვუშვებდი, აუცილებლად თოხარიკით მიდიოდა. არ ვინძრეოდი ზურგზე, მაგრამ რატომღაც თვალები მებინდებოდა და ცრემლი წამსკდებოდა ხოლმე. ცხენზე ეს არ ემართება ადამიანს.

ერთ კვირადღეს გადავწყვიტე სოფელ კალაში წასვლა. იქ მამიდა იყო გათხოვილი, მასთან უნდა წავსულიყავი. შევკაზმე კოკინა – ასე ერქვა ამ ჯორს, შვრია დავუდგი გობით – დამიმახსოვრებს-მეთქი. ჭამას რომ მორჩა, შევაჯექი და გავწიე კალისკენ.

კალის გზაზე, დაახლოებით შუა ნაწილას, უდუმბურაღს რომ ეძახიან, აქ ვნახე მეზობელ სოფელ იელიდან მოსული ვაჟკაცები. ისინი სამანქანე გზას ასუფთავებდნენ. კვირა დღე იყო, და ამ დღეს სვანეთში უქმობენ. თავის სახლში, ყანასა და სათიბში ამ დღეს არავინ მუშაობს – უბარაქოაო, ამბობენ. მაგრამ იელიდან ეს კაცები ბეგარაზე (კომენტ. 2) იყვნენ წამოსული.

მივუახლოვდით. ძალიან შეაქეს ჩემი ჯორის სვლა და ერთმა მათგანმა, კერძოდ, ისაყ ხვიბლიანმა, მოისურვა ჯორზე შეჯდომა.

მე ვუთხარი: ისაყ, ამას ჩემ გარდა ვერავინ შეაჯდება, არავის შეიჯენს, ტყუილად ნუ ჩამომიყვან-მეთქი ჯორიდან. მოგიკვდეს ისაყი, შენ თუ აჯდები და ზედ რჩები, მე რა უნდა დამემართოს ისეთი, შენს ჯორს ვერ შევაჯდეო. მაშინ დავნიძლავდეთ-მეთქი, თუ შენ შეაჯდები ჩემს ჯორს და გაატარებ, მე ათ ბოთლ არაყს ვკისრულობ-მეთქი. თუ ვერ შეაჯდები და ვერ გაატარებ, ეს ათი ბოთლი შენ იკისრე-მეთქი. მივეცი ერთმანეთს ხელი. ხელი ზაქარ სამსიანმა გადაგვიჭრა და თან დააყოლა: იყოს ისე, როგორც დათქვითო.

ჩამოვქვეითდი, მაგრამ აღვირი ისევ ხელში მეჭირა, არ ვჩქარობდი ისაყისთვის მის მიცემას. ბოლოს ისაყის ძმა იროდიმაც მითხრა: რაკი არ იშლის თავისას, მიეცი აღვირიო. ისაყი ისევ გავაფრთხილე: ველური-ვითაა-მეთქი ჩემი ჯორი და რაიმე მარცხი არ შეგამთხვიოს-მეთქი.

– შგედის ბაპივით სულ ზედ აზიხარ ამ ჯორს, შენთვის არაფერი შეუშთხვევია, რალა მე დავაჩაგვრინებ შენს ჯორს ჩემს თავსო.

შგედი სოფელია ქვემო სვანეთში. იქ მართლა ყოფილა მღვდელი, გვარად გაბიანი. ჩემი თაობის ხალხს



თავისუფალი სვანეთი. ლხინი სოფელში  
1929 წელი

არ ჰყავდა ნანახი, მაგრამ გაგონილი ყველას ჰქონდა. ძალიან ენამოსწრებული და ენაკვიმატი კაცი ყოფილა, სულ თავისფერ ჯვრით მოგზაურობდა თურმე. ამ შგედი ბაპგლდს – შგედის მღვდელუკას რომ შემადარა, მენყინა. არ შევიმჩნიე, მაგრამ აღვირი კი მივეცი. მე შევერიე სხვა კაცებს და დავდექი შორიახლოს.

ისაყმა აღვირი უკან გადაწია, უნაგირის წინა ტახტას ჩამოაცვა, ავჟანდში ფეხი შეყო და ძალიან სხარტად მოექცა ჯორს ზურგზე. ისაყი მოქნილი და სხარტი ბიჭი იყო. ჯორი თითქოს ვერ მიხვდა, რა მოხდა მის თავს. გარინდული იდგა მანამ, სანამ ისაყმა აღვირი არ ამოქაჩა და გვერდებში ქუსლები არ ჰკრა. თავის აწევის მაგივრად ჯორმა ყურები უკან გადაწია, დრუნჩი თითქმის მიწაზე დააბჯინა და უკან ფეხები ჰაერში ის-



როლა. ისე მალლა ახტა უკნიდან, რომ მეგონა, ჰაერში ამოტრიალდებოდა და წინ დაეცემოდა ზურგზე.

არ დაცემულა, მეორედაც ახტა და სვეტივით სწორად დადგა წინა ფეხებზე. არათუ კაცი, ობობაც ვერ დამაგრდებოდა მის ზურგზე. ისაყი გადმოვარდა უნაგირიდან, მარჯვედ გამოიღო მარჯვენა ფეხი უზანგიდან, მაგრამ მარცხენა ფეხი უზანგში დარჩა. ჯორი სასწრაფოდ შემოტრიალდა, პირი დასავლეთისკენ ჰქნა – იქითკენ, საიდანაც მოვდიოდით – და დაოთხილი გაიჭრა წინ. ისაყს ფეხი უზანგში ედო, ხელებს მინაზე უსვამდა, რათა სახე დაეცვა, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო. გზა ქვიანი და უსწორმასწორო იყო. საშიში იყო სახის მთლიანი მოშლა-წახდენა.

ჩვენდა საილბლოდ, ერთ-ერთი ამხანაგი, იესე ხვიბლიანი, მოშორებით, ბურქებში იყო შესული. როცა დაინახა, როგორ თავანყვეტილი გარბოდა ჯორი და თან ისაყსაც მიათრევდა, გამოხტა ბურქებიდან, ნაავლო ტოტის ნატეხს ხელი და წინ გადაუდგა ჯორს. მოახერხა აღვირის დაჭერაც და მანამ ურტყა ტოტის ნატეხი ჯორს ცხვირ-პირში, სანამ მისი გაჩერება არ შეძლო.

მივცვივდით ყველა. ისაყს სახე და ხელები სულ გასისხლიანებული ჰქონდა, შარვლის ცალი ტოტიც – გახეული. ეტყობა, ქვას ან ხის ძირკვს წამოედო. იქვე, ხეზე, გარე ტანსაცმელი ეკიდათ მუშებს. ჩამოხსნეს ერთი პალტო და ზედ დაანვინეს ისაყი. ერთი ამხანაგი ჩავიდა მდინარეზე წყლის ამოსატანად.

– ახია შენს თავს, – უთხრა რაჟდენმა, ძმამ, – გითხრა ომინდემ, გაგაფრთხილეთ ჩვენც, შენი არ დაიშალე და ახლა გქონდეს ის, რაცა გაქვს.

– ცუდად მოიხმაროს ომინდემ მისი ჯორი და სახლსამყოფელი (ქორ ი ლირდე), – ჩაიბუტბუტა ისაყმა.

მე არაფერი მითქვამს. კარგა მანძილი ფეხით გა-  
ვიარე და როცა მათ თვალს მოვეფარე, შევვხეი ჯორ-  
ზე. კალაში დიდხანს არ დავრჩენილვარ. გულში ნა-  
ლექად დამრჩა მომხდარი. უკან რომ წამოვედი, ვნახე,  
ისაყიც სხვებთან ერთად მუშაობდა. ძალიან გამიხარ-  
და, რომ კარგად იყო. გავეხუმრე კიდევაც: პირობაზე  
როგორა ხარ? ექვსი ბოთლი მარტო იესეს ეკუთვნის-  
მეთქი შენგან. ექვსად გაიჭერით შენც და შენი ჯორი-  
ცო, მიპასუხა ისაყმა.

რაუდენმა მითხრა, ეს არაფრის მყიდველია, ახლა  
ცუდ გუნებაზე არისო. მე, რა თქმა უნდა, სულ არ მაინ-  
ტერესებდა, იყიდდა თუ არა ისაყი ნიძლავეში ნაგებულ  
არაყს. დაველაპარაკე მხოლოდ იმისთვის, რომ გამე-  
გო, ნაწყენი იყო თუ არა. შევატყვე, რომ უხალისოდ  
მელაპარაკებოდა, არ სურდა ჩემთან საუბარი. მეტი აქ  
ლაპარაკი უადგილო იყო. არც არაფერი მითქვამს.

წამოვედი სახლისკენ. სოფელ ბოგრეშში ვიყიდე  
ქურდიანის ქალისგან ათი ბოთლი არაყი (სვანური  
არაყი). ჩემს მოგვარეებს შევეხმიანე, ყველი, პური და  
ბოსტნეული იმათ მომცეს. იქვე სახერხი დაზგა იყო  
მონყობილი, დახერხილი ფიცრებიც ეწყო და მორებიც  
ელაგა. შევუდექი სუფრის განყოფას.

სვიფში ბევრი კაცი ირეოდა – კვირა იყო და ხალხი  
მოცლილი იყო. მკითხეს, ამას რას აკეთებო, ომინდე.  
ვუთხარი, რომ საპატიო ხალხმა უნდა ჩამოიაროს-  
მეთქი და მინდა პატივი ვცე. დაუძახეს ბავშვებს, მოა-  
ტანინეს სახლებიდან ვის – ყველი, ხორცი, არაყი, ვის  
– პური, მწვანე ხახვი, და გაიშალა სახელდახელოდ  
კარგი სუფრა.

სოფელი იელი აქედან ექვსი-შვიდი კილომეტრი-  
თაა დაშორებული, ამიტომ მუშები აქ მზის ჩასვლამ-

დე გამოივლიდნენ – ეს ვიცოდი. მართლაც, სუფრის გაშლას მოვრჩით თუ არა, ისინიც მოვიდნენ. მე შევეგებე და სუფრისკენ გავუძეხი. ხალისიანი ჟრიამული ატეხეს – ეს რა გიქნიაო. მე ისაყს ვადევნებდი თვალს, რას იზამს-მეთქი. ისიც, ყოველგვარი პატიჟის გარეშე, ხალისიანად მიუჯდა სუფრას. გამიხარდა, სიმართლე გითხრათ.

სუფრას მე გავუძეხი. რაც მოხდა, ამაზე არც მე და არც სხვებს სიტყვა არ დაგვიძრავს. ვუმასპინძლებოდი ახლობელ ხალხს ისე, როგორც ისინი მიმასპინძლებოდნენ მაშინ, როცა სოფელ იელიში მოვხვდებოდი ხოლმე. ყველა მათგანი ჩემთვის ძვირფასი და ახლობელი იყო.

როცა შემოსალამოვდა, ბესარიონ გულბანის სახლიდან გამოიტანეს სამფეხა საკვარე. ასეთივე საკვარე მოიტანეს კიდევ რომელიღაც ოჯახიდან. სახერხ დაზგასთან ბევრი ნაფოტი ეყარა, შეაგროვეს ეს ხმელი ნაფოტები და გააჩაღეს ცეცხლი ამ საკვარეებზე. მაშინ სვანეთში ელექტროგანათება არ იყო, მაგრამ ისე განათდა იქაურობა, რომ ნემსზე ძაფს ააგებდა კაცი.

ვმღეროდით, ვცეკვავდით მოზრდილებიც და მოზარდებიც. დიდი ხანი რომ ემზადოს ადამიანი, ასეთ საზეიმო განწყობას ვერ შექმნი. თავისით გამოვიდა ეს ყველაფერი.

ახლა მე 72 წლისა ვარ. იესე რამდენიმე წლითაა ჩემზე უფროსი. რომ შევხვდებით ერთმანეთს, ვიგონებთ იმ შემთხვევას.

– მუხლებზე მქონდა შარვალი, ჯორი რომ გავაჩერეო, – იცინის იესე.

ეს მაშინ არავის შეგვიმჩნევია.

## მკვლელობა უმიზეზოდ

სვანები ასე მიიჩნევენ: ცუდს თუ გააკეთებ, ის შენ წინაც გაგიძღვება და უკანაც დაგედევნებაო.

როდის მოხდა ეს ამბავი, მე არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს და ჩემს თავზეც ვინწინე ის, რაც ამ საქმეს მოყვა. მოუფიქრებელმა საქციელმა ორი გამოუცდელი კაცისა, ლამის სამუდამოდ გადაკიდა ერთმანეთს ბალსქვემოური და ბალსზემოური სვანეთი.

ადრე სვანეთში ცხოვრება ძალიან ჭირდა. არ იყო გზა, არ იყო იმის საშუალება, რომ ადვილად წასულიყავი ან სამეგრელოში, ან იმერეთში და გემოვა სარჩო, გემოვა ტანსაცმელი და სხვა რამე, რაც ოჯახს სჭირდება.

ასეთმა გაჭირვებამ აიძულა მულახელი გ. წასულიყო ზაფხულში ცაგერში – ენკენობაზე. ნაილო ზამთარში ნაშოვნი გარეული ნადირის ტყავები, თავისი ხელით გაკეთებული ხის ნაკეთობანი და გაცვალა ეს თოფის ტყვიებში. სულ 50 ცალში. მეტად გაუხარდა და წამოვიდა უკან, მაგრამ წამოვიდა არა მულახში, არამედ სხვა სოფელში. იცოდა, რომ ბალსქვემოურ სვანეთში ვაჟკაცებს იარაღი განსაკუთრებით უყვართ და იფიქრა, ფასსაც კარგს მომცემენო ტყვიებში.

მივიდა ერთ სოფელში. აქ მან ხმა გაავრცელა, რომ აქვს ტყვიები და გაცვლის სიმინდში, თუ ვინმე მყიდველი იქნებაო. მოხვდა ერთ ოჯახში, სადაც მას პატივი სცეს. კარგად გაუმასპინძლდნენ, არაყიც დააღვეინეს. ღამე აქ დარჩა. მასპინძლის ოჯახში ვაჟკაცებმა მოიაზრეს (ანსაზრეს), რომ ეს კაცი ხვალ მოვკლათ და ტყვიებში ფასიც არ იქნებაო მისაცემი. ბალსზემოური სვანის მოკვლასაც არაფერი მოჰყვებაო.

მეორე დილას სტუმარი ადგა და შეახსენა მასპინძლის ვაჟკაცებს – ყიდულობთ თუ არა ტყვიებსო. ამათ უარი უთხრეს – არ ვყიდულობთო ტყვიებს. მულახელს ეჭვი შეეპარა და უთხრა ძმებს, რომ იაფად მოგცემითო. მათ ამაზეც უარი უთხრეს. გამოუდგა გზას ძალიან დაეჭვებული. გაიხსენა, რომ ნუხელ ეს ძმები რალაცაზე დიდხანს კამათობდნენ.

ბოლოს ამ ძმებმაც აიღეს თოფი. მამამ დაინახა, როგორ აიღეს ძმებმა იარაღი და გამოჰყვა მათ. ძალიან უშლიდა, არაფრით ანებებდა წასვლას, მაგრამ ძმებმა თავისი არ დაიშალეს – ნუ გეშინია, მუჟაბირის (კომენტ. 3) მოკვლას არაფერი მოჰყვებაო.

ამ სოფელში გამოთხოვილი იყო მულახელი ქალი. დილაზე, როცა საქონელი გადენა, ყური მოკრა ამ ოჯახში ატეხილ ხმაურს (მიჰმანს).

ამ დროს ძმები უკვე გამოუდგნენ მულახელს. განიუქციეს და წინ გაასწრეს. სადაც ყველაზე ხშირი ტყე იყო, იქ წინ დაუხვდნენ. ესროლეს თოფი, მოკლეს, ტყვიები წაართვეს და მკვდარი ღრმად ტყეში წაიღეს და ყველაზე ხშირ ტევრში დააგდეს.

მულახში ელოდება ცოლ-შვილი, მთელი ოჯახი. რაკი არ გამოჩნდა, მთელ სოფელს მოედო მისი არდაბრუნების ამბავი. დაუნყო სოფელმა ძებნა, ყველგან ეძებნენ. ბოლოს იმ ქალმა, რომელიც შეესწრო მამისა და შვილების ამბავს, უამბო ყველაფერი. მულახელებმაც ლატალსა და ცხუმარს შორის დაუნყეს დაკარგულს ძებნა და ბოლოს და ბოლოს იპოვეს უღრან ტყეში დაგდებული.

წამოიღეს მიცვალებული. დიდი პატივითა და ზარით დაკრძალეს. როცა სულის საქმეს მორჩნენ, მოი-



მოგზაურები სვანეთის მთების ფონზე  
1929 წელი

ყარა თავი მოკლულის გვარმა, ასულ-ბადიშებმა (ჰას-ვიმ ნიბჰშინ), ახლო და გარე ნათესავებმა და დაინყეს ბჭობა იმის შესახებ, თუ როგორ იძიონ შური. მოკლულის საგვარეულო სვანეთში განთქმული იყო როგორც კარგად შეკრული გვარი, ერთმანეთის ჯინის დამჭერი (ჯილი მგგჭე). ყოველთვის ჰყავდათ ძალიან კარგი ვაჟკაცები საიმედო ყველა საქმეში.

გვარი სასტიკი შურისძიების მომხრეა. ამონყვეტა და საცხოვრებელის გადანვა ეკუთვნითო ჩვენგან – ასეთია გვარის განზრახვა. ამას განსაკუთრებით ახალგაზრდები და ასულ-ბადიში მოითხოვს. ბოლოს ახალგაზრდებს აჩუმებს და თვითონ ამბობს სიტყვას გვარის უფროსი (გვარი მახვში), მთელ ხეობაში განთქმული თავისი ქუა-გონებით, გამჭრიახობითა და სამართლიანობით.

იგი ამბობს, რომ საცხოვრებლის გადანვა და ბევრის დახოცვა გვარს სირცხვილად მოუვა. საჭიროა, მოკლულ იქნას ის ორი, ვინც დახვდა ტყეში და ესროლა. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მკვლელობას შეეწინააღმდეგა უფროსი – მკვლელების მამა. გამოდის, რომ ეს მკვლელობა არ იყო ჭკვიანთა მიერ მოფიქრებული. ის გამოუცდელმა, ცხოვრების არმცოდნე უმცროსებმა (უხლა-ულღედა ხოხვრალე ნაჩომ ლი) ჩაიდინეს. ამაზე მეტყველებს იმ ქალის სიტყვები, რომელიც შეესწრო მამა-შვილების ლაპარაკს. მახვშიმ ისიც უთხრა, რომ საქმეს დაკვირვებითა და აუჩქარებლად უნდა მიყვებოდა, კარგად გავიაზროთ თითოეული ნაბიჯი, ზუსტად დავადგინოთ, ვინ არიან მკვლელები, ღმერთმა დაგვიფაროს, უდანაშაულო არავინ შემოგვაკვდესო.

სისხლის ამღებად აირჩიეს ხუთი მაგარი ვაჟკაცი, ისინი უნდა წასულიყვნენ და ეძიათ შური. დაიწყეს იარაღის შექმნაზე ზრუნვა. მალე იშოვეს. ნავიდნენ დასავლეთით, მთლიანად ტყით იარეს და მიაღწიეს ლაბსყალამდე. აქ გულდასმით დაიმაღლნენ, ორმა ქალის ტანისამოსი ჩაიცვა და ჩავიდა იმ სათიბის სათავესთან, სადაც ორი კაცი მინდორს თიბავდა. მათი აზრით, ისინი უნდა ყოფილიყვნენ მკვლელები. ეკითხებოდნენ ყველა გამვლელ-გამომვლელს, ვინ არიანო ეს მთიბავები, სახელებიც გაიგეს და როცა დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად ისინი იყვნენ, ვისაც ეძებდნენ, ამოვიდნენ და უთხრეს თანმხლებთ. მათ გაუხარდათ, რომ ზუსტად გაიგეს ამბავი.

დაათვალიერეს გარემო – საიდან ჯობია სროლა, რომელ კუთხიდანაა უკეთესი გასაქცევი და საიდან უფრო ადრე შეერევინ ტყეს, რომ მღვეარმა ადვი-

ლად არ დაინახოს გაქცეულები. დაადგინეს, საიდან სჯობდა გასროლა და ჩაუსაფრდნენ. ამ დროს ქალებმა მოიტანეს საჭმელი. ქალებს ორი ბავშვიც ახლდათ. ამან ჩასაფრებულთა გეგმა დროებით ჩაშალა. ქალებისა და ბავშვების თანდასწრებით სროლა და, მით უმეტეს, მკვლელობა, ძალიან საძნელოა და დაუშვებელი. ყველაფრისათვის მტერიც არ იმეტებს მტერსო – ასე ამბობენ სვანეთში.

სათიბ მინდორში დიდი მსხლის ხე იდგა. ამის ჩრდილში გაშალეს სუფრა ქალებმა. მთიბავებმა სვე გაიტანეს. ამოვიდნენ ზევით. ცელები მოთიბულ ბალახში ჩადეს და ხელების დაბანის შემდეგ მიუსხდნენ სუფრას. სადილობას რომ მორჩნენ, ერთი კაცი ქალთან და ბავშვთან ერთად განცალკევებულად იჯდა. რალაცაზე საუბრობდნენ. ჩასაფრებულები თვალს ადევნებენ და ელოდებიან მარჯვე შემთხვევას. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ ქალები და ბავშვები წავიდნენ. დარჩნენ მარტო მთიბავები. ერთი მათგანი ცელს დანვდა. ხელში ჩაქუჩი ეჭირა, როგორც ჩანს, ცელის გაკვერვას აპირებდა.

მულახელებს ერთი უფროსი კაცი, კარგი კაცი ახლდათ. ამან გააფრთხილა თანმხლები პირები, უთხრა, რომ პირველი მე ვესვრი, თუ შეატყოთ, რომ ტყვია მოხვდა, თქვენც ესროლეთ, თუ ტყვია ვერ მოვახვედრო, მერე თქვენ არ ისროლოთო. გადაინერა პირჯვარი ამ კაცმა და შეევედრა მულახის სალოცავს – „მულახის მთავარანგელოზო, დიდება შენ, თუ ჩვენგან ამათ მოკვლა ეკუთვნოდეთ, მოახვედრე ჩემი ნასროლი ტყვია, თუ არა – ააცდინე“. ესროლა თუ არა, მაშინათვე შეტორტიმანდა ის კაცი, ცელის გაკვერვას



რომ აპირებდა. ეს დაინახეს სხვებმა და ოთხივემ ისროლა. გამოირკვა შემდეგ, რომ არც ერთს ტყვია არ დაუცდენია – ერთს სამი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, მეორეს – ორი. მკვლელებმა ტყეს მისცეს თავი.

გაიგო სოფელმა და სახლში წაასვენეს მოკლულები. უბედური მამა მოთქმითა და თავში ხელებისცემით მიეგება შვილების ცხედრებს: „ოი მამაშუ ჟაბრე ცხვის ესერი ჩუ ხახლენა ლიდგარი“ (ოი, მამას შესაბრალონო, ბალსზემოურთა ტყვიასაც სცოდნია მოკვლა).

მკვლელები ტყით მიდიან აღმოსავლეთისაკენ. შემოეფლითათ ტანზე ტანსაცმელი და დაეხათ ფეხსაცმელებიც. შიმშილსა და წყურვილს ისიც დაერთო ზედ, რომ პირველ ხანებში ჯანიც გაუნყდათ (ლულა ოთხგარხ). სვანეთში ძველ ხალხს აქვთ ნათქვამი, რომ კაცის მოკვლა ადამიანს ჯანს აცლის. ამას ისინიც ადასტურებდნენ, ვისაც შურისძიების მიზნით ან სირცხვილის გასტუმრების (შგვირი ლიმშგვანე) დროს განგებ ჰყავდათ კაცი მოკლული. ასეთ დროს მკვლელს მღვევარი უფრო ადვილად დაეწევაო ხოლმე.

მულახელებმა, როგორც იქნა, მოაღწიეს ხეშკილამდე. აქ სოფელმა დიდი პატივი სცა. მერათბიმ და მისმა ძმამ ოჯახში დაპატიჟეს მულახელები და დიდი სუფრა გაუშალეს. მეორე დღეს შემოვიდნენ სოფელ იელიში. აქაც მთელი სოფელი შეიკრიბა, მოზვერი დაუკლეს მოსულეებს და შეუქეს საქციელი. ყველა მეუბირის მადლობა გეკუთვნით, რომ შეუბრუნეთ ჩვაბარს ხელი და დაანახვეთ, რომ ჩვენ არა ვართ მათზე ნაკლები.

შემოაღწიეს მუჟალში. ძალიან გაუხარდა სოფელს, მეზობლებს, ნათესავებს. შეიკრიბა მთელი სოფელი,



ჩალვადრები სვანეთის გზაზე  
1929 წელი

ჩენილი კაცები. ხალხს წარუდგა გვარის მახვში და მიმართა: ჩემო კარგო თანასოფლელო, კარგო ნათესავებო, ასულ-ბადიშნო! გვიხარია ჩვენი ვაჟკაცების უვნებელი დაბრუნება, გვიხარია სირცხვილისა და ჯავრის გასტუმრება (შგვირიშ ი ხერი ლიმშგვანე), მაგრამ ლხინ-ქეიფი აქ უადგილოა – ორი ადამიანია მკვდარი. რა თქმა უნდა, დიდი ცოდვაა ადამიანის მოკვლა, მაგრამ ჩვენ აქ სხვა გზა არ გვექონდა, ამჟამად უამისობა არ გვივარგოდა. არაფრად ჩაგვაგდეს და ტყუილ-უბრალოდ მოგვიკლეს კაცი. გადახარეს (ადკაცეს) და ობოლ-საბრალოთა სამყოფად აქციეს ოჯახი. ვინ ქრისტიანი იზამს იმას, რომ რაღაც ტყვიების გამო სიცოცხლეს გამოასალმო ვაჟკაცი – ოჯახის მარჩენალი. ახლა რასა გთხოვთ, მულახ-მუჟალის მკვიდრო, ამ ოჯახის სიკეთის მსურველო, თქვენ

იცით და თქვენმა ადამიანობამ, როგორ სიერთაგულეს გამოიჩინოთ ოჯახის მიმართ, როგორ მედგრად მოჰკიდებთ საქმეს ხელს. ასეთი რამ ბევრი გვახსოვს და გაგვიგონია. დროზე სჭირდება საქმეს მიშველება. გთხოვთ, დამშვიდებისაკენ ვაბრუნებინოთ საქმეს თავი (ლაშქრდათე ალყირნად გვეშს თხვიმ).

მახვშის შემდეგ ილაპარაკა ერთ-ერთმა იმან, ვინც ახალგაზრდებს ახლდა შურისძიების (ლანვერჟი) დროს. მან თქვა, კაცის მოსაკლავად ჩემი წასვლა ჩემთვის დიდი სირცხვილი და საძრახისი საქმეა, მაგრამ გამართლებაც აქვს – ძალიან აგვიგდეს, არაფრად მიაჩნიათ მუჟაბირის მოკვლა, პირიქით, სახელად და სატრაბახოდ მიაჩნიათ ის, ტოლად არ გვლებულობენ (ტველდ მანმა გვიკედხ), ზემოდან დაგვყურებენ. მე ყველაფერს ვაკვირდები, გავზომე და აწონე ეს საქმე და ვიტყვი, რომ ჩვენ აქეთ ვართ შესაბრალი (ლიმდ ლეჟრი). ზედმეტი ჩვენ იქ არაფერი გვიქნია. მე და ჩემ თანმხლებთ მაშინ რომ დაგვეწყო სროლა, როცა ქალები და ბავშვები იქ იყვნენ, მაშინ მართლა არ ამოგველებოდა ხმა, მაგრამ ეს ჩვენ არა ვქენით. ახლა გასარკვევი აქ არაფერია, ყველაფერი გარკვეულია, მხოლოდ საქმეს უნდა მიეცეს სწორი გზა და სოფელს მართებს, ერთგულება და გულშემატკივრობა გამოიჩინოს ოჯახის მიმართ. საქმეს შერიგებისაკენ უნდა მიეცეს თავი.

იმავე დღეს აირჩიეს ჩენილი კაცები – ღმერთის მორწმუნე და ხატისშემყურე (ხატმგსგდი) ადამიანები. წავიდნენ დასავლეთისკენ – შევიდნენ ახლო სოფელში, იქ იშოვეს კარგი კაცები ჩვაბართა მხრიდან, სულ შვიდი კაცი. შეფიცეს ერთმანეთს – საქმის გა-

დანყვეტისას იარონ სწორად, მიუკერძოებლად. ერთი საუკეთესოთაგანი შუამავლად (ნუსგამწიდი) აირჩიეს, რომელსაც ევალებოდა, არ დაეშვა გადახრა რომელიმე მხარის საზიანოდ ან სასარგებლოდ. დიდი განსჯის, დავა-კამათის შემდეგ მიაღწიეს იმას, რომ საქმე მედიატორებამდე მიიტანეს. მოკლულთა საბრალო მამამ ღირსეული ადამიანის ყველა თვისება გამოამჟღავნა. იგი საოცარი მოთმინებითა და გულისხმიერებით უსმენდა მედიატორებს. დიდი დავისა და კამათის შემდეგ მამამ ასეთი პირობა წამოაყენა. დაიფიცოს ცამეტმა კაცმა კალის კვირიკეს ეკლესიაში იმაზე, რომ მათ რომ მოსვლოდათ ასეთი ამბავი, შეურიგდებოდნენ მკვლელებს. ამაზე მედიატორები დათანხმდნენ. წავიდნენ კალას კვირიკეს ეკლესიაში. შეჰფიცეს ერთმანეთს სიერთაგულეზე და ხატქვეშ დადეს ფიცი მტკიცე და ურყევ შერიგებაზე.

შერიგების დროს დიდად წაადგა საქმეს ის, რომ მკვლელებმა სროლისაგან თავი შეიკავეს მაშინ, როცა ბავშვები და ქალები იმყოფებოდნენ მამაკაცებთან. მოკლულთა უბედურმა მამამაც აღნიშნა ეს. დავა და კამათი გაცხარდა მაშინ, როცა მედიატორთა ნაწილს სხვა აზრი ჰქონდა იმის შესახებ, რომ ერთ მხარეს მხოლოდ ერთი მკვდარი, მეორე მხარეს – ორი, და ამათი ერთმანეთზე მიდგმა (უშხვარე ლიგემ) არ იქნებოო სწორი. აქაც ჭკვიანი, ბევრისმნახველი მამის სიტყვამ იქონია გადამწყვეტი როლი. მან თქვა, რომ ჩემი ახალგაზრდა და ცხოვრების ნაკლებად მცოდნე უბედური შვილების დაუფიქრებელმა საქციელმა დალუპა კაცი, დააობლა ოჯახი, დიდი ნვალება და გარჯა შეამთხვია მთელ სოფელს, რომელიც რამდენიმე დღე ტყე-ღრეში ეძებდა

მოკლულის ცხედარს, დიდ ხარჯში ჩააგდო ისედაც გაუბედურებული ოჯახი. აქ ისიც აღინიშნა, რომ მულახელს ორი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე ძმამ ესროლა ერთ სრულიად უდანაშაულო ადამიანს. ამიტომ ორივეს ეკუთვნოდა მოკვლა.

მინდა, ჩემი მხრიდან ისიც ვთქვა, რომ საქმე საძენლო საქმეს ბალსქვემოური სვანები ძალიან სამართლიანად და მტკიცედ უდგებიან. თუ მიაჩნიათ, რომ საქმე შურისძიებით უნდა დამთავრდეს, აქ ისინი ნათქვამს არ გადაუხვევენ, უეჭველად შურს იძიებენ, მაგრამ თუ ხედავენ, რომ საქმე შერიგებით შეიძლება დამთავრდეს და ეს მათ თავმოყვარეობას და კაცურკაცობას არაფრით შელახავს, მიდიან მტკიცე შერიგებაზე. მათ არ იციან მოკლულის სისხლის ფასის – წორის აღება, და ეს ბალსზემოურთა თვალში მათ ძალიან ამაღლებთ. ბევრს მიაჩნია ჩვენთან ეს ღირსეულ საქციელად, მაგრამ ოდითგანვე ბალსზემოურ სვანეთში წორი არის მიღებული და ამას ვერ შეცვლის ერთი ან ათი კაცის განსხვავებული აზრი. ჩვეულებრივ, უსისხლო ჩხუბსაც ზოგჯერ ისეთი მწვავე ხასიათი მიეცემა, რომ შერიგება მედიატორთა ჩარევის გარეშე ვერ ხერხდება. ასეთ დროს ჩხუბის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს დაეკისრება გარკვეული თანხა, რომელსაც მიიღებს ის, ვისაც მედიატორები დაზარალებულად მიიჩნევენ. ბალსქვემოურები ამაზე დაგვცინიან და ამბობენ, რომ ბალსზემოურ სვანებს ფულის შოვნის კარგი საშუალება აქვთ მოძებნილი – ვილაცას თავს გაალახვინებენ და მერე ამაში ფულს იღებენო. მთლად ასეც არ არის, მაგრამ შერიგება ისეთნაირი ჯობია, როგორც ამას ბალსქვემოურები აკეთებენ. მე ასე მიმაჩნია.

## შიშზე გაამბობთ

ზევით ლაპარაკი მქონდა იმაზე, რომ მკვლელობა მოხდა ბალსზემოურელ და ბალსქვემოურელთა შორის. ჯერ მოკლეს მუჟაბირ, შემდეგ იმათ იძიეს შური და რადგანაც მულახელი ისე მოკლეს, რომ სისხლის ალების გარდა სირცხვილიც იყო გასასტუმრებელი, მისმა საძმომ ორი კაცი მოკლა. შემდეგ მოსისხლეები შერიგდნენ და ორივე მხარე მტკიცედ იცავდა ხატზე დაფიცებისას დადებულ პირობას იმის შესახებ, რომ ამიერიდან ერთმანეთის მოყვარულები და ერთგულები იქნებოდნენ. ეს – თვითონ ოჯახები, მაგრამ თემი, სოფელი და საგვარეულო ამას ასე ადვილად არ ივინყებს და თუ რომელიმე მხარე მისცემს საბაბს, მკვლელობა შეიძლება კიდევ მოხდეს.

უბარ უფრო ცუდ პირობებში ცხოვრობდნენ. მათი საცხოვრებელი უფრო მთიანია. ძალიან ახლოს არიან მთებთან, სადაც თოვლი არასოდეს დნება ბოლომდე. ამიტომ ზამთარი ადრე დგება და შვიდი თვე თოვლი დევს. მიწაც უფრო ხრიოკია, ძნელად დასამუშავებელი და ნაკლებად მოსავლის მომცემი. გრძელ ზამთარში მამაკაცი უსაქმოდ რჩებოდა. არაფერი სამუშაო არ იყო და ოჯახს არაფერი შემოსავალი არ ჰქონდა. მამაკაციც კი ზედმეტ მჭამელ პირად გადაიქცეოდა და ამიტომ ცდილობდნენ საზამთროდ სეზონურ სამუშაოზე ჩამოსულიყვნენ სამეგრელოში, ან იმერეთში. ამას სვანები საშოვარზე წასვლას ეძახდნენ. სამი ახალმთვარის მანძილზე მუშაობდნენ ან სამეგრელოში ან იმერეთში და მერე ბრუნდებოდნენ უკან. ზურგით მოჰქონდათ ნაშოვნნი.

გზა ძალიან ცუდი იყო. როცა სამანქანე გზა გაიყვანეს, სვანეთმა შვებით ამოისუნთქა. საშოვარზე წასული კაცის დაღუპვა უგზოობის გამო უკვე არ იყო მოსალოდნელი. ადრე ისეთი ცუდი სავალი ბილიკები იყო, რომ ძალიან ბევრი იღუპებოდა, ან ქვევით ჩამსვლელი, ან უკან სვანეთში დაბრუნებისას. ხანშიშესულები საგან გამიგონია, რომ ადრე კაცი რომ საშოვარზე წასასვლელად მოემზადებოდა, მღვდელთან მიდიოდა და ეზიარებოდა, რათა უზიარებელი არ მომკვდარიყო გზაში. ცუდი სავალი გზა არ იყო იმდენად საშიში, რამდენადაც მდინარეზე გადასვლა. ხიდები არ იყო და ცალ ჭოკზე გადასვლა ძალიან ძნელია. ამ საცალფეხო ხიდს თვითონ მგზავრები აკეთებდნენ ხშირ შემთხვევაში. აბა, ასე ნაჩქარევად გაკეთებული ხიდი როგორ იქნებოდა საიმედო. სამანქანე გზის გაკეთების შემდეგ გზა ფართო იყო, მაგრამ ზამთარში მანქანას ამ გზაზე ვერ ნახავდით. მანქანებიც ცოტა იყო. რომც ყოფილიყო, ზამთარში მაინც ვერ ივლიდა, ხშირად თოვლის სიმაღლე ორ მეტრზე მეტი იყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ თოვლის ზვაფი ბევრ ადგილას მოწყდებოდა, გზას თოვლით აავსებდა. ხშირად ეს თოვლი მხოლოდ ზაფხულში დნებოდა. ტრაქტორები არ იყო, რომ გზა გაენმინდა.

საშოვარზე სიარული კაცს ძალიან ამცირებს. ტოლად არავინ ჩააგდებს იმ კაცს, რომელიც ან სველია და შემცივნიული, ან მტვრიანია და ოფლიანი. თუ ზამთარში მოუხდებოდა კაცს ამ გზაზე წასვლა საშოვარზე, საგზალი ზურგზე ეკიდა, ან ციგაზე ჰქონდა დამაგრებული და თოკით მოათრევდა. ყოველთვის ციგაც არ გამოდგებოდა. თუ თოვლი ღრმა იყო და გზა –

ცხენზე ამხედრებული  
თავადი მურზაყან  
დადიშკილიანი  
ხაიში-მესტიის გზაზე  
1929 წელი



გაუკვალავი, მაშინ ციგა უსარგებლო იყო. ასეთ დროს ბევრგან ნახავდა კაცი გზაში დატოვებულ ციგებს. ლენხერას გზით ზუგდიდამდე ფეხით ჩასვლას ხშირად ერთი კვირა უნდებოდა მგზავრი. ხშირი იყო შემთხვევა, როცა მგზავრებს ღია ცისქვეშ უხდებოდათ ღამის გათენება. მთელ ამ გზაზე ბევრი მოსახლე ცხოვრობდა, მაგრამ სახლში შეშვება სველი, ტალახიანი და ხშირად ნახევრად ფეხშიშველი ადამიანებისა არავის უნდოდა. ერთი და ორი ადამიანი შეიძლება მიიღო სტუმრად, მაგრამ საშოვარზე ერთად მიდიოდა შვიდი ან ათი კაცი და ძნელი იყო მათი სახლში შეშვება, თან წამსვლელ-მომსვლელეები ყოველდღე იყვნენ ამ გზაზე და, აბა, რომელი მოსახლე აიტანს ამდენ სტუმარს.



ბალსქვემოურები სეზონურ სამუშაოზე არ დადი-  
ოდნენ. მათ უკეთესი საცხოვრებელი ადგილები აქვთ.  
ზევიდანაც ამიტომ უყურებდნენ ბალსქვემოურებს.  
მუქვანია ჟაბარ – ასე ეძახოდნენ საშოვარზე მიმავალ  
ზემოურებს. ახლა დრო შეიცვალა. ახალგაზრდობა  
უკვე არ მიდის საშოვარზე. ჟაბარ, ჩვაბარ უკვე არ  
არის განსხვავებული, გზა კარგია. საკუთარი მანქანე-  
ბიც ბევრსა ჰყავთ. აბა, ვინ რატომ დაამცირებს ერთ-  
მანეთს. ცხოვრების პირობები უკეთესი გახდა. ხალ-  
ხიც გაუკეთესდა.

ეს გრძელი ამბავი რომ მოვყევი, ამას უნდა მივაყო-  
ლო ჩემი ამ გზაზე წამოსვლის ამბავი. გიყვებით ნამ-  
დვილ ამბავს.

გვინდოდა იმერეთში სამუშაოდ წასვლა. შევიკ-  
რიბეთ ხუთი კაცი, მოვილაპარაკეთ ასე, რომ თითოს  
უნდა წამოგველო 30 ცალი შინ გამომცხვარი პური და  
რაიმე მისაჭმელი – ხორცი ან ყველი. ჩამოვედი წვირ-  
მიდან სახლში. გამოვაცხვეთ 30 ცალი პური, ავიღე ტა-  
ხის მაჭიკი, ცოტა შაშხი. შევიკერე სამი წყვილი ნედლი  
ტყავის ქალამანი. ავიღე 6 კონა თომი ფეხსაცმელში  
ჩასატნევი. ყველაფერი ეს ჩავტენე გოდორში. ძალიან  
მძიმე გამოვიდა, მაგრამ უამისობა არ ივარგებდა. მეო-  
რე დღეს გათენებისას შევიკრიბეთ და დავადექით  
გზას. მივდივართ ლაყარის გზით. ხეშკილამდე რომ  
მივალწიეთ, აქ ვისადილეთ. ბიძია ივანეს საგზლით  
დავიწყეთ. ის სხვებზე ხნიერი იყო და ამიტომ მოილა-  
პარაკეს, რომ მისი საგზალი გვეჭამა და ტვირთი შეუმ-  
სუბუქდებოდა. აქვე ვიტყვი იმას, რომ ჩემი ხურჯინი  
მარტო ზუგდიდში გავხსენით და მთელი გზა სახლი-  
დან ზუგდიდამდე ჩემი ტვირთი არ შემსუბუქებულა.

ყველაზე უმცროსი ვიყავი, ვერაფერს ვეუბნებოდი ჩემზე უფროსებს. ძალიან მიკვირდა, რომ ბიძაჩემი ივანე არც ერთხელ არ ჩაერია და არ უთხრა თანამგზავრებს, ომინდეს საგზალსაც გამოვაკლოთ ცოტათო.

პირველ დღეს კარგად ვიარეთ და მივალწინეთ სოფელ ქართვანიმდე. ძალიან დაღლილები ვიყავით. მზე უკვე ჩავიდა. ვითხოვეთ ბინა. ცივი უარით გამოგვისტუმრა ყველამ, ვისაც მივადექით. რა ვქნათ, არ ვიცით. პირდაპირ ნავიდეთ და შევიდეთ ეცერში, არა გვაქვს იმედი, რომ ვინმემ შეგვიშვას. ეცერს არ აცდებოდა არც ერთი კაცი, ვინც ამ გზაზე მიდის, და ძალიან აქვთ თავი მობეზრებული. გადავწყვიტეთ ავსუღიყავით ნახირში. აქ რომ ავედით, პირდაპირ ქოქოლა დაგვაყარეს – თვლა არ შეიძლება, იმდენი მოდის აქ ხალხი, ტვინი წაიღეთ და ყოფა გვაქვს თქვენგან გამწარებულიო. უკვე დაღამდა, ძლივს ვდგავართ ფეხზე, ისე ვართ დაღლილები. ჩქარა სიარული უკვე არ შეგვიძლია და სიცივემაც აგვიტანა. სველი ფეხსაცმელებიც შემოგვეყინა. რა ვქნათ, გარეთ, ღია ცისქვეშ დარჩენა ნამდვილად სიკვდილს ნიშნავს. სიარული არ შეგვიძლია, ისე ვართ დაღლილები. ეცერი წინ არის, მაგრამ მიგვაჩნია, რომ სადგომის თხოვნასაც არ აქვს აზრი. ვთქვით, რომ მაინც ვცადოთ ბედი – იქნებ ვინმემ შეგვიშვას სახლში, თუ არა, როგორმე სოფელ ლუჭამდე იქნება ჩავალწითო. ისევ დავიძარით. ძლივს ვიმორჩილებთ ფეხებს. ოდნავ გაყინულ გზაზე განსაკუთრებით გვიჭირს სიარული, ქალამნები გაიყინა.

შევედით ეცერში. ვითხოვეთ ბინა. ძლივს გავასწარით, ისე გამოგვენთნენ – წადით აქედან, მეკებრიელ ყაზბარ, მოგვწყინდა თქვენი ყურება, წაეთრიეთ სად-

მეო. ბუბა ივანემ იქით შეუტია – თქვენზე ცუდი ხალხი სვანეთში არ მეგულებაო. არც სტუმარი იცით და არც შინაურიო.

რა ვქნათ ახლა. ვილაცამ თქვა, რომ ლუჰაში მუჟაბირ ჩოფე გულედანი ცხოვრობს სადღაც, იქნება მოვნახოთ, ის ნამდვილად შეგვიშვებსო სახლში. გავაგრძელეთ გზა. როგორც იქნა, მივალწიეთ ლუჰამდე. გავმხიარულდით, ახლა კი ნაშოვნი გვაქვს ღამის გასათევი ადგილი, აწი არაფერი გვიშავსო. ვილაცამ თქვა – აქ რომ დერეფანი ჩანს, ის ჩოფეს სახლს ადგიაო ქვევიდან. ნავედით პირდაპირ. მისულები არ ვიყავით, რომ შემოგვესმა სიმღერის ხმა. ვილაცები მღერიან, მაგრამ ისე, რომ მიწას იგლეჯენ. გზა ისე მიდიოდა და ჩვენც შევედით დერეფანქვეშ. უზარმაზარი სუფრაა გაშლილი. შემოსდგომია უამრავი კაცი და ქალი. კაცები გაღეშილი მთვრალეები არიან. ყველას აქვს ბერდენა თოფი ან უზარმაზარი ხანჯლები აბიათ წელზე. ზოგი ფეხზეა ამდგარი. ზოგი ქანაობს და კედელზეა მიყრდნობილი. რაკი ასაქცევი გზა არ იყო, ჩვენც პირდაპირ მივადექით მოქეიფე ხალხს. ბუბა ივანე ქუდისმობდით მიესალმა ყველას. ჩვენც ხოჩა ლეთ (კარგი ღამე) ვუთხარით – ენას ძლივს ვატრიალებდი პირში, ისე მციოდა. მისალმებაზე სალამი არავის უთქვამს. გვკითხეს, სადაურები ხართო. ბუბა ივანემ, როგორც უფროსმა, დინჯად უთხრა, რომ ჟაბარები ვართო. როგორ თუ ჟაბარები ხართ და გაბედეთ აქ მოსვლაო – ნამოხტნენ კაცები, ნაავლეს თოფებს ხელი, პირში მისცეს თოფებს ტყვიები და ჩახმახალმართული თოფებით შემოგვერტყნენ ირგვლივ. მიგვაქუჩეს ერთ კუთხეში შემის თაკარასა და კედელს შორის.



ენგურის ხეობა  
ზამთრის პირი

– აქვე ტყვიისნერად გაგხდით, თქვე უბადრუკებო, არც ერთი არ ნახვალთ აქედან ცოცხალი.

კვარით იყო იქაურობა განათებული და ვხედავდი, ყველას სასხლეტზე ედო თითი. ჩემს სიცოცხლეში ისეთი შიში არ განმიცდია. უზომოდ მთვრალი, უზარმაზარი, ბრვე ვაჟკაცები თოფებით ხელში შიშს მოგვრიდა ყველაზე გულად ვაჟკაცსაც კი, არამცთუ ჩვენ, გასაცოდაბულ, მშიერ, შემცივნულ მოზარდებს. ერთმა მთვრალმა რამდენიმე ჩვენგანი კუთხიდან გამოგვიყვანა და შეშის თაკარას მიგვაყუდა. ეს უეჭველ სიკვდილს მოასწავებდა, ხეებს შუა ტყვია უკვალოდ დაიკარგება, კედელს შეიძლება აესხლიტოს და თვითონ მსროლელიც დაზარალდეს. ეს ყველამ იცის. მთვრალი კი იყო, მაგრამ ამის განსჯის უნარი არ ჰქონდა დაკარგული.

ამ დროს გაისმა ბუბა ივანეს ძალიან მაღალი ხმით ნათქვამი:

– ვერაფერს ვერ გვიზამთ, იფარლები ვართ და ჩვენი მოკვლა თქვენ არ შეგვრჩებათ, შურს იძიებენ, ეს იცოდეთ, მე კი აქ ვიძიებ ჩემს თავზე შურს.

გავიხედე ბუბასაკენ და ვნახე, რომ ხანჯალი იშიშვლა და ჰაერში შეატრიალა. მერე დახარა ხანჯალი და დააპირა მთვრალ ხალხში შერევა, მაგრამ ჩოფემ სტაცა ხელი და შეჰყვირა, რას სჩადიხარ, ივანე, გონს მოეგეო.

ამ დროს ხალხში გამოჩნდა მაღალი, საშუალო ასაკის კაცი. მან დამშვიდება დაუწყო ხალხს და თქვა, რომ ესენი იფარლები არიან და არა მულახელები. უბრალო და უდანაშაულო ხალხის დახოცვა ჯერ ვაჟკაცობა არ არის და მერე ეს ჩვენ არ შეგვრჩება. იფარლებს არაფერი დანაშაული ჩვენ წინაშე არ მიუძღვით და ცუდად მათი აგდება ჩვენ კარგს არ მოგვიტანს. იფარის ხიდთან, ღმერთო, ნურაფერს დამაჭირვებო – იფარლებია ესენი, მე იმ ხალხს ბევრს ვიცნობო. მათთან ხუმრობა არავის გასვლიაო.

გამოიძო თავი ერთმა ახალგაზრდამ, თუ არ დამიმტკიცებენ რაიმე საბუთით იმას, რომ ნამდვილად იფარლები არიან და არა მულახელები, ამათ ყველას მე მარტო დავხოცავო, თან ბერდენას ათამაშებდა ხელებში. მაშინ პასპორტები არ იყო და გვქონდა საბჭოს მიერ გაცემული ქალაქი. ამ ქალაქს სამგზავრო მონაშობა ერქვა. ვინც საშოვარზე წასვლას დააპირებდა, მივიდოდა სასოფლო საბჭოში და ის იძლეოდა ამ მონაშობას. ასეთი მონაშობა სამი ან ოთხი თვის მანძილზე გამოადგებოდა კაცს. დავინწყეთ ამ მონაშობების ძებნა ჯობეუმი. ზოგს საგზალთან ჰქონდა შენახული,

ზოგს ჯიბეში ედო. სანამ ყველამ არ ვაჩვენეთ ეს ბილეთი, მანამდე ის კაცი არ მოგვეშვა და არც მუქარა შეუწყვეტია. როცა დარწმუნდნენ, რომ მულახელები არ ვიყავით, ბოლიში მოიხადა ზოგმა. ზოგიერთები მაინც იმუქრებოდნენ. ბოლოს ბუბა ივანეს გამოუჩინდა ნაცნობის ნაცნობი, ამან საბოლოოდ დაამშვიდა ისინი და დაგვანყნარა ჩვენც.

71 წლისა გავხდი, ბევრი შიში განმიცდია და ბევრ ფათერაკში ვყოფილვარ გაბმული. ცუდი დრო იყო და შიშსა და ფათერაკს რა გამოლევდა, მაგრამ მე იმ ღამეს რომ შიში განვიცადე, იმის მსგავსი ცხოვრებაში არ შემხვედრია. ბენვზე გადავრჩით. ამდენი ნასვამი და უგონოდ მთვრალი ადამიანი ჯერ ისეა არასასიამოვნო სანახავი და საყურებელი, ხოლო შეიარაღებული, გულმოსული ბრბო შიშის ზარს მოგვრის ყველას, ვისაც ის დაუპირებს ცემას და შეურაცხყოფას.

ცუდისმქნელი ადამიანი ცუდს უკეთებს სხვასაც და თავის თავსაც. 50 ტყვიის გამო რომ უდანაშაულო კაცს მოკლავ, ეს არ არის ქრისტიანის საქციელი და ამიტომ ასეთ უღმერთო საქციელს ღმერთი არ პატიებს ადამიანს. ისჯება არა მარტო ცუდისმკეთებელი, არამედ ბევრი უდანაშაულოც. რამდენი გულისტკივილი, ერთმანეთის სიძულვილი და ფათერაკი მოყვა მაშინ იმ მკვლელობას, მულახელებს რომ მოუხდათ ბალსქვემოურებთან.

ახლა, ღმერთის წყალობით, უკეთესი დრო მოვიდა. არ არის ურთიერთმტრობა და არ აქვს გარჩევა იმას, ვინ არის მუჟაბირ, ან ვინ არის მუჩვაბირ. ჩემს მონაცოლზე მხოლოდ თუ გაიცინებენ – მუჟაბირიც და მუჩვაბირიც.

## ხუმარა ანტონ ფირცხელიანი

იმ წელს ლესპრომხოზმა უბნები შეცვალა და ადრე რომ ხე-ტყეეს ჭრიდა, ის რატომღაც დროებით დააკონსერვა. ახალი უბანი ხუმფრიელში იყო. აქ ვმუშაობდით რამდენიმე ბრიგადა. ვჭრიდით ხეებს და ადგილზევე ვაქცევდით მორებად. მდინარე ახლოს ჩაგვიდიოდა, მაგრამ ძალიან დაკლებული იყო. ზაფხულის ბოლოს თუ წვიმები არ არის, ყინული თითქმის დამდნარია მთებში და მდინარე მეჩხერი ხდება. ჩვენ გვევალებოდა მორების მდინარეში ჩაყრა, რათა მდინარეს მორები წაელო და ხერგილამდე მიეტანა. რაკი მდინარე ძალიან დაკლებული იყო, იგი ვერ ატივტივებდა მორებს და ვერ მიჰქონდა. მდინარის კალაპოტში ვეება ლოდები ეყარა და დინება რაკი სუსტი იყო, მორი ლოდს ედებოდა, ადგილზე ჩერდებოდა ან ტრიალდებოდა და გარდიგარდმო იხერგებოდა კალაპოტში.

უბნის უფროსი იყო სამსონ თამლიანი. მან გადანყვიტა იმ ადგილის ქვებისგან განმენდა, სადაც მდინარე ყველაზე მეჩხერი იყო. განსაკუთრებით, შუა ადგილას განმენდა მიაჩნდა საჭიროდ. ეს კალაპოტს შუაში გააღრმავებს და გაშლილი წყალი შევიწროვდება, ნაპირებიდან წყალი შუისკენ წამოვაო, – გვიხსნიდა სამსონი.

მან გადანყვიტა, ეს საქმე იმათთვის დაევალებინა, ვისაც ხეების მოჭრა და მათი დამორვა ნაკლებად ეხერხებოდა. შეარჩია სამი კაცი. ესენი იყვნენ სოფელ ლატალიდან წამოსულები, და ერთად მუშაობა არჩიეს. სამსონიც დათანხმდა, ოღონდ გააფრთხილა, რომ წყალში მუშაობა თქვენი არჩევანია და რაიმე პრეტენ-



შხარა  
ალიონი

ზია ნუ გექნებათო. სამსონი ლატალელების ბადიში იყო. ახლოს იცნობდა სამივეს.

დაინყეს მუშაობა. კარგად მისდით საქმე, მაგრამ ერთ დიდ ლოდს წააწყდნენ. ხან ძირი გამოუთხარეს, ხან ქვები მოაშორეს, მაგრამ ლოდი ვერ დაძრეს. წვალობენ მთელი დღე.

ჩვენ გვახლდა წვირმელი ანტონ ფირცხელიანი, ძალიან ხუმარა და ენაკვიმატი კაცი. ის შეუჩნდა ლატალელებს და ეუბნება, რომ სამსონმა გადაწყვიტა თქვენი განვალება, თორემ პირველსავე დღეს მოგცემდათ სპეციალურ სკობებს, რომელიც ნებისმიერ ქვას ხვრეტს. ჩაარჭობდით ლოდს იმ სკობებს, მიაბამდით თოკს და თუ მარტონი ვერ გამოათრევდით ლოდს ნაპირისაკენ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც დაგეხმარებოდით თოკის გამოწევაში. წვირმელები და ლა-



ტალელები კარგად ვართ ერთმანეთში და ამ დახმარებას ჩვენ არ დაგამადლითო.

ლატალელებს ქუაში დაუფდათ ანტონის რჩევა. ორმა გააგრძელა კალაპოტის განმენდა, ხოლო მესამე ნავიდა უბნის კანტორაში, სადაც სამსონის სამუშაო ოთახი იყო. სამსონმა ჰკითხა ლატალელს, აქ რატომ ხარ, რატომ არ მუშაობ, რატომ აცდენ დღესო. ლატალელმა აუხსნა, რომ გამომავზავნეს შენტან, რალაცა სკობები თუ ჩანგლები გქონია ისეთი, რომ ნებისმიერ ლოდს ხვრეტს. თავიდან დაგვიმაღლე, ახლა მაინც მოგვეციო. ვიცით, რომ გქონია ასეთი იარაღებიო. სამსონი მიხვდა, რომ ეს ანტონის ოინები იყო და უთხრა მისულ ლატალელს, რომ გადაეცი ჩორგაი (კოჭლ) ანტონს, რომ თავსაც გავუტეხ, როცა შევხვდებიო. ფეხი რომ მოტეხილი აქვს, ახლა თავსაც გავუტეხო.

სალამოს სამსონმა გამოიარა უბანზე, ეკითხებოდა მუშებს, როგორ მიდიოდა საქმე, ხომ არაფერი გიჭირთ, ჩემი დახმარება ხომ არაფერში გჭირდებათო. ჩვენ რომ მოგვიახლოვდა, ანტონი მიეგება და დიდი ხმით ჰკითხა: შენი დედულების დაავარ (დევეები) ხომ იყვნენ შენტან, ხომ მიეცი ჩანგლები და სკობებიო. სამსონმა სიცილით უთხრა, ემასხარავე შენს დედულებ მულახელებს, ჩემს დედულებს არაფერი სჭირთ სამასხაროო. შენ ჯერ დაიცა, კიდევ მოგადგებიან შენი ნათესავეები რამე კარგის სათხოვნელადო, – უთხრა ანტონმა.

ერთ დღეს ჩვენს უბანზე გამოიარა სევარიონ კორძაიამ. ის უბნის ასისტავი იყო. ფიზიკურად არ მუშაობდა, ამიტომ კარგად ეცვა ყოველთვის. იმ დღესაც კარგად ჩაცმული იყო და ახალი ჩექმები ეცვა. როცა

ჩვენთან მოვიდა, იქვე, მორზე ჩამოჯდა და დაგვიძახა, ცოტა ხანი შეისვენეთ, დავსხდეთ და ვილაპარაკოთო. თან პაპიროსის კოლოფი ამოიღო და ჯირკზე დადო. ვისაც გინდათ, მონიეთო. ანტონი მივიდა და აიღო ერთი ღერი პაპიროსი და სევარიონს მიუჯდა. სევარიონის პაპიროსიდან მოუკიდა პაპიროსს და გააბოლა. მერე უფრო ახლოს მიუჩოჩდა და ეუბნება სევარიონს:

– საო, ახლა აქ ლატალელებიც მოვლენ და იმათ დასწრებით მე რომ ტყუილები გითხრა, შენ კი ნუ გაიკვირვებ, ყველაფერში დამემონმე, თუ სიტყვიერად დამონმება გიჭირს, ჩუმად მაინც იყავი და ხანდახან თავი მაინც დააქნიე.

მართლაც, ლატალელებმა რომ დაგვინახეს ერთად დამჯდარი, გამოვიდნენ წყლიდან, შარვლის ტოტები განურეს და შემოგვიერთდნენ. სევარიონმა ყველას ჩამოართვა ხელი და მოიკითხა ფეხზეამდგარმა. როცა სევარიონი დაჯდა, ანტონმა თქვა:

– ხო, საო, იმას გიყვებოდი, მე მარტო ვიყავი კანტორებში. სამსონმა თითო-თითო წყვილი ჩექმა ყველა სოფელს გამოგვინერა. თან მესანყობესთან წერილიც გამატანა, ჩემი სოფლელები არიან და ნურავის აწყენინებო, ორი წყვილი ჩექმა მიეციო. ახლა ყველას ჩექმას ხომ მე ვერ მოვიტანდი აქ, ამიტომ ორი კაცი გავაგზავნე, მოიტანენ და დღეიდან ჩემს ბრიგადაში ორი წყვილი ჩექმა ექნება თითოეულს. ერთი აქ ჩაიცვან, მეორე წყვილი წაიღონ შინ.

იმ დროს ხე-ტყის დამზადებაში ყველა სვანური ქალამნებით ვმუშაობდით. ბალახზე, ხავსზე და წინვზე გამხმარი ტყავის ქალამანი ისე დაცურავს, როგორც ყინულზე. რაბოჩი ჩექმები ასი კაციდან ათსაც არ ეც-

ვა. ვისაც ეცვა, შევნატროდით. ის ჩექმები ქუსლებით იყო, ქვევით ისეთი ჭრილები ჰქონდა, რომ ფეხი არაფერზე დაგიცურებოდა. ნვივებიც დაცული იყო და ნაქცეული ხის ტოტები არ ხევდა შარვალს. მართლაც სანატრელი ფეხსაცმელი იყო. სევარიონის ჩექმები სულ ტყავი იყო, განმენდილიც ჰქონდა და სულ პრიალი გაჰქონდა.

ანტონის სიტყვები რომ გაიგონეს, ლატალელებიდან ორი მაშინვე ადგა და სადღაც წავიდა. თურმე, მიადგნენ სამსონს.

– შე უსინდისო, შენიანებს რომ ჩექმები დაურიგე და თითოს ორ-ორი მიეცი, ჩვენ რატომ არაფერი გვარგუნე. სხვებზე ნაკლებად ვმუშაობთ, თუ შენი დედულები არ მიგაჩნია არაფრის ღირსად. ფეხს არ მოვიცვლით აქედან, სანამ თითო წყვილს მაინც არ მოგვცემო.

სამსონს ჯერ დატუქსვა მოუნდომებია დედულების კაცებისა, მაგრამ როცა ნახა, რომ ძალიან იყვნენ აღელვებულები, სცადა დამშვიდება; უთხრა, რომ ეგ ყველაფერი ანტონის მოგონილია, სევარიონს სხვაგან აქვს ნაყიდი ის ჩექმები და აქ ცარსკი ჩექმებს სადიშოვითო. ძლივს მოიშორა თურმე თავიდან.

მეორე დღეს მუშაობა რომ დავიწყეთ, ანტონი ჩავიდა მდინარის ნაპირზე და წყალში მდგომ ლატალელებს მიესალმა:

– ხოჩა ლადალ ხოჩამ ლატლარს (კარგი დღე კარგ ლატალელებს), კარგად მოქცეულხართ, რომ წყალში ახალი ჩექმებით არ შესულხართ.

ლატალელებმა სალამზე არ უპასუხეს. ისეთი სახე მიიღეს, თითქოს მდინარის ხმაურში ვერაფერი გაიგონეს. გააგრძელეს დანყებული მუშაობა.

## საო გაუშა

საო გაუშა ჩემი ხნის კაცია, ჩემი მოგვარე. გაუშას ეძახიან იმიტომ, რომ წინაპარს რქმევია გაუ და იმის სახელის მიხედვით სოფელ ბოგრემში მცხოვრებ კორძაიების ამ შტოს გაუშევერებს ეძახიან.

საო გამორჩეულად დინჯი და აულელვებელი კაცია. ბევრგანაა ნამუშევარი – საგზაო მეურნეობაში, სატყეო უბნებზე, მესაქონლეობის ფერმაში და სხვაგან. ყველას უყვარს, ვისთანაც უმუშავია. კარგი მეურნეა, ოჯახიც კარგი ჰყავს. ხშირად დადის სანადიროდ და, როგორც ამბობენ, იშვიათად ბრუნდება შინ ხელცარიელი.

სოფელ ბოგრემის ახალგაზრდებს გადაუნყვეტი-ათ, წაიყვანონ საო სანადიროდ. უფიქრიათ – სანადირო ადგილები იცის, თოფი კარგი აქვს, კარგად ისვრის, რალაცას მოკლავს და ჩვენც გავალთო წილში. შეიძლება ჩვენც მოვკლათ რამეო.

დაუყაბულებიათ საო და ერთ დღეს უთენია წასულან სანადიროდ. სულ ოთხნი ყოფილან. საოს მართლა მიუყვანია ისინი იქ, სადაც არჩევის ჯოგის სადგომი ყოფილა, მაგრამ, რაკი ბევრნი იყვნენ მონადირეები, არჩეებმა ან სუნი იკრეს, ან ხმაური გაიგონეს, და დამფრთხალან. გაქცეულან ღია, უტყეო ფერდობზე. მონადირეებს აუტეხიათ სროლა, მაგრამ არჩეები მალე მოფარებიან გორაკს და სროლაც შემწყდარა. სამი არჩვი დარჩენილა ფერდობზე.

ახალგაზრდებს უთქვამთ საოსათვის, ჩვენ ავალთ, ნანადირევს ჩამოვიტანთ, შენ აქ დაგვიცადეო.

საო დამჯდარა შემალლებულ ადგილას. დინჯად ამოუღია ჯიბიდან გაზეთი, მოუხევია გაზეთის პირი, გაუხვევია თუთუნი და დაუნყია მონევა.

ზევით რომ აღიოდნენ ახალგაზრდები, უთქვამთ ერთმანეთში, რომ ყველა ეს არჩევი საოს მოკლულია, ამას ლაპარაკი არ უნდა, მაგრამ ჩვენ დავიბრალოთ, ვითომ ჩვენ მოვკალით და თან დავუშინებთ ერთმანეთს.

მართლაც, ჩამოიტანეს ნანადირევი და საოს დასანახ ადგილას დადეს. როგორც ეს ბიჭები მერე ჰყვებოდნენ, საო ისევ იქ მჯდარა, სადაც დატოვეს, ოღონდ პაპიროსის მონევა უკვე დამთავრებული ჰქონია. ნამწვი ფეხებს შუა დაუგდია და თურმე ჩაფიქრებულად ნაყავდა ამ ნამწვს თოფის კონდახით.

გამოსულა ერთი ახალგაზრდა და ოდნავ წინ გაუთრევია მოკლული არჩევი, რომელსაც ტყვია თავში ჰქონია მოხვედრილი. ახალგაზრდას რიხით დაუნყია ტრაბახი:

– ხომ გეუბნებოდით, გაქცეულ ნადირს თოფი წინ უნდა დაუმიზნო, ოღონდ ისე, რომ ცხვირსა და თოფის სამიზნეს შორის ცოტა ადგილი უნდა დაიტოვო. ნადირი ხომ წინ მირბის, ასეთ დროს ტყვია აუცილებლად თავში ხვდება. თავში აქვს ამასაც მოხვედრილი. ეჭვი არ არის, რომ ეს ჩემი მოკლულია.

– ამაში ეჭვი არც ჩვენ შეგვპარვიაო, – კვერი დაუკრა ამხანაგმა.

ახლა მეორე გამოსულა. ამას ის არჩევი დაუჩემებია, რომელსაც ტყვია მუცელში ჰქონია მოხვედრილი.

– თქვენ ამასწინათაც ნახეთ ჩემი მოკლული არჩევი. იმასაც ტყვია ზუსტად მუცელში ჰქონდა მოხვედრილი. ჩემი თოფი თითქოს შეჩვეულია და ტყვიას მუცელში ახვედრებს ნადირს.

– კი, თოფმა ასე იცის, სადაც ერთხელ მოახვედრა ტყვია, სხვა დროსაც ზუსტად იქ ურტყამს. შენი მოკლულია, ნყალი არ გაუვა.



ასვლა უღელტეხილზე  
1929 წელი

მესამე ახალგაზრდას უთქვამს:

– თქვენ ორივემ ისეთ ადგილას მოახვედრეთ არჩევებს ტყვია, გაქცევა გამორიცხული იყო. ისინი ადგილზე დარჩებოდნენ, მაგრამ თუ ჩემს გამოცდილებას გაიზიარებთ, მომავალში გამოგადგებათ. ნადირს ბეჭებში უნდა ესროლოთ, გამორიცხულია გაიქცეს. ადგილზე რჩება ეგრევე. ამას ბეჭებში აქვს ტყვია მოხვედრილი. ეს ჩემი ხელნერაა.

– ლაპარაკი არ უნდა. ჩვენც დავინახეთ, შენი ბოლო გასროლა და ამ არჩვის ნაქცევა ზუსტად დაემთხვა ერთმანეთს. ეს არჩვი შენ მოინადირე. გილოცავთ.

ამას ახალგაზრდები ისე ლაპარაკობენ ერთმანეთში, რომ საოს ზედაც არ უყურებენ. თითქოს ის აქ საერთოდ არც ყოფილა.

საოს შეუწყვეტია თოფის კონდახით მიწის ტკეპნა. გადახედა თურმე ახალგაზრდებს და დინჯად უთქვამს:

– აბა, მე რა? ქვემო სვანეთი დავთოფე? (ალო, მი მან? ჩუბე შვანთემგრესგ ხვითოფდასა?)

## გელაშა ჯუა

საოზე ამასაც ჰყვებიან: ადრე შემოდგომაზე, როცა მთებში პირველი თოვლი ჩამოსულა, საოს გადაუწყვეტია მეორე დღეს სანადიროდ წასვლა. ამოუქნია, თურმე, ბანდულები და გასაშრობად აივანზე დაუკიდია. ღამე საგზალიც გაუმზადებია და დანოლილა.

უთენია გასულა აივანზე ბანდულების შემოსატანად, მაგრამ ბანდულები არ დახვედრია. დაუწყია ძებნა. ბანდულები ვერ უნახავს, მაგრამ შეუმჩნევია ძაღლის ნაკვალევი. ღამე ოდნავ წამოუთოვია და თოვლის ფიფქში ძაღლის ნაკვალევი თურმე კარგად ჩანდა.

გაჰყოლია საო კვალს და მიდგომია ქურდიანების ქვითკირის გალავანს. ამ გალავანს კარი ჩრდილოეთით აქვს. ამ კართან შემწყდარა ძაღლის ნაკვალევიც.

– უთუოდ ქურდიანთა ძუკნამ მომპარა ბანდულები, – გაუელვა თავში საოს.

საო იცნობდა ამ ძუკნას. ქურდიანები მისი მეზობლები იყვნენ და თითქმის ყოველდღე ხედავდა ამ ძაღლს.

– ვოოვ, გვილიფხ! – დაიძახა საომ.

გვილიფხი ქურდიანების ქალს ერქვა. ძალიან მუყაითი და გამრჯე ქალი იყო. საომაც გვილიფხს იმიტომ დაუძახა, რომ იცოდა, ის იქნებოდა ამდგარი ასე დილაუთენია. სხვა დროს კაცებს უძახიან ხოლმე. ქალის

დაძახება მაშინ, როცა კაცები შინ ეგულებათ, სვანეთში არ არის მიღებული.

საოს დაძახილზე არავინ გამოპასუხებია. ამიტომ საჭირო გახდა მეორედ დაძახებაც. არც მეორე დაძახებაში შეპასუხებია ვინმე.

– დაბანგული თუ დანვა მთელი ოჯახი, – ჩაიბუზღუნა საომ.

მესამედ რომ დაიძახა „ვოოვ, გვილიფხ!“, გაიგონა ნამძინარევი გვილიფხის ხმაც:

– რა იყო, საო, ამ დილაუთენია რამ აგაყენა? ხომ მშვიდობაა? – იკითხა გვილიფხმა.

– ჯერ მშვიდობაა, მაგრამ მალე თქვენს ძუკნას არ ექნება მშვიდობა. მითქვამს და დაიხსომე: როგორც კი დავინახავ, იმ ნუთმი თოფს დაგკრავ. გაფრთხილებ, მერე დამდურება არ იყოს.

– საო, არ გეკადრება შენ ასეთი ლაპარაკი. ძაღლის მოკვლა ოჯახის უპატივცემულობაა (ნავშგურწლი ლი), შენ ეს არ გესწავლება და, ასეც რომ არ იყოს, ცოდვად მოგხვდება, იცოდე, ძაღლი ცოცხალი არსებაა და იმასაც თავისი ღმერთი ადგას (მიჩა ღწრბეთ ხნგ).

– მე არ ვიცი, ვის რა ადგას. რაც გითხარი, იმას ვიზამ, ეს იცოდე.

– მაინც რა ჰქნა ჩვენმა ძუკნამ ასეთი, რომ შენსას არ იშლი?

– რა ჰქნა და გუშინ ფეხსაცმელი მომპარა.

– ჰნყ, საო, მაშინ ამტყდარიყოს ამ სახლში ჩემი სიკვდილის გამო ნივილ-კივილი, შენ მოსულიყავი ჩემს დასატირებლად, თუ ჩვენი ძუკნა გუშინ ამ ეზოში ფეხზეჩაცმული შემოსულიყოს (სნვ ანლრი მიშგვა ლაგვანათე, ესა ნიშგვქდ ჯუა ჰაზვთე ლელდწსგ სგამკველქესუ).



## ფეხშარლების ეკლესია

დავიბადე იფარის თემში შემავალ სოფელ წვირმიში. ადრე დავობლდი. დედაჩემი ისპანკამ მოკლა. მე მაშინ 6 წლისა ვყოფილვარ. ცუდი დრო ყოფილა. სასტიკი ქირიანობა ბალახივით ცელავდა თურმე ხალხს. მიცვალებულის გამსვენებელი არ ყოფილა სოფელში. სოფლის მცხოვრებთა ნაწილი ტყესა და მთაში ყოფილა გახიზნული.

დარჩა მამა მარტოკა. შვილები ოთხნი ვიყავით, მაგრამ ჯერ კიდევ პატარები და არავის შეგვეძლო მივხმარებოდით მამას. ახლობლები შეუჩნდნენ თურმე მამას, ცოლი მოიყვანე, მთლად ნუ დააქცევ ოჯახსო. სახნავ-სათესი, სათიბი მინდვრები ბევრი გვექონდა, მაგრამ რაკი მუშახელი არ იყო, მიწაც ტყუილად ცდებოდა. ასეთ შემთხვევაში მიწის ქონა უფრო ანერვიულებს ადამიანს, ვიდრე მისი უქონლობა. დაქვრივებიდან 5 თვის გასვლის შემდეგ მამას შეურთავს მეორე ცოლი – სალო. სალო კარგი ოჯახიდან იყო, ავალიანების ქალი, და ძალიან კარგი წრე ჰყავდა. იმ დროს სვანეთში ქალები უფრო ნაკლები ყოფილან რაოდენობით, ვიდრე მამაკაცები, ამიტომ ურვადიც ძალიან დიდი ყოფილა. მამაჩემის მეორედ დაქორწინებამ კიდევ უფრო გააღარიბა ოჯახი. უღელი ხარი, ორი ძროხა ჩემი დედინაცვლის ოჯახმა წაიყვანა. გვიჭირდა ძალიან. როგორც ეს სიღარიბემ იცის, ოჯახში ხშირი იყო უსიამოვნება. გერი ჯიუტია საერთოდ და ჩვენი დედინაცვალი ხშირად აბეზლებდა მამას, არ მისმენენ და არაფრად მაგდებენ შენი შვილებიო. ამის გამო მამაც გვინყრებოდა, ოღონდ ცემით არასოდეს



#### ეკლესიაში დაცული ხელნაწერი

უცემია შვილებისათვის. ობლები ვიყავით და, ალბათ, ვეცოდებოდით.

ჩემი უფროსი ძმაც გაიზარდა. სვანები ამბობენ, რომ ღარიბ ოჯახში მოზვერი ადრე იხედნებაო. ჩემი ძმა ჯერ ბავშვი იყო, როცა გაურიგეს იფარელი ქალი, გვარად პირველი. ძალიან ლამაზი ქალი იყო და მამარვენმა იჩქარა – სხვამ არ დამასწროს და სხვას არ გააყოლონ ეს ქალიო. ურვადის საშუალება უკვე არ იყო და იძულებული გავხდით დიდი სათიბი მინდორი გაგვეყიდა. იანულდი ერქვა იმ ადგილს, ჩვენ სახლთან ძალიან ახლოს იყო და განსაკუთრებით გვიყვარდა ის ადგილი. შეიძინეს წვირმელმა – ძმებმა ივანე, სევასტი და თევდორე ფირცხელიანებმა. დღესაც ისინი ფლობენ ამ სათიბს. ძალიან კარგი ხალხია, ძალიან მიყვარს მათი ოჯახები, მაგრამ დღესაც კი, როცა ამ სათიბს ჩაუვუვლი გვერდით, უნებლიე ოხვრა ამომხდება ხოლმე.

მალე ჩვენს დედინაცვალს ბიჭი შეეძინა. ამან ერთგვარი სიმშვიდე შემოიტანა ოჯახში.

ჩვენს პატარა ძმას, მამას რომ პირველი ცოლისგან ჰყავდა, დედის ძუძუ არ უწოვია. ორი დღისა ყოფილა, როცა დედა მოუკვდა. მამა სულ ამბობდა, დედის ხელებში არ ყოფილა ჩემი ნოე და ამიტომ უბედური იქნებაო. მართლაც, 21 წლისა იყო, როცა ჩხუბის დროს კაცი შემოაკვდა. 8 წელი იჯდა ციხეში სვერდლოვსკის ოლქში, ქალაქ ვერხოტურეში. მე ორჯერ ვიყავი ძმის სანახავად იქ წასული და ქალაქის სახელიც იმიტომ მახსოვს დღემდე. ეს ძმა ძიძასთან გვყავდა მიზარებულის, და როცა დედინაცვალს ვაყი შეეძინა, ბავშვი სახლში მოიყვანეს. თითქმის ტოლები იყვნენ ის და მისი ნახევარძმა. სანიმუშო ძმობა ჰქონდათ. ახლა ორივე სოხუმში ცხოვრობს; თითქმის ყოველდღე ნახულობენ ერთმანეთს. ერთად დადიან ყველგან ლხინსა თუ ქირში. ორივემ უმაღლესი განათლება მიიღო.

მე როცა სკოლაში წასვლის დრო დამიდგა, ყოველგვარი წინააღმდეგობის განწევს გარეშე გამიშვეს, მაგრამ მეორე კლასში რომ გადავედი, მამას შეუჩნდა ჩემი დედინაცვალი – ნუ დააკარგვინებ ომინდეს ტყუილად დროს, კარგი მუშაობა იცის და ოჯახს გამოადგესო. არ გამიშვეს სკოლაში. სწავლა რომ დაიწყო, ჩვენს სახლში მოვიდა ჩემი მასწავლებელი. ის იმერელი იყო. ძალიან უნდოდა, დაეთანხმებინა მამა, მაგრამ დედინაცვალი არ ანებებდა მამას ლაპარაკს. მასწავლებელმა როცა გაიგო, რომ მოლაპარაკე ქალი არ იყო ჩემი ნამდვილი დედა, ძალიან შეუტია მამას და აჩუმებდა ჩემს დედინაცვალს. ბოლოს, თითქმის ჩხუბამდე რომ მივიდა საქმე, მამამ შენიშვნა მისცა ჩემს ყოფილ მას-

წავლებელს და უთხრა, რომ ჩემს ცოლთან ასეთ ლაპარაკს არავის ვპატიობო. ღმერთმა სიკეთე მისცეს მის მოდგმა-ნაშვილს, ძალიან უნდოდა ჩემთვის სიკეთე გაეკეთებინა. ამით ჩემი სწავლის ამბავი დამთავრდა. სკოლაში მეტი არ მივლია, მაგრამ წერა-კითხვა უკვე ნასწავლი მქონდა და შემეძლო ჩემით წამეკითხა წიგნი, მაშინ, როცა ამის დრო გამომიჩნდებოდა.

მამაჩემის ბიძის მიერ აშენებულ ეკლესიაში (კომენტ. 4) ორი დიდი ზანდუკი იდგა, ამ ზანდუკებში იდო უამრავი წიგნი, მაგრამ ამ ზანდუკებს დიდი ბოქლომები ეკიდა, გასაღები კი მამას ჰქონდა შენახული. ბევრჯერ მიფიქრია, ამ ზანდუკს უკანა კილოებს მოვუშლი და წიგნებს ამოვიღებ-მეთქი, მაგრამ ზანდუკს ძალიან მაგარი სალტეები ჰქონდა და ორმაგად იყო უკანა მხრიდან დაკეტილი. ორი რკინის კილო ზანდუკს ჰქონდა, ორი კიდე – თვითონ სალტეს, და მისი მოშლა შეუძლებელი იყო.

როცა უფრო გავიზარდე, მამამ ზანდუკები გახსნა და წიგნები გამოფინა. უამრავი წიგნი იყო. ყველა ისე იყო დაწერილი, რომ ვერაფერს წავიკითხავდი. დავისახე მიზნად, რომ ხუცური კითხვა მესწავლა. მასწავლებელი არავინ მყავდა. მამამ არ იცოდა ხუცურის კითხვა. იყო წვირმიში მღვდელი გირგოლ კორძაია, მაგრამ ეკლესიის ახლოს არ გაივლიდა. მთავრობისა ეშინოდა. ვერასოდეს ვიხელთე დრო მეტხოვა მისთვის, ხუცურის წაკითხვა მასწავლე-მეთქი. ახლაც კი არ ვიცი, საერთოდ შეეძლო თუ არა ბუბა გირგოლს ხუცურად დაწერილი წიგნების წაკითხვა. იყო მეორე მღვდელიც, ისიც ერიდებოდა იმის თქმას, რომ ოდესლაც მღვდელი იყო. ამ მღვდელს სამსონი ერქვა და

გვარად ფანგანი იყო. ისიც და გირგოლიც ბუბა თეო-  
ფანეს გაზრდილები იყვნენ. იმანაც არ წაიკითხა ჩე-  
მი თანდასწრებით არც ერთი ხუცური წიგნი. ბოლოს  
გადავწყვიტე, ჩემით მესწავლა ხუცურად კითხვა და  
წერა. თუ კაცი მოინდომებს, იგი ყველაფერს შეძ-  
ლებს თურმე. მიუხედავად იმისა, რომ სულ მინდორში  
ვიყავი სამუშაოდ და სახლში ყოფნის დროსაც რაღაც  
საოჯახო საქმეს ვაკეთებდი, იმის დროს მაინც ვპოუ-  
ლობდი, რომ მესწავლა ხუცური წერა-კითხვა. ეს შევ-  
ძელი. აი, როგორ: ბუბა თეოფანეს მიერ დატოვებულ  
ბევრ ქალაქში ერია ერთი ფურცელი, სადაც ხუცური  
ასოებით ეწერა – წვირმის მაცხოვრის ფერისცვალების  
ეკლესიის მოძღვარი არქიმანდრიტი თეოფანე. ამ ფურ-  
ცელზე წივრით მიწებებული ჰქონდა მეორე ფურცელი,  
რომელზეც ჩვეულებრივი ასოებით ეწერა იგივე.

ჯერ იმ ასოების კითხვა და წერა ვისწავლე, რაც  
ბუბას მიერ დატოვებულ ფურცელზე ეწერა. მერე  
ჩემით ვიგონებდი იმ სიტყვებს, რომელთა დაწერაც  
შეიძლებოდა ამ ასოებით. წიგნში ზოგიერთი სიტყვა  
ისეთი ეწერა, რომ თითქმის მთლიანად ამ ასოები-  
საგან შედგებოდა. განსხვავებული იყო ორი, ან სამი  
ასო. ასეთ ასოს მე ჩემით ვუმატებდი და გამოდიოდა  
სიტყვა. ვიმახსოვრებდი ამ ასოსაც და ასე ვისწავლე  
ხუცური წერა-კითხვა. 1979 წელს, როცა პირველად  
ვნახე საქართველოს პატრიარქი ილია II და გამესაუბ-  
რა, ძალიან მოეწონა ის, რომ ხუცური წერა-კითხვა  
ვიცოდი. მე პატრიარქთან მიმიყვანა ერთმა მღვდელ-  
მა, რომელიც სვანეთში იყო ნამყოფი და ცოტა ხნის  
წინ ჩვენს ოჯახსაც ესტუმრა. ბუბა თეოფანეს მიერ  
აშენებული ეკლესია ჩვენს ეზოში დგას. ამიტომ ვინც



ეკლესიაში დაცული ხელნაწერი

ეკლესიის სანახავად მოდის, ფაქტიურად არის ჩვენი ოჯახის სტუმარი. ამ მღვდელმა პატრიარქს უთხრა, რომ იმ ადგილას, სადაც ეს ეკლესია დგას, სხვანაირი მაღლი ტრიალებს და ეს იქ მცხოვრებ ადამიანებსაც ატყვიათო. პატრიარქმა მაშინ ბრძანა ისეთი სიტყვები, რაც არასოდეს დამავიწყდება. მან ასე თქვა: ამ კაცს რომ ვუყურებ და ვუსმენ, ამას მეცა ვგრძნობო.

მე საპატრიარქოში მაშინ წავედი იმის სათქმელად, რომ ეკლესიაში წვიმა ჩამოდის, კედლები სველდება და საჭიროებს-მეთქი გადახურვას. ამ საქმეზე ბევრჯერ მივმართე მესტიის რაიონის ძეგლთა დაცვის სამსახურს, მაგრამ იქ უარი მითხრეს იმ მიზეზით, რომ ეკლესია ჯერ არ არის 100 წლის და დასაცავ ძეგლთა სიაში არ არისო. როცა რამდენიმეჯერ მივაკითხე

და ვუთხარი, რომ იფარში, კალასა და უშგულში რომ ხურავთ ეკლესიებსა და კოშკებს, ამ ეკლესიამ რა დააშავა-მეთქი, თუ ახლა არ გადაიხურა, დაინგრევა და 100 წლისა არასოდეს იქნება-მეთქი. ამაზე გაიცინეს და ერთმა ახალგაზრდამ მირჩია, საპატრიარქოს აცნობეთ, იქნებ იმათ მიხედონ ეკლესიასო. როცა გამხიარულდნენ, ერთმა ახალგაზრდამ სიცილით მითხრა – ბიძაჩემო, ასე რატომ შეგტკივათო ამ ეკლესიაზე გული. მე ვუთხარი, რომ ჩემი წინაპრის აშენებულთა-მეთქი და, რასაკვირველია, რომ გული მტკივა, როცა ვხედავ, რომ ასეთი კარგი ნაგებობა ინგრევა-მეთქი. მან მითხრა, ესე იგი შენ ეს ეკლესია შენი ოჯახის საკუთრებად მიგაჩნიაო. მე ვუთხარი, რომ ზუსტად ასეა-მეთქი. ჰოდა, რაკი შენი საკუთრებაა, შენი ხარჯით შეაკეთე, ჩვენ რაზე გვანუხებო. ამან სხვების მხიარულება გამოიწვია – ამისი 60-მანეთიანი პენსია ეკლესიასაც გადახურავს და წვირმის კოლმეურნეობის კანტორას კიბესაც შეურემონტებსო. იცოდნენ, რომ ამ სოფლის კოლმეურნეობის კანტორის შესასვლელი კიბე მაშინ დამპალი ჰქონდა.

მე მათ რჩევას დავუჯერე, ჩამოვედი თბილისში და წავედი საპატრიარქოში. აქ შემხვდა ის მღვდელი, ვინც ჩვენთან იყო, და იმან შემიყვანა პატრიარქთან. მე პატრიარქი ნახული არ მყავდა. რატომღაც მეგონა, რომ ძალიან მოხუცი უნდა ყოფილიყო, გრძელი თეთრი წვერით. აღმოჩნდა სრულიად ახალგაზრდა კაცი. ჭალარა მარტო ახლად შერეული ჰქონდა. ძალიან ჭკვიანი და კრიალა თვალები ჰქონდა. როცა რამეს მეკითხებოდა, ჯერ მე შემხედავდა, მერე წინ გაიხედავდა და ასე ამთავრებდა შეკითხვას. როცა მე პასუხს ვცემდი, მა-

შინ ძალიან დაკვირვებით მიყურებდა და ყურადღებით მისმენდა. როცა შეატყო ჩემს ლაპარაკს, რომ მართლა შემტკიოდა გული ეკლესიაზე, მღვდლად მაკურთხა. თავისი ხელით ჩამაცვა ანაფორა. უფრო ბედნიერი დღე არ მქონია ჩემს სიცოცხლეში. ღმერთმა სულ ბედნიერად ამყოფოს და მიუვიდეს ის დალოცვა, რასაც მე მაგას ვუსურვებდი, როცა ყოველ კვირას შევდიოდი ჩვენს ეკლესიაში და მარტო ვლოცულობდი. ჩემი წინაპრის მიერ აშენებული ეკლესია ჩვენს ეზოში დგას. შორს წასვლა არ მჭირდება, რკინის თევზით ამაქვს ანთებული ნაკვერჩხალი და ზედ თაფლის ცვილს ვაყრი. საღმრთო დღესასწაულებზე და ყოველ კვირას ეკლესიაში, ეზოსა და სახლშიც სულ საკმეველის სუნი დგას. მახარებს ის, რომ ჩემი დიდი წინაპარი ამას ალბათ ხედავს. ის ამ ეკლესიაში არის დაკრძალული.

ხალხში ანაფორით არ დავდივარ. სამწუხაროდ, ხალხში ღმერთის რწმენა დაკარგულია. ალბათ როდისმე აღდგება რწმენა, მაგრამ ჯერჯერობით სვანეთში ამის ნიშანი არა ჩანს. თან ისიც მაფერხებს, რომ ხალხი იტყვის – გუშინ ჩვენსავით მუშაობდა კოლმეურნეობაში, თიბავდა, ხერხავდა ფიცარს, იყო ბეგარაზე სამუშაოდ და დღეს მღვდლად მოგვევლინაო. ჩვენს ხალხს ღმერთისა ძალიან ეშინია. თუ მტყუანია, არასოდეს ხატზე არ გავა, არ დაიფიცებს და არც მოწმედ დაუდგება იმას, ვისი იმედიც არ აქვს, რომ ის კაცი მართალია ხატის წინაშე.

ჩვენთან ადრეც იყო და ახლაც არის ასეთი ჩვეულება და წესი, რომ თუ სოფლებში ქურდობა გახშირდება და ხალხი ამით შეწუხდება, საღმრთო დღესასწაულზე მყოფს დააფიცებენ ხატზე და მოითხოვენ



გამოტყდეს, მას ხომ არ ჩაუდენია ესა თუ ის ქურდობა. თუ ქურდია, ის აუცილებლად აღიარებს ამას და ხატზე არ დაიფიცებს. ასე იქცევიან არა მარტო ხნიერი ადამიანები, არამედ ახალგაზრდებიც. ზოგიერთი ახალგაზრდა პირველად იწერს, მაგრამ ერიდება იმას, რომ სხვამ არ დაინახოს. ამ ერთი წლის წინათ სოფელი იელიში მცხოვრებმა ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ბავშვი შემოიყვანა ეკლესიაში. მთხოვეს, დალოცეო. მერე წასვლის დროს მითხრეს, რომ აუცილებლად შენ მოგანათლინებთ შვილსო. ჯერჯერობით არ მოსულან. სოფელ ივარში გარდაიცვალა ჩემი ხნის კაცი – ბარის გულბანი. მისმა უფროსმა შვილმა რეზომ მთხოვა, მამის დაკრძალვაზე ანაფორით წამოდიო. მე მას თხოვნა ავუსრულე. სამარის პირზე რომ ესვენა კუბო, მთხოვეს, წესი აუგეო. მე ამოვიღე ხუცური ნიგნი და დავიწყე საჭირო ადგილის ნაკითხვა, მანამდე მოლაპარაკე ხალხიც კი გაჩუმდა. როცა დავამთავრე კითხვა და ჯვარი გადავსახე მიცვალებულს, ჭირისუფალში რამდენიმემ ხმამაღლა თქვა – ამის ფეხზე ადგომამდე არაფერი გეტკინოს შენ და შენ სანატრელ ადამიანსო (ლემკახე მწრა). მე ეს ძალიან მესიამოვნა. უფრო ლალი გავხდი. ორჯერ წამიყვანეს მულახის თემში – ერთხელ მუჟალში, ხოლო მეორედ – ლახირში. ამ მიცვალებულთა ნათესავებიდან ვილაცები ყოფილან ივარში გასვენებაზე და მათაც მოისურვეს გამეკეთებინა ის, რაც ბარისის საფლავთან გავაკეთე. მე რომ ვაკვირდები, ღმერთის რწმენა არის ხალხში, მაგრამ ხალხს ამის გამჟღავნება არ უნდა, რალაცისა ეშინია.

მე მაინც ბედნიერი ვარ და პატრიარქის უზომოდ მაძლობელი, მღვდლად რომ მაკურთხა. ეს საშუალებ-



ეკლესიაში დაცული ქედური ხატი

ბას მაძლევს უფრო კარგად გავუფრთხილდე ეკლესიას და აქ დაცულ ხატებსა და ჯვრებს. თუ შევატყვე, რომ მოსული არ არის სერიოზული კაცი, მე მას ეკლესიაში შესვლის ნებას არ ვაძლევ ან მეც შევკვები შიგ და ვუყურებ – ხომ არაფერს აფუჭებს-მეთქი. ასე უფრთხილდებოდა ეკლესიას და ეკლესიის ქონებას მამაჩემი ივა (ივანე) კორძაიაც. ბუბა თეოფანე – ამ ეკლესიის ამშენებელი რომ გარდაიცვალა, ნახეს მისი ანდერძი. მან მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ძმისშვილ ივანეს დაუტოვა, ხოლო ეკლესიის პატრონობა დაავალა მღვდელ გიორგი პირველს. ეს გიორგი ძალიან ჰყვარებია თეოფანეს, თავისთან ჰყოლია და ყველაფერში ენდობოდა, მაგრამ თეოფანეს გარდაცვალების შემდეგ გიორგის მოუხდა თბილისში გადმო-

სახლება. ეკლესიაც ივანეს საპატრონო გახდა. ის ამას დიდი მონდომებით აკეთებდა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა, დროებით გაცლოდა სახლს. ამით ბევრმა ისარგებლა და თამამად დაიწყეს ეკლესიაში შესვლა და იქ წიგნებისა და ხატ-ჯვრების დათვალიერება. მე უკვე მოზრდილი ვიყავი, როცა იფარის სასოფლო საბჭოდან მოიტანეს ქალაღი, სადაც ეწერა, რომ ჩვენი ოჯახი რალაც შავ სიაში იყო შეტანილი როგორც მღვდლის ოჯახი. მამა ჩავიდა სამეგრელოში სოფელ მარანში, სადაც ნათესავები ეგულებოდა. იქიდან როცა დაბრუნდა და ნახა ეკლესია, ძალიან დაღონდა. გახსნილი დახვდა ყველა ნიშა (სანაი) და ზანდუკი. ამ შავმა სიამ ძალიან ბევრი უსიამოვნება შეახვედრა ჩვენს ოჯახს. მანამდე არავის სადავო არაფერი ჰქონდა ჩვენთან, მაგრამ როცა სოფელმა დაინახა, რომ მთავრობა არ გვიყურებდა კარგად, ბევრმა იკადრა ისეთი რალაცა, რასაც არ ველოდით მათგან.

ერთ ამბავს მოვყვები აქ. კალას ქალის (ენგურის) გაღმა, ზევით, ტყეში, გვქონდა დიდი მინდორი. ამ მინდორს ერხვალს ეძახდნენ და ახლაც ასე ეძახიან. ეს იმიტომ, რომ ირგვლივ ძალიან ძველი და მოზრდილი ვერხვებია. ამ ერხვალში ჩვენ ყოველწლიურად ვთესავდით ქერს, ოსპს, შერიას და მოსავალიც ძალიან კარგი მოდიოდა. რასაც არ ვხნავდით, ის სათიბად იყო გაშვებული. თივაც ბლომად ითიბებოდა. ჩვენ თივა იქიდან არ მოგვქონდა, მაგრამ ყიდულობდა სოფელ ჩობანის მცხოვრები ხალხი. ეს სოფელი ამ სათიბიდან უფრო ახლოს იყო, ვიდრე წვირმის სხვა უბნები. ერთ დღეს მინდვრის დასათიბავად რომ მივუახლოვდით, მოგვესმა ლაპარაკი. ჩემმა ძმამ თქვა, ალბათ, ჩვე-

ნი დახმარება უნდათ და ჩვენ დაგვასწრეს ამოსვლა გიგაშა (მამიდაანთ) კაცებმაო, თან მადლობის სიტყვებით მოიხსენია ისინი. შევედით მინდორში და ვხედავთ, რომ სოფელ ჩობანის მოსახლეობა ანგრევდა ლობეს. ორი უღელი ხარი ყანაში იყო ისე შეშვებული, რომ უღელიც არ ჰქონდათ ჩამოხსნილი. მარხილებიც ებათ. თან ჭამდნენ მოსავალს, თან მარხილებით ტკეპნიდნენ. ჩემმა ძმამ ცელი მოიხსნა მხრიდან და ამ ცელით გაექანა ისიდორე თამლიანთან, ის იდგა ლობის გარეთ და მარგილს ეჭიდებოდა, ლობის ნაქცევას ლამობდა. მე გადავაგდე ცელი და ჩემს ძმას უქნიდან ნელზე მოვხვიე მკლავები. გავაჩერე ადგილზე. წინიდან მისვლა საშიში იყო. გაკვერილი და გალესილი რუსული ცელი დანაზე და ნაჯახზე უფრო საშიშია. ისიდორემ არ შეწყვიტა მარგილთან ჭიდაობა და არც ისე ხმამაღლა უთხრა ჩემს ძმას: არა, თოფი, წავიდა ის დრო, როცა ზემოდან იყურებოდით. ეს ერხვალი ჩობანს ეკუთვნოდა და ანიც მისი იქნება. თქვენმა წინაპარმა ეს უსამართლოდ წაართვა სოფელს. თან დააყოლა – ცუდი სასულეთი ჰქონდეს (ხოლა ლაქუნუ ხარ), ბევრი რამ წაართვა სოფელსო. წინაპრის აუგად ხსენებამ ჩემს ძმას საკირეს ცეცხლი წაუკიდა (ლაკირდ ახბიდნე). ცელი დააგდო, მე დამეჭიდა. წამაქცია და იქვე მიწიდან ამოძრობილ მარგილს დანვდა. არ დავანებე ალება, მანამდე ფეხით შევედექი მარგილზე. ამასობაში სხვებიც მოვიდნენ. მამიდას შვილისშვილი გირგოლ ფირცხელიანიც იქ იყო, ცალკე იდგა და ლობის დანგრევაში არ მონაწილეობდა. გირგოლმა დაამშვიდა ჩემი ძმა – რას იზამ, თოფი, დროს ასხია (დვრევს ხეშან) ასეთი რამეო. ყველაფერი დანყნარდება და და-

ლაგდებაო. სოფლის მცხოვრები ყველა კომლიდან თითო მამაკაცი იყო აქ გამოსული. ზოგი აქტიურობდა, ზოგი ნაკლებად ირჯებოდა. გირგოლი ვერ გამოიყოს სოფელს და ამიტომ იყო აქ მოსული. სოფლის კაცებიც არ ითხოვდნენ მისგან ღობის დანგრევაში მონაწილეობას. ყველამ იცოდა, რომ ჩვენს ოჯახს ბადიშად ეკუთვნოდა. ჩემს ძმასაც არ წამოცდენია გირგოლზე ძვირი.

ეს ყანა-სათიბი შემდგომ არავის შემოუღობავს, ჩობანის არც ერთი მოსახლე მას არ დაუფლებია, მაგრამ ჩვენც წაგვერთვა. შემდეგ, როცა კოლმეურნეობა შემოვიდა, ეს ადგილი სოფელს სახნავ-სათესად არ გამოუყენებია. ხან კოლმეურნეობის თავმჯდომარე თიბავდა თავისთვის, ხან სატყეოს მუშაკები ეზიდებოდნენ იქიდან თივას. მამაც და შვილებიც დავმშვიდდით. კოლმეურნეობამ იმდენი მინა წაგვართვა, რომ ეს ერხვალი სულ დაგვავიწყა. კარგად ამბობენ სვანები: ისეთ დიდ სადარდელს მოგცემ, რომ წინა დარდი სულ დაგავიწყდესო – ასე უთხრაო ღმერთმა დამნუხრებულ კაცს.

სოფელ წვირმიში ვინც ცხოვრობდა, იმათგან ყველაზე მეტი სახნავ-სათიბი ჰქონდათ გიგო და როფოზ ყიფიანებს. შემდეგ მოდიოდა ჩვენი ოჯახი. არქიმანდრიტმა თეოფანემ მთელი უძრავ-მოძრავი ქონება მამაჩემს დაუტოვა. ეს ყოფილა 80-ზე მეტი სკა, 3 უღელი ხარი, 7 მენველი ძროხა, მთელი კოლტი ღორებისა. ჩვენს ეკლესიას რამდენიმე ჰექტარი მუხნარი არტყია გარს და ამიტომ ღორების შენახვა ძალიან ადვილია. ბუბა თეოფანეს ყოველთვის რამდენიმე ხიზანი ჰყოლია და ისინი უვლიდნენ ყველაფერ ამას. ბუბა თეოფანეს გარდაცვალების შემდეგ მამაჩემილა დარჩა

ყველაფერ ამის მომვლელად. რაკი დედისერთა იყო, ცოტა განებივრებულიც ყოფილა. შრომა მაინცდამაინც არ უყვარდა. სამი სახლი დაუტოვა ბიძამ. ერთი ჩემს დედულებს მისცა, მეორე ხიზნებმა დაუნვეს მურყმიელში, მესამეში თვითონ დარჩა. სადაც მამა დარჩა საცხოვრებლად, ეს სახლი ეკლესიის გვერდით იდგა და ამიტომ ეკლესიაზე ყოველთვის ეჭირა თვალი. უვლიდა შენობას და იცავდა ეკლესიის ქონებას. სიკვდილამდე გულში ჰქონდა და სულ ყოველთვის სევდიანად იგონებდა იმას, რომ ჩემი დაუდევრობით ეკლესიის გატყავების საშუალება მიეცა ვიღაცებს, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ მაშინ, როცა მე ბუბა თეოფანეს ხელფასის ასაღებად ვიყავი ცაგერში წასულიო. თვითონ ბუბა ეკლესიის ზედა სართული პატარა სენაკში ყოფილა ლოგინს მიჯაჭული და არ შეეძლო ფეხზე ადგომა, ეკლესიის შესასვლელი კარები ბოქლომით დაუკეტავი დამრჩა და მოსული სგწვიმარ (შიდა მხარიდან მოსულები) დაუკითხავად შესულან ეკლესიაში და რამდენიმე ხატი და წიგნი წაუღიათ (კომენტ. 5). ეს მომხდარა ჩემ დაბადებამდე 1 წლით ადრე. მახსოვს, რომ მამა ხატზე დაფიცებას სთავაზობდა ორ წვირმელს – მაქსიმე თამლიანს და ლაზარე თამლიანს. თურმე მოსულებს ამათი ცხენები ჰყოლიათ დაქირავებული და ეს ორი ახალგაზრდა სტუმრებს დაყვებოდა ყველგან, სადაც ეს სტუმრები დადიოდნენ.

მაქსიმეც და ლაზარეც ჩვენი ახლობლები იყვნენ. არც ერთი არ ამბობდა უარს ხატზე დაფიცებაზე. ჩვენ შენი ეკლესიის ხატებისთვის ხელი არ გვიხლია და არც შევსულვართ ეკლესიაში. შევიდა ორი სტუმარი თავისი ხურჯინებით და რაღაც ყუთით. ერთი სურათებს

იღებდა ყველგან, მეორე რალაცას იწერდა. რას აკეთებდნენ ამ ეკლესიაში შესულები, ჩვენ არ ვიცით. ხატის წინაშეც ამასვე ვიტყვით. ოღონდ, ივანე, გახსოვდეს, რომ დაფიცების შემდეგ ჩვენ მწღვრას (ჯარიმა ცილისნამებისათვის) მოგთხოვთო. მამაც შეეშვა.

სიბერეში რომ შევიდა, კიდევ უფრო ხშირად იხსენებდა ეკლესიის ამბავს. ეს რა მომივიდაო, ამოიხვნეშებდა ხოლმე.

## **არტენი**

### **გულადობა ვაჟკაცობაა**

აქ მე თქვენ მოგიყვებით ერთ ამბავს:

სოფელ წვირმიში გვყავდა მღვდელი როსტომი გვიმიანი. ძალიან კარგი, რიგიანი კაცი იყო. არავის არაფერში აწუხებდა. ცაგერიდან ჩამოსული კაცი იყო და სხვა სოფელში შესული კაცის რიგიანობა ყოველთვის იცოდა. ცოლი წვირმელი ქალი იყო – მანანა თამლიანი. ესეც ქმარივით კეთილი და ავკარგიანი იყო. სოფელს მათი ოჯახი ძალიან უყვარდა. მათი რიდი და პატივისცემა ყოველთვის ჰქონდა. მდიდრებიც იყვნენ. მათი საქონელი ძროხა და ხარი სოფლის ნახირში გამოირჩეოდა.

მაშინ სვანეთში ქურდობა იყო და ვილაცამ როსტომის ხარი მოჰპარა. როსტომი ხარის მოპარვა დააბრალა არტენ ბოლას შვილს – ფანგანს. მალე კაცებიც მიუგზავნა ხარის საქმეზე. არტენი უარზე დადგა – მე არ მომიპარავს შენი ხარი, ეს იცოდე და ტყუილად ნუ მაბრალებო. მაშინ როსტომი ასეთი სიტყვა შემოუთ-



სოფელი უშგული, ზემო სვანეთი  
1929 წელი

ვალა მოციქულების პირით – თუ შენ არ მოგიპარავს ჩემი ხარი, წამოიყვანე კალის კვირიკეს ეკლესიაში ექვსი კაცი და ხატზე დაიფიცეო. თავის მხრივ არტენმაც შეუთვალა, რომ თანახმა ვარ, დავიფიცოო, მაგრამ ამ ექვსი კაციდან სამი კაცი შენი არჩეული უნდა იყოსო. ამას როსტომი არ დათანხმდა – მე შენ ექვს კაცს გიკეცავო (ჯიკცენი). ამდენი კაცი არტენმა ვერ იშოვა. ხატზე დაფიცება (ხატკა ლიდე) იმ საქმეზე, რაც დანამდვილებით არ იცის კაცმა, ადვილი არ არის. ძალიან შინაური თუ არ არის, სხვა ბნელით მოცულ საქმეზე ერთმანეთს არავინ მიუდგება (დწრ ხუნგი).

არტენი ქურდობდა. იმ დროს ხარის მოპარვა სვანეთში ვაჟკაცისათვის სახელიც კი იყო. არტენი სახელოვანი და სოფელში დაფასებული კაცი იყო.



რაკი როსტომიმი არტენისაგან უარი მიიღო და ექ-  
ვისი კაცის ხატზე დაფიცება ვერ შეძლო, ახალი მო-  
ციქულის გაგზავნა გადანიჭიდა. ამჯერად მოციქუ-  
ლად მამაჩემი (ივა) ივანე კორძაია შეარჩია. მამაჩემის  
ოჯახში როსტომიმი მიღებული და ყოველთვის სასურ-  
ველი შემომსვლელი (სგამეჭედ) იყო, ვინაიდან ის მა-  
მაჩემის ბიძასთან, არქიმანდრიტ თეოფანესთან იყო  
ნამუშევარი. თეოფანე წვირმის მაცხოვრის ფერიცვა-  
ლების სამრევლო ეკლესიის მოძღვარი იყო 41 წლის  
მანძილზე, როსტომიმი მასთან დიაკვნად მუშაობდა.  
შემდეგ თეოფანემ ახალი ეკლესია ააშენა დაუსახლე-  
ბელ ადგილას, რომელსაც სვანები ფეხს ეძახიან, თვი-  
თონ ამ ეკლესიაში გადავიდა, ხოლო წვირმის ეკლე-  
სიის მღვდლობა როსტომიმის დაუტოვა.

მამაჩემის პირით როსტომიმის არტენისთვის უნდა  
შეეთვალა, რომ რაკი ხატზე ვერ დაიფიცე, მთავრობა-  
ში გიჩივლებ და დავაჭერინებ შენს თავსაო.

სანამ არტენთან მივიდოდა მამაჩემი შეეცადა როს-  
ტომიმი დაერწმუნებინა იმაში, რომ სხვა გზა იყო მო-  
სანახი. მთავრობა კაცს დაიჭერდა და დაკარგავდა  
(ჩუაქრავი), ხოლო კაცის დაკარგვას ფუთაშა გვარი  
მას არ აპატიებდა. ფუთაშა ძლიერი გვარიაო, ეუბნე-  
ბოდა მამაჩემი. საქმე კარგად უნდა დაიზელოს (ლი-  
ჰიჭყე), არქარება აქ მავნე საქმეაო. მაშინ როსტომიმი  
მამაჩემს უთხრა – შენ დაუდექი მოწმედო. ამაზე მამამ  
უპასუხა – მანამდე არ ჭამოთ არც შენ და არც არტენ-  
მა პური, სანამ ამ ბნელ საქმეზე მე შალიანის ხატზე  
დავიფიცოო. ვინ რა იცის, ვინ მოიპარა შენი ხარი. ამ  
დღეებში, ხომ გახსოვს, გირგოლის ხარი უღლიდან  
მოხსნეს მულახელებმა. სოფელს რომ არ მიესწრო,  
ხარი უკვალოდ გაქრებოდაო.

როსტომიამ ბოლოს ჩივილზე დადგა ფეხი (ესგე ქიშხ). მეორე დღეს როსტომი მართლაც წავიდა ბეჩოში. მაშინ ბეჩოში იყო პოსტი, და უჩივლა არტენს. ბეჩოდან უჩუმრად წამოვიდა ექვსი მილიციელი თავისი უფროსით და შუალამისას ლოგინში მწოლიარე არტენს დაადგნენ თავზე. არტენი ძალიან ღონიერი და ძალიან მარდი იყო, მაგრამ ექვსმა კაცმა მას არ მისცა განძრევის საშუალება. მილიციელებმა არტენს უთხრეს, რომ გვითხარი, სადა გაქვს თოფი და ტყვია-წამალი – ჩაგვაბარეო.

არტენს უკვირს: რას მერჩით, რა დავაშავე ასეთიო. მათ აუხსნეს, რომ გიჭერთ იმის გამო, რომ როსტომის ხარი შენ მოიპარეო. არტენი უარზეა – მე არ მომიპარავს, ეს იცოდეთ და დამიჯერეთო. აბა, ვინ დაუჯერებდა. სამი მილიციელი კარში დადგა, რათა ოჯახის რომელიმე წევრი არ გასულიყო გარეთ და სოფლისთვის არ შეეცყობინებია ამბავი. არტენი თავისი ვაჟკაცობით მთელ სვანეთში იყო ცნობილი და მასთან მეგობრობდნენ წვირმის ყველაზე კარგი ვაჟკაცები – როფოზ ყიფიანი, მიშა და არჩილ კორძაიები, ეპო გიგლემიანი და სხვები. ახლა სამმა კაცმა უკან გადაუგრიხა ხელეები და თოკით მაგრად შეუკრეს ზურგთან. ისევ ეუბნებიან – თოფი სადა გაქვს, გვაჩვენეო. თოფი ერთი კი არა, სამი მაქვს და მაქვს რევოლვერიც, ასზე მეტი პატრონა, მაგრამ თქვენ არაფერს გაჩვენებთო.

– სად მიპირებთ, წაყვანას? – ეკითხება არტენი.

– სად და ქუთაისში, ციხეში ჩაგსვამენ.

– ოჯახის წევრებს მაინც მიეცით უფლება, ადგნენ და რამე საჭმელი გაამზადონ, მშვიერი ხომ ვერ ვივლი.

ამაზეც უარი უთხრეს მილიციელებმა.

– აბა, ეხლა წასვლა! – დაიძახა უფროსმა.

არტენი ფეხს ითრევს, იქნებ სოფელში რაიმე შეიტყონ და მაშინ თავს ვუშველიო. კიდევ ერთხელ შესთავაზა მილიციელებს:

– თქვენც მშივრები იქნებით, ავაციერთ ოჯახის წევრები და საქმელს მოგვიმზადებენ.

მილიციელთაგან უფროსმა, ალექსანდრე კაკრიაშვილმა ახლაც უარი უთხრა. ამდენ ხანს აქ ყოფნის დრო არა გვაქვს. სოფელმა თუ გაიგო, უდავოდ სიკვდილიანობა (დაგრობ) მოჰყვება ამ საქმესო. ასე გამოიყვანეს სოფლიდან.

მილიციელებიც ძალიან დამშეულნი იყვნენ. ბეჩოდან ფეხით წამოსულებს მთელი დღე არაფერი ჰქონდათ ნაჭამი, მაგრამ წვირმიში, არტენის სოფელში, ისინი ახლა ვერაფერს ვერ შეჭამდნენ.

– აქ მე ნათესავები მყავს, დედულებად მეკუთვინის მათი ოჯახი და იქ შევჭამთ საქმელს, – უთხრა მილიციელებს ალექსანდრე კაკრიაშვილმა.

– კარგი იქნება, თორემ უკვე არ შეგვიძლია სიარული, – დაიჩივლეს მილიციელებმა.

ახლა არტენი მოუბრუნდა მილიციელებს და ეუბნება:

– თქვე ძაღლებო, ხომ გთავაზობდით ჩემს ოჯახში პურის ჭამას, რატომ მიკარით ხელი. უშგულამდე მშივრები როგორ ვივლით?!

ჩვენი სახლი წვირმისა და იფარს შორის ცალკე დგას და ორივე სოფლიდან ერთნაირადაა დაშორებული – კილომეტრნახევარია წვირმიდანაც და მეორე სოფელ იფარიდანაც.

გვეძინა, როცა ძაღლებმა ატეხეს გნიასი და გავიგონეთ ხმამალალი დაძახილი:



ტრადიციული სვანური სახლები – „მაჩუბ“-ები, საცხოვრებელი ნაგებობები და მათზე მიშენებული კოშკები. უშგული, ზემო სვანეთი 1929 წელი

– დედულებო (დადაშა), ბუბა ივანე, ხართ თუ არა სახლში?

მამამ გადმომძახა ლოგინიდან, – ადექი, გაიხედეო.

ავდექი, სიბნელეში კარები ძლივს ვიპოვე, მაჩუბში ვცხოვრობდით და ღამე შიგ არაფერი ჩანდა. გავედი გარეთ და ვხედავ, რომ ჩვენს ორ ძალს მომწყვდეული ჰყავთ ადამიანების ჯგუფი მესერის კუთხეში და საცაა ვილაცას დაკბენენ. მე რომ დამინახეს ძაღლებმა, ყეფა შეწყვიტეს და მილიციელებიც გამოვიდნენ კუთხიდან.

– ბუბა ივანე ხომ სახლშიაო? – იკითხა ალექსანდრემ.

ვუთხარი, რომ მამა სახლში იყო. მაშინ ყველანი შემომყვნენ მაჩუბში. მამა შეკრთა ამდენი მილიციელის დანახვაზე, და რა ამბავია, თქვე კაი კაცებოო, იკითხა.

– არაფერი, კარგის მეტი, – უპასუხა ალექსანდრემ.

მამამ ანთებული კვარი საკვარეზე დადო და მაშინ-ღა დაინახა ხელებშეკრული არტენი.

– ეს რა ამბავია, რა ჩაიდინა ამ კაცმა, რა აქვს ასეთი დანაშაული?

– რა და როსტომის მოპარა ხარი, ამის გამო დავიჭირეთ და მიგვყავს ქუთაისში.

– თქვე კაი ხალხო, რას გავს კაცის ასე გაკოჭვა, კაცი ხომ არ მოუკლავს, ან სად გაგექცევით ექვს კაცს, სირცხვილი არ იცით? – შეიცხადა მამამ.

– ესენი ხომ ვაჟკაცები არ არიან, რა აზრი აქვს ამათთან ასეთ ლაპარაკს, – გამოეხმაურა არტენიც. – ფეხშიშველი წამომიყვანეს შუა ზამთარში, ფეხზე ჩაცმის უფლება არ მომცეს.

არტენს მართლა დახეული ქალამანი ეცვა ფეხზე, ქალამანში თომიც არ იყო ჩაფენილი, შიშველ ფეხზე ეცვა ცარიელი ტყავის ნაჭრები.

მამამ უთხრა ალექსანდრეს:

– გაუთავისუფლე ხელები, ფეხსაცმელს მე მივცემ და წესიერად ჩაიტნევს შიგ თომს. სად გაგექცევით ექვს კაცს უიარალო პატიმარი.

– ივანე, – უთხრა ალექსანდრემ მამას, – შენ თვითონ შეხსენი ხელები.

მამამ არტენს ხელები შეუხსნა, ხოლო ყველა მილიციელმა თოფი მოიმარჯვა.

არტენი უშვერი სიტყვით აგინებს მილიციელებს:

– თქვე ჩათლახებო, უკან შეგტენით ამ თოფებს.

თან ისე უბღვერს მათ, რომ თვალით ჭრის.

მამამ თავის ფეხსაცმელი მისცა არტენს. თან ახალი თომის კონა ჩამოუტანა დარბაზიდან.

არტენმა ლამაზად ჩატენა თომი ფეხსაცმელში, კობტად ჩაიცვა ფეხზე და მოისურვა გარეთ გაყვანა. ყველა მილიციელი გაჰყვა გარეთ. ქალებმა ამასობაში საჭმელი გაამზადეს.

ხორციის ალების კვირა იყო და ღორი ახალი დაკლული გვყავდა, ამიტომ ოჯახში ხორცი გვექონდა. მამამ თავისი ხელით დაუდო ხორცი ულუფა თითოეულ სტუმარს. მათ შორის არტენსაც, რა თქმა უნდა. არტენი ხორციის მსუქან ნაჭრებს ჯიბეში იდებს. შეხედავენ, არტენს ხორცი არ აქვს დარჩენილი. მე ძალიან გამიკვირდა, როცა დავინახე, რომ არტენი ამას მალულად აკეთებდა. არტენი მე მომიბრუნდა და მთხოვა, ნყალი მომიტანეო. ნყალი რომ მივანოდე, ჩემად მითხრა, პეხილი (ღორის მუცლის ქონი) თუ გაქვს, მომიტანეო, ოღონდ ჯერ მამას დაეკითხეო. მე მივედი, ავიღე ქონი და ნაჭერში გახვეული მივუტანე არტენს. ესეც ჩაიდო ჯიბეში.

ჭამა რომ გაათავეს, ალექსანდრემ უთხრა მილიციელებს:

– აბა, ახლა ნავიდეთ, უშგულში უნდა მოვხდეთ აუცილებლადო.

გამოვიდნენ გარეთ. ჩვენ სახლის უკან ეკლესია გვიდგას და კალოში გამოსულმა არტენმა პირფვარი გადაიწერა, პირი ეკლესიისაკენ ქნა და თქვა:

– დიდება მიგივიდეს, ღვთისმშობელო, მაღლით საესეს, მაღლიანო. მე თუ როსტომის ხარის ქურდი ვიყო, არ დამაბრუნო ცოცხალი, თუ არა და კარგად მაამზავრე და შინ მშვიდობით დამაბრუნეო.

მერე ალექსანდრეს მიუბრუნდა და ხუმრობით უთხრა:

– ახლა თქვენ წადით, მე ვერ წამიყვანთო.

არადა, არტენს ხელები შეხსნილი აქვს. ალექსანდრემ ჯერ მამას გადახედა, მერე არტენს და გაიღიმა. არტენი უხმოდ გაჰყვა. წინ ორი მილიციელი მიდის, მერე არტენი და დანარჩენები თოფებმომარჯვებულები მიჰყვებიან უკან.

თოვლი დევს ხუთი მტკაველი. წინმიმავალი მილიციელები ძლივს მიკვალავენ გზას. მთელი გზის მანძილზე ხან ერთი მილიციელი მიდიოდა წინ, ხან – მეორე, მაგრამ მალე იღლებოდნენ. ბოლოს არტენს უთქვამს, მე გამიშვით წინ, მეც გავკვალავ გზასო. ალექსანდრე დათანხმებულა. არტენი სხვა მგზავრებთან შედარებით დასვენებული იყო, ამიტომ ჩქარა მიდიოდა და ვერ ეწეოდნენ. თან გაქცევისაც შეეშინდათ და ისევ შუაში ჩაიყენეს. კალამდე რომ მიაღწიეს, აქ არტენს უთქვამს, ღამე კანცელარიაში გავათენოთო, მაგრამ ალექსანდრე უარზე დამდგარა. ეტყობა, იფიქრა, რომ აქედან გაგვექცევასო.

დიდი წვალების შემდეგ მიაღწიეს უშგულამდე. ალექსანდრე კაკრიაშვილი უშგულელი იყო და მან მგზავრები თავის სახლში მიიყვანა. იქ უკვე შვება იგრძნეს, აწი ვერსად გაგვექცევასო. ფეხზე გახადეს და ფეხსაცმელი სკივრში შეინახეს. სკივრი კლიტით ჩაკეტეს და კლიტე შეინახეს, ვერსად წავასო.

თოვს ძლიერ, თებერვალია, უშგულში განსაკუთრებით მკაცრი ზამთარი იცის. არტენი ფიქრმა წაიღო: ჩამიყვანენ ქუთაისში, იქიდან ცოცხლად უკან მომსვლელი მე არა ვარ, ბარამ აქ მოვკვდე, ჯობიაო.

არტენმა მილიციელებს გარეთ გაშვება სთხოვა. გაუღეს კარი და ორი მილიციელიც თან გაჰყვა. იქვე ეზოში იდგა ჯარგვალი. არტენმა აქ შესვლა სთხოვა. მილიციამ დაათვალიერა ჯარგვალი და როცა ნახა, რომ მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა და სხვა გასასვლელი არა, ნება მისცა არტენს, შიგ შესულიყო. აქ არტენმა ტანზე გაიხადა და წაისვა ქონი მთელ ტანზე და ფეხებზე. მერე ისევ ჩაიცვა და მორჩენილი ქონი



სოფელი უშგული დასავლეთის მხრიდან  
ზემო სვანეთი  
1929 წელი

შარვლის უბეში ჩაიდო. მილიცია გარედან ელაპარაკება და ეუბნება, რას აკეთებო ამდენი ხანი. არტენი პასუხობს, რომ ასე სჭირდება და თუ მილიციას ცივა, შევიდეს სახლში, თუ არა და იკავკავოს სიცივეში. სულ არ მერიდებაო, ეუბნება.

კარგა ხნის შემდეგ არტენი გამოვიდა და შევიდნენ სახლში. კარში შესვლისას არტენმა შეამჩნია, რომ გაღება-დახურვისას კარი ძალიან ჭრიალებს. ამასობაში საჭმელიც მოამზადეს. ჭამეს ერთად. არტენმა აქაც მოასწრო ძეხვის ნაჭერის ჩადება შარვლის უბეში, ისე რომ არავის შეუმჩნევია, რადგანაც სახლში სიბნელე იყო. მაშინ უშგულში კვარიც კი არ ჰქონდათ და არცისხის ქერქით ანათებდნენ მაჩუბებს.

ჭამას რომ მორჩნენ, არტენმა სიბნელეში დრო იხელთა. მივიდა დახურულ კართან და ქონი ჩამოუსვა



ჯერ ზედა ანჯამას, მერე ქვედას და შევიდა ისევ უკან. ახლა უნდა დანვინენ. არტენს ჩააცვეს ძველი ჩოხა და ჩაინვინეს შუაში. ალექსანდრემ და ერთმა მილიციელმა ჩოხის კალთები ქვეშ მოიტნიეს. მილიციელები მოდუნდნენ. აწი უკვე არაფრისა ეშინიათ. დანოლისას არტენმა შეუმჩნევლად ჩოხის სახელოდან ერთი ხელი გაითავისუფლა. როცა ყველამ დაიძინა, არტენმა მეორე ხელის გამოძრობაც შეძლო. ცოტა ხანს გაისუსა. მერე ჩუმად ადგა. ჩოხა მძინარეებს შეატოვა და ფეხშიშველა, ბლუზას ამარა კარებს მიადგა. კარები ფრთხილად გააღო. მათ არაფერი ხმა არ გამოსცეს. გარეთ გასულმა არტენმა ერთი-ორი ნაბიჯი სხვა მიმართულებით გადადგა. თოვლზე ისეთი კვალი დატოვა, თითქოს სხვა მხარეს წავიდა. თვითონ შედგა ამაღლებულზე და რამდენიმე მეტრის სიგრძეზე გადახტა. დაადგა გზას ფეხშიშველი, შარვალ-ხალათის ამარა.

ამ დროს მილიციამაც გაიგო. წამოხტნენ ზეზე, გამოვიდნენ გარეთ და ვერაფრით ხვდებიან, რომელ მხარეს წავიდა არტენი. ტრიალებენ ადგილზე და არ ჯერაათ, რომ ფეხშიშველი კაცი ამ თოვლსა და ქარბუქში სადმე წავიდოდა.

არტენი წვირმისკენ მიმავალ გზას დაადგა. ძალიან უჭირს ორმეტრიანი თოვლის გაკვალვა, თან კიდევ თოვს. ცხრამეტი კილომეტრი უნდა გაიაროს ფეხშიშველამ, შარვალ-ხალათის ამარამ. ცდილობს, იაროს რაც შეიძლება ჩქარა – ასე ნაკლებად გრძნობს სიცივეს.

გათენებისას მოაღწია სახლამდე, სახლში ტანზე და ფეხზე კარგად ჩაიცვა, იარალი შეიბა და წავიდა თავისი მეგობრების სანახავად. მეგობრებს უამბო ეს ამბავი, რაც მას ამ ღამეს გადახდა, მაგრამ არ უჯერებენ.

– დაიჯერებთ თუ არა, ეს თქვენი საქმეა, – ეუბნება არტენი მეგობრებს, – ერთი რამე კი ჰქენით. მილიცია აუცილებლად მოვა აქ. თქვენ მათზე გაინიეთ, ატეხეთ აყალმაყალი, დააბრალეთ, რომ მათ მე მომკლეს და მოითხოვეთ გაჩვენონ, სად დამაგდეს.

მეგობრებმა უთხრეს, ჩვენ მართლა არაფერი გაგვიგონია, თორემ არ გავატანდითო შენს თავს.

მილიციელები მართლა დაედევნენ. ჯერ მამაჩემთან შემოიარეს ალექსანდრემ და მისმა თანამხლებლებმა. ისე იყვნენ დალლილი, რომ ფეხზე ძლივს იდგნენ. ალექსანდრემ მამას ჰკითხა, არტენი მოვიდა აქ და სად უნდა იყოს ახლაო. მამამ ძლიერ შეიცხადა:

– მე რას მეკითხებით, არტენი თქვენ თვითონ წაიყვანეთ, მე რა ვიცი, სად არის. როგორ ფიქრობთ, იმას რამე რომ მოუვიდეს, ფუთაშა (ფანგანები) თქვენ დაგედევნებათ. არავითარ შემთხვევაში წვირმიში არ წახვიდეთ, თორემ დღეს იქ მკვლელობა მოხდება. თქვენ მოგკლავენ, ეს იცოდეთო.

შემდეგ მამამ გამოკითხა ალექსანდრე:

– როგორ გაგექცათ ან სად წავიდაო?

ალექსანდრემ უამბო, როგორც იყო:

– ფეხსაცმელი გავხადეთ, სკივრში ჩავკეტეთ და კლიტე შევინახეთ, შუაში ჩავინვინეთ, ჩოხა ჩავაცვით და ჩოხის კალთები ჩვენ ქვეშ ჩავიტინეთ. ჩოხა ჩვენ შეგვატოვა და თვითონ სადღაც გაქრა, ფეხშიშველი, ხალათის ამარა.

ახლა მამაჩემი ეუბნება, რომ ასე ის არსად წამსვლელი არ იყო. ალბათ თივაშია ჩაფლული ან შენობის რომელიმე ნაწილშია – გომურში, საქონლის ბაგაში ან სადმე სხვაგან. წვირმიში თქვენ არაფერი გესაქ-

მებათ და ნურც ნახვალთო. მართლაც, მოუხვიეს და უკან დაბრუნდნენ, უშგულში. შემდეგ იქ რა ქნეს, მე არ ვიცი. მათი ნასვლის შემდეგ მამაჩემმა თქვა, არტენი აუცილებლად წამოვიდოდაო უშგულიდან. მისთვის საძნელო არაფერია, მაგრამ ვაითუ გზაში სადმე მოკვდაო. ალბათ, უნდა წავიდე წვირშიში, გავიგებ, მივიდა თუ არა სახლში, თუ არა, სოფელს უნდა შევატყობინო და წავიდეთ საძებნელადო.

მამა წავიდა წვირშიში და პირდაპირ არტენის ოჯახს მიადგა. ჰკითხა, არტენი ხომ არ მოსულა სახლში, მილიციას გაქცევიაო. ოჯახმა იუარა, არა, არ მოსულაო. მამა გამობრუნდა და დააპირა საძმოში წასვლა, შევატყობინებო საქმის ვითარებას. თუ საჭირო გახდება, სოფელი შეიკრიბება და წავალთ საძებნელადო.

არტენის სახლიდან რომ გამოვიდა, მალე შეხვდა როფოზ ყიფიანს.

– კარგი დღე ჩემს ძმა ივანეს, – მიეგება როფოზი, – რატომღაც ძალიან ადრე გამოსულხარ სახლიდან.

– დიდი საქმეა, ნუხელ არტენი წაიყვანა მილიციამ. უშგულიდან გამოქცევიათ ფეხშიშველი, ხალათის ამარა. სახლში არ მისულა, ალბათ, გზაში მოკვდა სიცივისაგან.

როფოზს გაეცინა:

– არ მოიკლავს არტენი თავს.

– შე კაცო, სიცივე მოკლავდა, – ეუბნება ივანე.

– შიში ნუ გაქვს, არტენი ჩემთან არის, – პასუხობს როფოზი.

– ფეხები ხომ არ მოუყინია?

– არა, კარგად არის, – დაამშვიდა როფოზმა.

მამა მობრუნდა და სახლში მოვიდა. რომ ჰკითხეს, ხომ არ დაბრუნებულაო არტენი, მამამ დამალა,

არ დაბრუნებულაო. ეტყობა, მამას შეეშინდა, ოჯახში ბავშვები არიან და არ წამოსცდეთ ვინმესთან რამეო.

ასე, სახლში რომ კარგად დაბრუნდა, არც გაცივდა და არც ფეხები მოეყინა, როგორც ადრე, ისე დადიოდა ტოლ-ამხანაგებში და თან იმას არკვევდა, ვინ იყო როსტომის ხარის ნამდვილი ქურდი. თვითონ არ მოუპარავს, როსტომის კი დაეკარგა ხარი. ძალიან ცდილობს, რომ გაიგოს რამე.

ერთხელ შეხვედრია ქალს, რომელსაც უთქვამს არტენისათვის, რომ მე გეტყვი, ვინ მოიპარა ხაროო. ეს ხარი როსტომისა იყო, თუ სხვისი, მე ეს არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ ხარი წვირმიდან წამოიყვანესო.

ეს ამბავი ძალიან გაუხარდათ არტენსაც და მის მეგობრებსაც. ქალს შეჰპირდნენ, შენ გვითხარი, ვინ მოიპარა, ერთ ხარს თქმისათვის (ნათხრობიელი) შენ მოგცემთ, არავინ გაიგებს, ვინ გვითხრა ეს ამბავი. შენი სახელის ხსენება საერთოდ არ იქნება, ამის პირობას გაძლევთო. ქალმა უთხრა, ვინც იყო ხარის ქურდი.

არტენმა შეუთვალა, კვირიკეს ეკლესიაში უნდა დაიფიცოთ, რომ ასეთი ფერის ხარი თქვენ არ მოგიპარავთ, მოწმეები უნდა იმოვოთ ექვსი კაცი, თქვენი მეზობლებიო. გაუგზავნა ორი კაცი, მათ აცნობეს იმ ოჯახს, ვისზეც ჰქონდათ ეჭვი, რომ თუკი ისინი შალიანის ხატზე დაიფიცებდნენ, მაშინ არტენი (მწლვრას) გადაიხდის იმდენს, რამდენსაც ეჭვიმითანილები დაუთქვამენ. თუ ხატზე ვერ გავლენ, ეს იმას ნიშნავს, რომ თვითონ არიან ქურდები და არტენს მათთან ექნება საქმე. დაელოდა არტენი, რას იზამდნენ ეჭვიმითანილები. ნახა, რომ არავინ დაუდგათ იმის მოწმეებად, რომ ეს საქმე მათ არ ჩაუდენიათ. დაუმტკიცდათ, რომ

როსტომის ხარის ქურდები ნამდვილად ისინი იყვნენ. არტენმა ქურდებს სამი ხარის ფასი (ლუგვენ) წაართვა, იქიდან ერთი ხარი იმას მისცა, ვინც გააგებინა ეს ამბავი (მთხრობელს). ასე იყო ეს საქმე.

გავიდა კარგა ხანი, ყველას უხაროდა, რომ არტენის საქმე ასე კარგად დამთავრდა. ხარის ქურდობაც არ დაუმტკიცდა, ცხრამეტი კილომეტრის გავლა ფეხშიშველმა და პერანგის ამარამ შეძლო ორმეტრიან თოვლში. ეს დიდი ვაჟკაცობა იყო.

ერთ დღეს არტენმა სისუსტე იგრძნო. ღამე სიცხე მისცა. მეორე დღეს ველარ ადგა. თანდათან მოეკიდა ავადმყოფობა და საბოლოოდ ორი წლით მიეჯაჭვა ლოგინს. თურმე ფილტვები გადაუგვარდა, სასტიკად გახდა, ხორცი დაყარა. თანდათან ფილტვები აღუდგა, ავადმყოფობამ თითქოს გადაუარა, მაგრამ გამხდარი დარჩა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

არტენი ძალიან სამართლიანი იყო. უსამართლოდ არავის დაჩაგრავდა და არც სხვას აძლევდა უფლებას იმისა, რომ ვინმე ვისმე დაეჩაგრა. მისგან წყენა სოფელში არავის ახსოვს. სოფელს ის ახსოვს, რომ თავის დროზე მას არავინ არაფერში ჯობნიდა. ძალიან მარდი და ცქვიტი იყო. სოფლის ახალგაზრდობას ჰქონდა ასეთი სახის შეჯიბრი: სოფლის სკოლას ჰქონდა ხუთმეტრიანი სიმაღლის ჭერი. ჭერზე ქუდს ჰკიდებდნენ. ბიჭები მიახტებოდნენ კედელს და რამდენიმე ნაბიჯი უნდა გაეკეთებინათ კედელზე და ფეხით ქუდი ჩამოეგდოთ. არტენის გარდა სოფელში ამ ქუდს ვერავინ ხსნიდა. ოთახის შუიდან გამოქანდებოდა და კედელს მიახტებოდა. სამ ან ოთხ ნაბიჯს დგამდა კედელზე, ბოლოს მოიქნევდა ფეხს და ჭერზე დაკიდებულ ქუდს ფეხით ძირს ჩამოაგდებდა.



ენგურში ლოდზე მდგარი კოშკი კალა-იფარის გზაზე  
1929 წელი

იმ დროს ქურდობა იყო. ის არ მიიჩნეოდა სამარცხვინოდ, თუ ვაჟკაცი გარეთ სოფელს ხარს მოპარავდა. არტენი ამ საქმეშიც არავის ჩამორჩებოდა.

ძალიან პურმარილიანი, ალალი კაცი იყო. მისი მეგობრები იხსენებენ, რომ ერთ დღეს დაუპირებიათ ქეიფი, მაგრამ ხორცი არ ჰქონიათ. რამდენიმე კაცი და მათ შორის არტენიც წასულან საქურდალზე. არ გაუმართლათ და ცარიელი დაბრუნებულან. არადა, სასმელი ჰქონიათ. მაშინ არტენს უთქვამს მეგობრებისთვის, რომ სააღდგომოდ დედამისს ვერძი ჰყოლია დარბაზში თივაზე მიბმული. წავიდეთ, იმას მოგაპარვინებთ და ვიქეიფოთო. მართლაც, წასულან ოთხნი. ღამით ოჯახს ძაღლები აშვებული ჰყოლია. გამოენთნენ მოსულებს, მაგრამ მალე შეწყვიტეს ყეფა, როცა არტენის ხმა გაიგონეს. არტენი შესულა დარბაზში. გამოუთრევია იქიდან ვერძი და გადაუცია იმათთვის,

ვინც ახლდნენ. ნაუყვანიათ ეს ვერძი და დაუკლავთ ღამე წვირმის მაცხოვრის ეზოში. თან შეუწირავთ მაცხოვრისთვის და ოჯახის სიკეთე უთხოვიათ მისთვის. ეს ეკლესია არტენის სახლს უკან დგას.

მეორე დილას არტენის დედას – ირინეს წყალი აუტანია ვერძისათვის დასალევადა. ნახა, ვერძი თოკიანად დაკარგულა. ძალიან შეუცხადებია, ქაჯები შეისია, მაგრამ რას გახდებოდა. მე ეს ვერძი არტენის მშვიდობაზე შევავედრე ღმერთს, არტენის სადღეგრძელოდ და ჯანმრთელად ყოფნისათვის, და ვაპირებდი აღდგომაზე დაკვლას, – ხმამაღლა ამბობდა ირინე. იმავე დღეს არტენის მეგობრებს ნახევარი ცხვარი ოჯახისათვის გამოუგზავნიათ.

ავადმყოფობის შემდეგ არტენმა ძალიან დაიკლო ყველაფრით, გახდა და უხალისო შეიქმა. ცოლის შერთვასაც არ აპირებდა, მაგრამ შეუჩნდნენ და სოფელ ადიშიდან მოჰგვარეს კარგი ოჯახის შვილი, თავადაც კარგი ქალი, სირი. შეეძინათ ექვსი შვილი. ორი უფროსი ვაჟი გარდაეცვალათ – უკვე დავაჟუკაცებული, ძალიან კარგი ვაჟუკაცები. არტენმა ცრემლი არავის დაანახვა.

ბევრჯერ ხდება უსამართლობა. არტენსაც ნაანყდა ის. როსტომის რომ ხარი დაეკარგა, ეს ყველამ იცოდა. არტენიც იპარავდა ხარებს, მაშინ ეს დაუძრახავ საქმედ იყო მიჩნეული. მოსალოდნელია, ასეთმა შემთხვევამ ვინმე დაჩაგროს. ახლა არტენი დაზარალდა.

როსტომის არტენი არ დაემდურა. არც უთხრა რამე. სამაგიეროდ, იმათ ეშინოდათ არტენისა, ვისაც ხარის მოპარვა დაუმტკიცდათ. სოფელ მულახიდან წვირმიში ამოსვლას ისინი ძალიან ერიდებოდნენ. როსტომის, მართალია, არაფერი უთხრა არტენმა, მაგრამ

იმ თავყრილობაზე მოსვლას, სადაც არტენი იმყოფებოდა, როსტომი ბოლომდე ერიდებოდა.

ავადამყოფობის შემდეგ არტენი, მართალია, ფიზიკურად დასუსტდა, მაგრამ გულადობა და სულიერი სიმტკიცე ბოლომდე შეერჩა.

ერთხელ, უკვე ნაავადმყოფარი არტენი და მისი ხუთი თანამგზავრი წვირმიდან ზუგდიდში მიდიოდნენ. მაშინ მანქანები არ იყო და ფეხით მგზავრობდნენ. საგზალი და სხვა რაღაც ბარგი თვითონ ზურგით მიჰქონდათ. ასე მიდიოდნენ არტენი და მისი ამხანაგებიც, როცა სოფელ ლახამულასთან მგზავრს გადაეყარნენ. კაცი შეიარაღებული იყო და გზის პირას იდგა. გზის ზემო ნაპირზე საქონელი ძოვდა. ზოგი საკმარისად შორს იყო ასული და ტყეში შესვლას აპირებდა. შეიარაღებულ კაცს ერთი მგზავრიც ახლდა.

როცა არტენი და მისი თანამგზავრები მიუახლოვდნენ, შეიარაღებულმა უბრძანა:

– გაჩერდით აქ. თქვენ ადით და ჩამორეკეთ საქონელი, ახლავე, თორემ თოფის წერად გაგხდით, მე პეტრე ვარ, საბანიძე.

პეტრე ცნობილი ყაჩაღი იყო, მას მთელი სვანეთი იცნობდა. ძალიან ულმობელი და შეუბრალებელი იყო, რაღაცით გამწარებული, და მისი ყველას ეშინოდა.

– შენ თუ პეტრე საბანიძე ხარ, მე არტენი ვარ, ფანგანი. შენი საქონლის მწყემსს მე რა ვუთხარი, – შეუტია არტენმა.

პეტრემ ტყვია თოფს პირში მისცა და მოუღერა არტენს:

– ახლავე გაგათავებ, გლახა ბალსზემურო.

არტენი წვდა ხელში, და ვიდრე ის თოფს დაუმიზნებდა, გამოსტაცა ხელიდან ვინტოვკა.



– თავზე დაგამტვრევ შენს თოფს, გლახა ლახამურელო, – უთხრა არტენმა, თოფი ისევ დაუბრუნა.

პეტრე ახლა სხვებს მიუბრუნდა და შეათამაშა თოფი ხელში. სხვებს შეეშინდათ და დააპირეს საქონლის ჩამოსარეკად ზევით ასვლა. არტენმა შესჭყვივლა:

– არ გაბედოთ, ფეხი არ გადადგათ, თორემ მე თვითონ დაგხოცავთ ყველას.

ახლა პეტრემ ისევ არტენისაკენ ქნა პირი:

– დღეს გინია ნანერმა, ხოლა მუჟაბირ.

არტენი ეუბნება:

– გაჩუმდი, თორემ იმას ნახავს ხალხი, ვის უნია დღეს ნანერმა.

პეტრემ მთლად ცეცხლი წაიკიდა:

– ვის უბედავს ეს საცოდავი, დაავინყდა, რომ მე ყველა ფუსდ პეტრეს მეძახის.

– მე ფეხებზე მკიღია, ვინ რას გეძახის, – პასუხობს არტენი.

საქონელი იმან ჩამორეკა, ვინც პეტრეს ახლდა. არტენის შიშით მისმა თანამგზავრებმა ეს ვერ გაბედეს. პეტრესაც არ დაუძალებია მეტი, მაგრამ არტენს მთელი გზა ეჩხუბება. ასე, ჩხუბსა და აყალმაცალში შემოაღწიეს ხაიშამდე. პეტრეს ხაიშში მიჰყავდა საქონელი და ამიტომ მთელი გზა ერთად უნდა ევლოთ.

ხაიშში პეტრეს ხალხი შემოეხვია და იქვე, სასადილოში დაუნყეს დაპატიჟება. პეტრე სხვებს არ გაჰყვა, ხელი გადახვია არტენს და თვითონ შეუძღვა სასადილოში. უთხრა არტენს, რომ შენი ამხანაგებიც შემოვიდნენო, ოღონდ ისინი არაფრის ღირსნი არ არიან. ამათში მარტო შენა ხარ ვაჟკაცი. იქვე გადაეხვია არტენს, გადაკოცნა. კარგად იქეიფეს, ბოლოს ჯიბე-



წმინდა კვირიკესა და წმინდა ივლიტას ეკლესია კალაში  
(ლზგურკა)

ში ფულიც ჩაუდო, კარგა მანძილზე გამოაცილა, გზა დაულოცა და თვითონ დარჩა ხაიშში.

არტენმა დარჩენილი ერთადერთი ვაჟიშვილი 15 წლისა დააქორწინა. თვითონ შეურჩია საცოლედ ისეთი გოგო, რომელსაც დიდი ხნიდან აკვირდებოდა და როცა დარწმუნდა, რომ ეს გოგო ის იყო, ვინც მის ოჯახს ღირსეულად გაუძღვებოდა მომავალში, რძლად მოიყვანა.

ამჟამად მათ 10 შვილი ჰყავთ. ალბათ, იციან უფროსმა შვილიშვილებმა ის, თუ თავის დროზე, რა სახელოვანი იყო მათი ბაბუა. უმცროსებიც მალე გაიგებენ.

მე არტენზე უმცროსი ვიყავი, მაგრამ მეკიდებოდა როგორც თანატოლს. ეს მას საერთოდ ასე სჩვეოდა.

## ხარების ამბავი

აქ რომ ამბავს ვწერ, ეს დიდი ხნის წინ მოხდა. უკვე დიდი ვიყავი, ცოლ-შვილიანი. იმ წელიწადს მთაში გადენილი სოფლის ჯოგი უდროოდ დაბრუნდა მთიდან. ჩვეულებრივ, ხარებს გარეკავენ მთაში გაზაფხულზე, ხვნას რომ დაამთავრებენ. ხარებს მანამდე ტოვებენ იქ, სანამ მკა და თიბვა არ დაიწყება. ხარებთან ერთად ხშირად მოზარდ საქონელსაც გარეკავენ ხოლმე. მოზარდად ითვლება მოზვერი და დეკეული. როგორც შემდეგ გაირკვა, სოფლის ერთ-ერთ მოსახლეს მთაში გაურეკია ზრდასრული დეკეული. ეს დეკეული ამტყდარა მთაში. ხარებს ეს უგრძენიათ და ამ დეკეულს დაედევნენ. მან სოფლისკენ ჰქენა პირი და მთელი ჯოგი ხარებისა მას დაედევნა. მართალია, ყველა უღელდადებული ხარი განმენდილია, მაგრამ ატეხილ ძროხას მაინც დასდევს.

ერთ დღეს, დაახლოებით შუადღისას, სოფელ ბოგრეშში, სასოფლო საბჭოს წინ, მტვრის კორიანტელი დადგა. რალაც უცნაური სანახაობა იყო. მთელი იფარის და ბოგრეშის ხარები ამ დეკეულს მოსდევდნენ. გზად რომ შეხვედროდნენ ადამიანს, ეგრევე გადაუვლიდნენ და გათელავდნენ. რალაცით ჰგავდა წყალდიდობას ან თოვლის ზვავს, რომელიც ყველაფერს ნალეკავს თავის გზაზე. უკვე იმის საშიშროება შეიქნა, რომ ვილაცას დალუპავდა ეს ჯოგი. ამ დროს ბოგრეშში მცხოვრებმა რომანოზ გულბანმა მოპირდაპირე მხარეს ყანაში შესასვლელი მესერის ჭიშკარი გახსნა. დეკეული შიგ შევარდა. რომანოზმა მოასწრო ჭიშკრის აყუდება და ხარები აქ შედგნენ. ორმა ხარმა მოასწრო შიგ შეყოლა, მაგრამ ჯოგი რომ ჩამორჩათ, რალაცა



ტრადიციული სვანური გუნდური ცეკვა „ფერხული“  
მესტია, ზემო სვანეთი  
1929 წელი

იგრძნეს, თუ რა იყო – მოეშვნენ, მოდუნდნენ. გაჩერდნენ და ვხედავდით, როგორ ხშირ-ხშირად სუნთქავდნენ, თითქმის ხვნეშოდნენ.

გარეთ დარჩენილი ჯოგი არც მისძალებია ქიშკარს. ოფლში განურულმა საქონელმა ლობეების გასწვრივ დაიწყო ბორიალი. ცოტა ხნის მერე გზა მთლიანად გაივსო დანოლილი ხარებით. მთელი ბოგრემის მოსახლეობა გამოვიდა გარეთ და უყურებდნენ ამ სანახაობას. ხანშიშესულები ამბობდნენ, რომ ამ ასაკს მოვიყარე და მსგავსი რამ არც მინახავს და არც გამიგონიაო. მართლაც, უცნაური რამ სანახაობა იყო. ვილაცები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ დეკეული არაფერ შუაში იყო, მთაში, სიცხის დროს, გამოჩნდებოდა კელის სიდიდის მწერი, რომელიც ზუზუნით დაფრინავს და ეს ხმა

საქონელს შიშის ზარს სცემს. ხანდახან ეს მწერი გუნდად დაფრინავს და ზუზუნის ხმაც უფრო ძლიერია. მთელ ჯოგს აფრთხობს და აგიჟებს. თუ საქონელს მოეკიდა, ან კუდქვეშ უძვრება და შედის მუცელში, ან ნესტოებიდან შედის თავშიო. რამდენად მართალი იყო ის ხალხი, ვინც ამას ამბობდა, არ ვიცი, მაგრამ მინახავს ულელდადგმული ხარები, რომელთაც მარხილი ჰქონიათ შებმული, როგორ დაფეთებული დარბიან და არაფერს ეპუებიან; მინახავს ადიშის მდინარეში ჩავარდნილი და იქ დამხრჩვალნი ულელი ხარი, ამ ბუზანკალის მიერ შეშინებული. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში საქონელი ან შენობაში შედის, ან თუ სადმე ახლოსაა, მდინარესა თუ ტბაში. იმასაც ამტკიცებენ, რომ ეს მწერი კვერცხებს საქონელს ზურგზე ტყავქვეშ უდებს, თანაც ისეთ ადგილას, სადაც საქონელი ვერ მიწვდება, ვერ მოიფხანს რქებით და ვერც ენით გალოკავს. მართლაც, ბევრჯერ მინახავს საქონელი, რომელსაც შუა ზურგზე, ხერხემლის გაყოლებაზე, რამდენიმე ამობურცული სველი ადგილი აქვს. როგორც ჩანს, ეს სიმწიფის ნიშანია და მატლი თუ მწერი უკვე ამოსულია ზურგიდან. ისიც დასაჯერებელია, რომ მწერი ამისთვის ყველაზე ჯიშთან საქონელს არჩევსო. მე რაც მინახავს, მართლაც, ყველაზე კარგი ხარის ან მოზვრის ზურგზე მინახავს ეს ამობურცული ადგილი. ეს ის ბუზია, რომელიც ასე აფრთხობს საქონელს, თუ სხვა არის, ამას მე ვერ გეტყვით.

იფარის მთა ლეებიდან მაშინ ჩამოსულ ხარებს ჩვენი ოჯახის ულელი ხარიც ერია. ორივე ხარი ერთად დაწვა პირდაპირ ხიდისპირას. როცა მივედი და ხელი გადავუსვი, არც ერთი არ ამდგარა ფეხზე. მახსოვს,

ერთს შუბლზე თეთრი ბალანი ჰქონდა და სახელად შხარის ვეძახდით. რომ მოვეფერე, თავი ჯერ აწია და მერე ნიკაპით მიწას დაეყრდნო, თითქოსდა იმას მეუბნებოდა, ფეხზე ვერ ავდგები, ხედავ, რა დღეში ვარო.

## არჩვის თავი

ჩვენ ორ სოფელს შუა ცხოვრობთ, სოფელ იფარსა და სოფელ წვირმის შუა. ორივე სოფლიდან თანაბარი მანძილით ვართ დაშორებული. იფარლებს მიაჩნიათ, რომ ჩვენ იფარლები ვართ, წვირმელები კი წვირმელებად გვთვლიან. ორივე სოფელში ცხოვრობენ ჩვენი მოგვარეები და ორივეგან გვყავს ნათესავ-მოყვრები.

ზაფხულში საქონელს ან იფარის მთაში ვერეკებით, ან ზეგნის მთაში – გიცლაშში. ზეგანიც იფარის სასოფლო საბჭოში შემოდის. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ზეგნელები ნაკიფარის საქონელს არ უშვებდნენ თავის მთაში, გიცლაშში. ამას თავის მიზეზი ჰქონდა. ადრე ზეგანშიც და ნაკიფარშიც ბევრი მოსახლე ცხოვრობდა, საქონელიც უამრავი ჰყავდათ. ბევრი საქონელი, ბუნებრივია, მეტს ძოვს და შეიძლება, საკვები არ იყოს მთელი ზაფხულის საკმარისი. ჩვენ კი არასოდეს გვიშლიდნენ – არც იფარლები და არც ზეგნელები. თავისუფლად მივერეკებოდით საქონელს ერთი მთიდან მეორე მთაზე. გარდა ამისა, სოფელ წვირმის მთაშიც თავისუფლად დაგვყავდა ჩვენი ხარები. არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა იმისა, რომ როდისმე უკმაყოფილება გამოეთქვათ წვირმელებს იმის გამო, რომ ჩვენ წვირმის მთაში გვყავდა ხარე-

ბი. იყო მეოთხე მთაც, რომელიც ჩვენი წინაპრისა იყო. მას დღესაც თეოფანეს მთას ან ბუბას მთას ეძახიან. აქაც, ბუნებრივია, დაგვიდიოდა საქონელი. იმის გამო, რომ ჩვენ არასოდეს არც ნაკიფარი, ზეგანი ან წვირ-მი უარს არ გვეუბნებოდნენ, ამ სოფლების კუთვნილ მთაში გაგვერეკა ხარბი, ცხენი ან მოზარდი საქონელი, ჩვენც არასოდეს გამოგვითქვამს უკმაყოფილება ბუბას მთაში მათი საქონლის ყოფნის გამო. კარგი ხალხი ადამიანს იძულებულს ხდის, თვითონაც კარგი იყოს.

რაკი ხარები ადრე დაბრუნდნენ მთიდან, ორი-სამი დღე ვამუშავე სახლში და შემდეგ წავიყვანე ბუბა თეოფანეს მთაში. ეს მთა უფრო მაღალია, ვიდრე იფარის მთა ლეები. ამიტომ ბუბას მთაზე თოვლი უფრო გვიან დნება. ახლა უკვე ამ მთის სეზონი იყო. საქონელი აქ წინა წელსაც მყავდა, ამიტომ, როცა მიხვდნენ, რომ მთაში მიმყავს, ხარები ისე ჩქარა წავიდნენ, რომ მიჭირდა დაწევა. შემეძლო, არც გავყოლოდი, თვითონ მივიდოდნენ, მაგრამ მაინტერესებდა, როგორი ბალახი იყო იქ და ვის საქონელთან იქნებოდნენ ჩემი ხარები.

ბუბას მთაზე შევხვდი წვირმელ მამია თამლიანს. მას ცხენი დაკარგვოდა და მეორე დღესაც ამ ცხენს დაეძებდა. ღამე მთაში გაეთია და დაღლილი ჩანდა. მეუხერხულა მისი მარტო დატოვება და შევთავაზე, ერთად გადავიდეთ-მეთქი იელის მთაში ან სხვაგან, სადაც მიგაჩნია-მეთქი საჭიროდ. მაღლობა მითხრა და სიამოვნებით დამთანხმდა დავრჩენილიყავი მასთან. მთელი დღე საკუთარ თავთან ვლაპარაკობ, ლამის გავგიჟდე, ახლა ხმის გამცემი მეყოლებო, მითხრა.

დავადექით გზას. ერთ ხევში დიდი მყინვარი იწვა. სამი მხრიდან ერტყა ღრმა ხევები და, ბუნებრივია,

ზამთარში ზვავს სამივე მხრიდან მოჰქონდა დიდძალი თოვლი. ჩავარდნილ ადგილას იყო, მზეც გვიან ადგებოდა, და ამიტომ ყინული ბოლომდე არასოდეს დნებოდა. ზედ რომ დავდექით, ვნახეთ, რომ მთელ სიგრძეზე ჰქონდა ღრმა ბზარი, ორად იყოფოდა ყინულის მასა. მამიამ მითხრა, რომ უცნაური რამ ხდება, ხუთი წლის წინ აქ სულ რამდენიმე ნაპრალი – ბლე იყო, ახლა რა დამართვინაო. მერე გადაწვა მყინვარზე, ნაპრალს ყური დაადო და მითხრა: ომინდე, ნახე, აქ რა ხმაური ისმისო. მეც გადავწექი ყინულზე, ყური დავუგდე და როგორც მთის მდინარე მოშხუის მაშინ, როცა ადიდებულაია, ასეთი შხუილი გავიგონე. მამიას ვუთხარი, ალბათ, გამოქვაბულივით ექნება წინა მხრიდან, ჩავიდეთ, ვნახოთ, იქნება შენი ცხენიც იქ იყოს-მეთქი გასაგრილებლად შესული.

ჩავედით. ცხენი არა, მაგრამ ხარები კი ბევრი იყვნენ, სიცხესა და ბუზებს არიდებდნენ იქ თავს. მყინვარში ბოლომდე იყო გაკეთებული გვირაბი. ყინული მთელ გაყოლებაზე დნებოდა და ზევიდან ისე ჩამოდიოდა წყალი, როგორც დიდი წვიმის დროს მინდორში. შესასვლელთან, დაახლოებით 7-10 მეტრის სიღრმეში, ყინულის ჭერზე ეკიდა არჩვის თავი და წინა ფეხები. უკანა ფეხები ისევ ყინულში იდო. შემზარავი სანახაობა იყო. ცხოველს პირი ჰქონდა დაღებული, ენა გადმოგდებული და ყინულის ნადნობი წყალი ისე მოუყვებოდა არჩვის თავს, კაცი იფიქრებდა, ცხოველი პირიდან ღვრისო წყალს. როგორც ჩანს, ოდესღაც, ალბათ, თოვლის ზვავში მოყვა არჩვი. ჩამოიტანა დაბლა და აქ დარჩა. ვინ იცის, რამდენი წელი იყო მყინვარში. ახლა, რაკი ყინული დადნა, ცხოველიც გამოჩ-



ნდა. შემზარავი სანახაობა კი იყო. კარგა ხანს მედგა თვალწინ ეს უჩვეულო სურათი. ვფიქრობდი, საღამოს მარტოკას რომ მენახა ასეთი რამ, ალბათ, შემემინდებოდა. მსგავს რამეს ადამიანი სიცოცხლის მანძილზე, ალბათ, იშვიათად ნახავს.

უცნაური რამ იყო და ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, დამეწერა.

## გზის მშენებლობა

სვანეთში არაკად ჰქონდათ გამონათქვამი: გაჭირვება ადამიანს ნელღ ძნას გააღწევინებსო.

ერთ დღეს ბიძაჩემი, ივანე გულბანი, ჩავიდა მულახში და იქ გაიგო ამბავი იმის შესახებ, რომ ზემო სვანეთში სამანქანო გზის გაკეთებას აპირებდნენ და ამ საქმის უფროსად ეგნატე გაბლიანიო დანიშნული. მუშაობის ძალიან კარგი პირობებიაო შექმნილი. ტანსაცმელსაც კი აძლევენო.

ბუბა ივანე წვირმიდან ჩამოვიდა ჩვენთან, მოგვიკითხა და შემდეგ მე მომიბრუნდა და მკითხა: – გაქვს შენი თავის იმედი, რომ გზის მშენებლობაზე მუშაობას შეძლებო? მე ვუთხარი, რომ სხვა თუ არაფერი, მინა-ლორღის ნიჩბით გადაყრას მაინც შევძლებ-მეთქი. უკვე მოზრდილი ვიყავი. აბა, მოემზადე და ხვალ აუცილებლად წავალთო, მითხრა ბუბა ივანემ. მოვემზადე და მეორე დღეს წავედით ექვსი კაცი.

დავადექით ფეხით გზას, მტერს ისეთი, ქალამნები მალე შემომაცვითა ფეხზე. გზა მარტო საცალფეხო იყო, ქვა-ლორღიანი და ეკალ-ბარდიანი. წავედით დასავ-



ხიდი ენგურზე (ლენჯვრა)

ლეთისკენ და ორი დღის მერე მივალნიეთ დიზამდე. უფროსობა ყველა აქ იყო, მათ შორის ეგნატე გაბლიანიც. ბუბა ივანე ყველას მიესალმა და უთხრა, რომ წამოიყვანა ბრიგადა შვიდი კაცის შემადგენლობით. ეგნატე თითოეულად ყველას მოგვესალმა, ხელი ჩამოგვართვა და მოგვიწონა განზრახვა. მერე გვითხრა, რომ დღეს დიზში დარჩით და ხვალ წამოდით ხუბერში, თქვენ იქ დაგაყენებთ სამუშაოზე, დღეს აქ უნდა ვიყო, გორიდან ჩამოვიყვანე ხალხი, სალიშის კლდეებზე უნდა დავანყებინო მუშაობა და ამისთვის ვემზადებითო. დიდები აქ დარჩნენ და ჩვენ, უმცროსები ვინც ვიყავით, გავყევით გორელებს, გვინდოდა გვენახა, რას აკეთებდნენ.

მივედით, ვნახეთ, რომ გორელები გოდორს წნავენდნენ. ჩვენ გვიკვირდა, რა საჭიროა აქ გოდორი, რამი

უნდა გამოიყენონ. ერთი კარგი ვაჟკაცი შევიდა შიგ  
გოდორში, მიეზომა და ანიშნა, რომ არ აქვს საკმარი-  
სი სიმაღლე და საჭიროა, გოდორი უფრო ამაღლდეს.  
ჩვენ გაკვირვებული ვართ, რა საჭიროა ამ სიმაღლის  
გოდორი. ბოლოს, როცა გოდორის დაწვნა დაამთავრეს,  
ეგნატემ უთხრა, მივიდეთ ადგილზე და შევუდგეთ  
საქმესო. ზოგმა თოკები აიღო, ზოგმა – რკინის კეტები,  
ლომები, ბურაოები, რამდენიმე ცალი ურო, დინამიტი,  
ცომი, კაფსულები და ფიტილი. კიდევ გზის გაგრძე-  
ლება რაკი დააპირეს, მე ბუბა ივანეს ვთხოვე, გამიშვი,  
მანტიერესებს-მეთქი. ბუბა დამთანხმდა, დღეს დრო  
კი გაქვს, ოღონდ დროზე დაბრუნდი სალამოსო. ვინც  
უმცროსები ვიყავით, ყველა გავყევით. ძალიან დიდი  
აღმართი იყო. კლდის თავზე უნდა ავსულიყავით. რო-  
ცა გზა ან ბილიკი არ არის, დაღმართზე ჩამოსვლა უფ-  
რო ჭირს. ჩვენ ეს ვიცოდით, მაგრამ გვაინტერესებდა,  
რას აპირებდნენ კლდის თავზე, რატომ მიჰქონდათ ამ-  
დენი სამუშაო იარაღი და სხვა მასალები.

მივალწიეთ კლდის თავამდე და ვნახეთ, რომ აქ უკ-  
ვე მუშაობდნენ გორელები. მათ უკვე გაკეთებული  
ჰქონდათ ორი ღრმა ხვრელი. ამ ხვრელებში ჩაასვეს  
ორი რკინის კეტი. ისე ღრმად ჩაარჭვეს, რომ ზევით  
მარტო კეტების მესამედი ჩანდა. ამ კეტებს მიამაგრეს  
თოკები, ხოლო თოკებით კარგად გარსშეოჭეს ჩვენ  
მიერ ატანილი გოდორი. ის ვაჟკაცი, რომელიც ქვევით  
ყოფნისას გოდორში ჩავიდა და შეამონწა, ახლაც გო-  
დორში შევიდა. პირჯვარი გადაიწერა და თქვა, ღმერ-  
თო, შენ მიშველეო. გოდორი, რომელშიც მეორე კაციც  
ჩადგა, ნელ-ნელა მიაჩოჩეს კლდის პირამდე და ფრთხი-  
ლად ჩაუშვეს ქვევით. თოკები ძლიერ დაიჭიმა. მე ში-

შისგან ტანსა და კანში მზარავდა. ვინც პირველი ჩაჯდა გოდორში, იმას ხელში მისცეს ურო, ხოლო მეორეს – ბურაო, დინამიტი, კაფსულები და ფიტილი. შეუდგნენ კლდის გახვრეტას. ვისაც ხელში ურო ეჭირა, ის ოდნავ ხელს კრავდა კლდეს და როცა გოდორი გადაინეოდა, მოუღერებდა უროს და დაკრავდა ბურაოზე. ბურაო მეორე კაცს ეჭირა და თითოეული დარტყმის მერე ამ ბურაოს ატრიალებდა და ხვრელს აფართოებდა. ბოლოს, როცა ანიშნეს, რომ დიდი ნახვრეტი გაკეთდა კლდეში და საკმარისიაო დინამიტის ჩასადებად, გოდორი ზევიდან დაქაჩეს, უძრავად მიედო კლდეს და ის ვაჟკაცი, რომელიც პირველი ჩაჯდა გოდორში, ამოიყვანეს ზევით. ის მარდად ამოხტა გოდორიდან. ზევით მყოფნი დაესივნენ ამ ვაჟკაცს და დაუნყეს კოცნა. ახლა ქვევით დარჩენილმა ჩატენა ხვრელში დინამიტი, ჩადო კაფსული ფიტილით და ამოიყვანეს ზევით. ფიტილი საკმარისად გრძელი იყო. ეს კაცი გადანვა კლდეზე და ნაუკიდა ფიტილს ცეცხლი. ხალხმა უკან დაინია. კარგა ხანი გავიდა და გაისმა აფეთქების ხმა. ძალიან კარგად იმუშავა დინამიტმა. იმხელა ადგილი გაკეთდა, რომ ორ კაცს უკვე თავისუფლად შეეძლო იქ მუშაობა.

ეგნატემ ბიჭები გააგზავნა იქვე მცხოვრებლებთან, ფული მისცა და დაავალა, სასმელი ამოიტანეთო. იქვე ერია ისლამიც, რომელსაც იმავე სოფელში უცხოვრია. ახლა ისიც ჩავიდა თავის სახლში და მოიტანა სასმელ-საჭმელი. შეუდგნენ პურისჭამასა და არყის სმას. ჩვენ, უმცროსებს, არაფერი შემოგვთავაზეს.

ჭამა-სმა რომ დაამთავრეს, მერე თქვეს იმ კარგმა ვაჟკაცებმა – გორელებმა, რომ ამ საალაშის კლდეებს ერთ თვეში მოვრჩებით და სამანქანო გზასაც გავიყვანთო.

მეორე დღეს ჩვენი ბრიგადა წავედით დასავლეთით, ხუბერში. აქ ჩვენ მოგვინიშნეს სამუშაო ადგილი. ჩვენთვის ისევე, როგორც სხვა მუშებისთვის, არ არსებობდა რაიმე სამუშაო იარაღები, გარდა წერაქვისა, ბარისა, თოხისა, რკინის ნიჩბებისა და ლომებისა. უფროსები წერაქვით თხრიდნენ მიწას, ან ანგრევდნენ კლდეს, ხოლო ჩვენ, ბავშვები, რკინის ნიჩბით ან თოხების საშუალებით საჭირო ადგილას ვდებდით ამონათხარ მიწას თუ ნაშალ ქვა-ლორღს. მე პირველი ორი დღე გამიჭირდა, ვერ ვმუშაობდი კარგად, მაგრამ მეორე შევეჩვიე და არც ვიღლებოდი. ვმუშაობდი კარგად. დაღამება არ მახარებდა. ლოგინის სამოსი (ლაყვრწ ლერექე) არაფერი გვექონდა. ბზის ტოტები მოვტყეხეთ და ის გვეგო ლეიბების მაგივრად. ზევიდან არაფერი გვეხურა. ერთად ვინეკით ყველანი. ბუბა ივანეს უნდოდა, რომ მე, როგორც ყველაზე უმცროსი, შუაში დავენვინე, მაგრამ ამას მე ვერ ვუძლებდი, სული მეხუთებოდა. ვინეკი ნაპირზე და ამიტომ მციოდა ძალიან.

საჭმელი თითქმის საკმარისად გვექონდა. თითო ბუხანკა პურს გვაძლევდნენ ერთ დღე-ღამეში. გვაძლევდნენ შაქრის ნატეხებსაც. ეს იყო ჩვენი საჭმელი, სადილიც და ვახშამიც. თბილი საჭმელი არ მზადდებოდა არსად. რომ ვინმეს მოენდომებინა რამე ცხელი კერძის გაკეთება, ამისთვის არც ქვაბი, არც ჯამი და კოვზები გვექონდა. ცალკე ვერავინ გაბედავდა რაიმე თბილი კერძის გაკეთებას. ამის უფლებას არც ბრიგადა იძლეოდა. ყველას უნდა ემუშავა, ყველას უნდა ეკეთებინა გზა. ხელფასს ყოველდღიურად გვაძლევდნენ, ამიტომ ყველა ერთად ვმუშაობდით და თუ ვისვენებდით, ასევე ერთად უნდა დაგვესვენა ყველას.

იმ წელს კარგად ვმუშაობდი და ორი თვის მუშაობის შემდეგ იმდენი ფული შევაგროვე, რომ ფეხზეც ჩავიცვი, სპეცოვკის ახალი მარვალიც ვიყიდე და ორი რუსული ადიალაც მომცეს. ოჯახის წევრებსაც ვუყიდე საჩუქრები.

მეორედ როცა დავბრუნდი, ჩვენი ყოფილი ბრიგადის წევრებიდან ექვსი კაცი ისევ იქ დამხვდა. უკვე მთავრდებოდა გზის მშენებლობა ჯვარიდან მესტიამდე. ჩვენი ბრიგადა უკვე ხაიშის ხეობაში მუშაობდა. პირობები ადრინდელზე უკეთესი იყო. გადავწყვიტეთ, უკვე გაკეთებული გზის ზედა მხარეს სადგომი კარავი გაგვეკეთებინა. აქ კარგი ვაკე ადგილი იყო, თან ფიჭვის ხეებიც იდგა. ორი მათგანი კარვის სახურავის მისაჭედებლად გამოვიყენეთ. სახურავის შუა ადგილას ღიად დავტოვეთ კვამლისა და ალის ასასვლელი. დანარჩენი გადახურული იყო, ნაწილი – ყავრით, ნაწილი – ტოტებითა და თივით. ვინეჩით ფიცრებზე. ქვეშ გვეფინა ხმელი ფოთლები და ხელით ნაგლეჯი ბალახი. ყველას გვექონდა თითო ადიალა. ვინაიდან ბევრი ხალხი გროვდებოდა კარავში, სიცივეც არ იყო ღამით, ოღონდ ეს იყო, რომ დღის განმავლობაში ხშირად გვიხდებოდა გადაუღებელ წვიმაში მუშაობა და სველი ტანსაცმელი ტანზე გვაშრებოდა. დაძინების წინ მაინც აგვიტანდა სიცივე, როგორც იყო, ვიძინებდით, მაგრამ დილას ისევ სველი ტანსაცმლით ვიღვიძებდით. მუშაობას როცა ვინწყებდით, ტანსაცმელი შრებოდა და ჩვენც ვთბებოდით.

ბოლოს ახალი ბრიგადები მოიყვანეს. ჩვენც შემოგვიერთდნენ ჩვენი თანასოფლელები – წვირმელები. ახალმოსულთა შორის იყვნენ ჩვენი ნათესავები, ძმე-

ბი იესე და ივანე ფანგანები. ძალიან გაგვიხარდა მათი მოსვლა. იესე ძალიან კარგი საამხანაგო კაცი იყო. მუყაითი და მარჯვე მუშა, კარგი ხასიათის, მოსწრებული სიტყვა-პასუხი იცოდა და სულ ხუმრობის გუნებაზე იყო. ყველას უნდოდა მის გვერდით მუშაობა.

ერთიხანა ძალიან წვიმიანი ამინდები დაგვიდგა. მთელი კვირა გაბმით წვიმდა. მუშაობას მაინც ვაგრძელებდით დღისით, მაგრამ ღამე გაგვიჭირდა. სახურავიდანაც ჩამოატანა წვიმამ და ცეცხლიც ცუდად ინთებოდა. შეშა, რომელსაც ტყეში ვაგროვებდით, ისე სველი იყო, თითქოს მდინარეში იყო ნადები. ცეცხლიც ცუდად ეკიდებოდა. უკვე სიცივემ დაისადგურა კარავში, მაგრამ დალლილებს ღამე მაინც გვეძინა.

ერთ ღამეს, როცა უკვე დავიძინეთ, უცებ გაისმა იესეს ხმა: „ჩემი კარგი შამერთის სული ნუ წამიწყდება, ვგრძნობ, რომ სადღაც დანოლილი მივდივარ.“ ერთმა ლენჯერელმა დაიძახა: „იესე, იხუმრე დღისით, მაგრამ ღამე ძილი გვაცალე.“ „ჩემი სახელოვანი წინაპრის, ფუთას სული დამეკარგოს, თუ ვხუმრობდე – მაინც მივცურავთ.“ ეს სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა იესეს, რომ მიწა იძრა, კარვის სახურავი ჩამოინგრა, ზოგს ზედ დაეცა ყავარი და გარდიგარდმო გახირული ხეები. ცეცხლი ჩაქრა და გარეთ, ღია ციქვემ აღმოვჩნდით ყველა. წვიმს გადაუღებლად. დასავლეთის მხრიდან სულ ღია იყო ადგილი, მთა არსაიდან ეფარებოდა და ისე უბერავდა ქარი, რომ პირდაპირ ძვალსა და რბილში ატანდა. ჩემდა ბედად, მე რომ ვიგრძენი მიწის დაძვრა და ლოგინის დაშლა, მოვასწარი ადიალის აღება, ფეხსაცმელი და სვანური ქუდი კი დამეკარგა. სხვა ტანსაცმელი ლოგინშიაც ზედ მეცვა

და ამიტომ არაფერი დამიკარგავს, მაგრამ ფეხშიშველი კი დავრჩი.

შემოვიხვიე ტანზე და თავზეც წამოვიცვი ადილა, მაგრამ წვიმამ ის სასწრაფოდ დაასველა და უარეს დღეში ჩავვარდი. ბამბის ადილამ წვიმა შეისრუტა და ისე მძიმე გახდა, რომ ვამჯობინე, შემომეხსნა, გამეწურა და ისევ შემომეხვია. ასე ვაკეთებდი მთელი ღამე. ვიხსნიდი ადილას, ვწურავდი და ისევ შემოვიხვევდი. გადავრჩი გაცივებას.

როგორც იქნა, გათენდა და ვნახეთ, რომ ის ვაკე ადგილი, სადაც ჩვენ კარავი გვედგა, უკვე აღარსად იყო. ქვევით გზა რომ გაიჭრა, წვიმა ადვილად გაუფუდა ახალგაჭრილ მინას და სველი ნიადაგი ადვილად დაიძრა. კლდე, რომელიც ამ ვაკეს აკავებდა, უკვე აღარ იყო. ნაწილი დინამიტით ააფეთქეს, ნაწილი ჩვენ დავშალეთ წერაქვითა და ძალაყინებით. აბა, ჩვენ, მუშებმა, რა ვიცოდით, რა შედეგი მოჰყვებოდა ამას. ეს, ალბათ, ინჟინრებს უნდა გაეთვალისწინებინათ, მაგრამ ისე ჩქარა კეთდებოდა მაშინ გზა, ისე აჩქარებდნენ გზის მკეთებლებს, რომ, ალბათ, ძნელი იყო ყველაფრის წინასწარ განსაზღვრა. ჩვენ ქვემოთ, დაახლოებით 300 მეტრში, მდინარე ენგური მიედინებოდა. გაუთავებელი წვიმის გამო ისე იყო ადიდებული, რომ ლოდებს ძრავდა ადგილიდან და ხანდახან თოფის გასროლა ეგონებოდა ადამიანს, ისე ახეთქებდა მათ ერთმანეთზე. სულ შავი იყო. კაცი იფიქრებდა, წყალი კი არა, ტალახი მიედინებოდა მდინარის კალაპოტში. გვიშველა იმან, რომ ახალგაჭრილი გზა საკმარისად ფართო იყო და სანამ ის მთლიანად არ ამოივსო მინით, მანამ მიწა აქ, გზაში დარჩა, შემდეგ პატარა



ბორცვიც გაკეთდა გზაში და დანარჩენი მიწა უკვე ამ ახლადგაჩენილმა ბორცვმა დააკავა. უფრო ძლიერი დანოლა რომ ყოფილიყო ზევიდან, ჩვენ ყველა ენგურში აღმოვჩნდებოდით და, როგორც სვანეთში ამბობენ, ძვლიანად დავიკარგებოდით.

მეორე დღეს ხელმძღვანელობაც მოვიდა. ზოგი გვილოცავდა უნებლად გადარჩენას, ზოგი დუმიდა. ერთმა გვითხრა, ვინც ფეხსაცმელი დაკარგეთ, აქეთ გამოდით, გზის მარცხენა მხარეს, უნდა დაგთვალოთო. ბევრნი გავედით. ზოგს ცალი ქალამანი ეჭირა ხელში, ზოგი სულ ფეხშიშველა ვიყავით. ხვალ, ალბათ, ვერა, მაგრამ ზეგისთვის მოგიტანთ ფეხსაცმელსო. ხელმძღვანელები რომ წავიდნენ, რამდენიმე დანანებით თქვა, რატომ არ დავმალე ჩემი ფეხსაცმელი, ახალს მომცემდნენ, ამ სვანურ ქალამნებს თუ ბანდულებს ყველაფერი სჯობიაო.

მართლაც, მესამე დღეს ცხენით მოგვადგა სამი კაცი, ორი სვანი იყო და მესამე არ ვიცი, რა ეროვნებისა. დაბალი, შავი კაცი იყო. ძალიან სქელი და შავი თმა ჰქონდა. პირიც არ ჰქონდა გაპარსული და თეთრი მარტო შუბლი ჰქონდა, ისიც – დაბალი. ცხენს ორი ტომარა ეკიდა, რალაცით სავსე. ჩამოხსნეს ტომრები, გახსნა ამ უცნობმა კაცმა და ვნახეთ, შიგ იდო უცნაური თარგის ფეხსაცმელი. ქვევით სქელი რეზინი იყო და ზედ მსხვილი, დაწნული ძაფით მეჩხერად იყო დაკერებული ბრეზენტის ნაჭერი. დაგვაყენეს რიგში. მერე თითოეულად მივდიოდით ამ კაცთან. ის ფეხებზე გვიყურებდა, ალბათ, ფეხის ზომას გვიღებდა თვალით, მერე ტომარაში დაიწყებდა ფათურს და მოგვცემდა ფეხსაცმელს. ჩემს ფეხსაცმელებს ძალიან

უცნაური ძირები ჰქონდა. რომ ჩავიხედე, შიგ ძალიან ლამაზად იყო წითელი საღებავით შეღებილი. თან ფენი ცურავდა შიგ, მაგრამ უცნაური თარგისა იყო. სიარულისას ქუსლი და თითები მიწას არ ედებოდა. წინ და უკან აპრეხილი იყო. ძალიან ღლიდა ფეხს, მაგრამ მალე შევეჩვიე და ვნახე, რომ სვანურ ქალამანს ბევრად სჯობდა. ფეხქვეშ არ იგრძნობოდა ქვა და ღორღი. ცხელ ამინდში არ ხმებოდა და არ უხეშდებოდა ისე, როგორც ხმებოდა დაუმუშავებელი, ნედლი ტყავისგან შეკერილი სვანური ქალამანი, არც წვიმაში კარგავდა ფორმას. ერთადერთი, ის იყო ცუდი, რომ აღმართზე ვერ ვიკიდებდი ფეხს, თითები არ ედებოდა მიწას. თურმე, მანქანის გაცვეთილი საბურავების ნაჭერი იყო, შიგნით შეღებილი, და გარედან ბრეზენტის ეკერა. ქუსლი და თითები ამიტომ იყო აპრეხილი. ფეხსაცმელში მთელი სიმძიმე ფეხისგულეებზე იყო და ამიტომაც ღლიდა ფეხებს.

ეს ფეხსაცმელი მუდმივი აღმოჩნდა, არ გაცვდა. დღემდე ყუთში აგდია. ჩაცმით, რა თქმა უნდა, არავინ იცვამს. მეც ვინახავ – ჩემს ახალგაზრდობას მაგონებს და მახსენებს. ძირი რომ არ გაცვდა, ეს არაა გასაკვირი – ერთიანი რეზინი იყო, მხოლოდ მაგარი, თეთრი ძაფები გამოაჩნდა მთელ სიგანეზე, არც ზევიდან გადაკრული ბრეზენტი დაიხა, მხოლოდ ფერი შეეცვალა – რუხი იყო, ახლა შავია.

ოჯახის წევრები, განსაკუთრებით, ახალგაზრდები, დაგვცინიან მე და ჩემს „რიზინაალებს“. ახლომდებარე სოფლებში თუ ვინმე დღეგრძელი ადამიანი გამოდგა, იმას ჩემს „რიზინაალებს“ ადარებენ: გაუცვეთავია ომინდეს „რიზინაალებივითო“, ამბობენ.

შვიდჯერ დავბრუნდი მესტია-ზუგდიდის გზის მშენებლობაზე. ვმუშაობდი თითქმის ყველგან: ხუბერში, ბარჩაშში, თოთანში, ნოოდაშში, ლიჰაში, ეცერში, ლატალში და ლენჯერში. ბევრი სიცივე, შიმშილი და გაჭირვება გადაიტანა ამ გზის მშენებლობაში მონაწილე ხალხმა, მათ შორის, მეც. ეს მოსაყოლად არის ადვილი, თორემ გაკეთების დროს რაღაც ისეთ სიძნელებებს და დაბრკოლებებს ვაწყდებოდით, რომ კარგად მოყოლილიც ზღაპარი ეგონება კაცს.

ბოლო წამოსვლაზე შვიდი კვირა ვიმუშავე. ფულიც ბევრი მერგო ბოლოს. ეგნატე გაბლიანი ფულს თითოეულ კაცზე წერდა. ბრიგადას ერთიანად არ ურიცხავდა. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ ბრიგადირს ანაზღაურების დროს არ დაეჩაგრა ვინმე. ეგნატე ასე გვეუბნებოდა: ერთად მუშაობთ, ერთნაირად შრომობთ და ხელფასიც ერთნაირად უნდა აიღოთო. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ბრიგადის რომელიმე წევრი ავად გახდა და რამდენიმე დღე ვერ მუშაობდა. იმასაც თვის ბოლოს იგივეს უწერდა, რასაც სხვებს. ახლა ეს გახდა ავად, ხვალ შეიძლება სხვა გახდეს ავად, ამიტომ ერთი, ორი დღის გაცდენის გამო ანაზღაურებაში განსხვავებას არ გავაკეთებო. სამუშაო ისე რომ ვინმეს გაეცდინა, რომ ამის საპატიო მიზეზი არ ჰქონოდა, მაშინ ეგნატე ბრიგადას დაეკითხებოდა და როგორც ბრიგადა მიიჩნევდა საჭიროდ, ისე მოიქცეოდა. ძალიან სამართლიანი კაცი იყო. ყველა პატივს სცემდა, ყველას უყვარდა. ხშირად მინახავს ეგნატე, პიჯაკგახდილი, როგორ მიემშველებოდა მუშებს, როცა ისინი დიდ ლოდს ვერ აგდებდნენ გზიდან. ეგნატე გაამხნევებდა, ნუ გეშინიათ, მეც აქა ვარო. მიუდგამ-

და მხარს ლოდს და გადაადგებდა გზიდან. სამი-ოთხი ვაჟკაცის ლონე ჰქონდა.

ჩვენ არ ვიცოდით, სხვა უბნებზე რა მდგომარეობა იყო და როდის დამთავრდებოდა გზის მშენებლობა. ერთ დღეს გვითხრეს, რომ გზა უკვე გაკეთებულია ზუგდიდიდან მესტიამდე, და მალე მანქანა შემოვაო. გაუხარდა ხალხს, რომ გზა იქნება სვანეთში, მაგრამ ენყინათ, სამუშაო მთავრდება და აწი ფულის შოვნა ისევ გაძნელდებაო. სვანეთში სხვანაირად ფულს ვერ შოულობდნენ მაშინ. მართალია, სეზონურ სამუშაოზე დადიოდა ხალხი, მაგრამ ფულს იქაც ვერ აკეთებდა. ქაშაგში ან სავში წასული სვანი იქიდან საქონელს თუ ჩამოიყვანდა, თორემ ფულს ისინი არ იძლეოდნენ, თვითონაც არ ჰქონდათ. ხარები, ცხენები, ცხვარი და სხვა საქონელი ჰყავდათ და სათიბავად იქ ჩასულ სვანებს ამას აძლევდნენ. სამეგრელოში ან იმერეთში სვანები მარტო ზამთარში დადიოდნენ. ბარავდნენ ყანებს, ბალებს, გაჰყავდათ გზები, თხრიდნენ თხრილებს, ამენებდნენ დამბებს, ხშირად – სახლებსაც, მაგრამ მაისის დასაწყისში სასწრაფოდ ბრუნდებოდნენ უკან. ციებისა ემინოდათ. ასე რომ, ამ გზის მშენებლობის დამთავრებას სიხარულიც ახლდა და ერთგვარი სინანულიც.

ერთ დღეს გამოგვიცხადეს, რომ ყველანი უნდა წამოხვიდეთო ნანისქვილარში. იქ ასაშენებელია შენობა და შეხვედრა უნდა მოვუწყვთ თბილისიდან ჩამოსულ სტუმარს, ფილიპე მახარაძეს. ის გამოგზავნა მთავრობამ და ის მოგვილოცავსო გზის დამთავრებას.

დაახლოებით შუადღე იყო, როცა ჩამოიარეს უფროსებმა და გვითხრეს, მუშაობას თავი დაანებეთ და ჩვენ წამოგვეყვითო. უფროსობა ცხენებით იყო, ჩვენ

ფეხით უნდა გავყოლოდით უკან. ეგნატეს გარდა იყო კიდევ სამი ინჟინერი. ერთი მეგრელი კაცი იყო, ძალიან მოხდენილი და შნოიანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ცალი ხელი არ ჰქონდა. თუ სწორად მახსოვს მისი გვარი, მგონი, ჭურღულია იყო გვარად. პირველად ვნახეთ, ყველამ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ასეთ კარგ ვაჟკაცს ერთი მკლავი არ ჰქონდა. დაგვამახსოვრდა ეს ვაჟკაცი იმითაც, რომ ძალიან ბევრს ენეოდა, თან ორ პაპიროსს იღებდა ერთბაშად პიროში.

გავყევით უფროსებს და მივალწიეთ ნანისქვილარამდე. აქ დიდი მინდორი იყო. უკვე შემოზიდული იყო მასალა შენობის ასაგებად. როგორც კი მივალწიეთ, მაშინვე შევუდექით საქმეს. გაგვაკეთებინეს მაღალ სვეტებზე შემდგარი, კოშკის მსგავსი შენობა. დაგვაგებინეს იატაკი გაუშალამინებელი ფიცრებისგან. ზევიდან ყავრით გადაგვახურებინეს. წინა მხარე ღია იყო, დანარჩენი შევფიცრეთ. კიბე ძალიან მაღალი გამოვიდა და ორივე მხარეზე ხელმოსაკიდებელი მოაჯირი დავაყოლეთ. ეგნატემ რატომღაც ძალიან მოკლედ საფეხურები გაგვაკეთებინა. გვიკვირდა, რატომ გვაკეთებინებს ასე ბევრ საფეხურს. ვილაცამ იხუმრა, ალბათ, კიბეზე სიარული არ უყვარს, ეშინია ჩამოვარდნისა და მოკლედ საფეხურებს ამიტომ გვაკეთებინებდნო. როცა კიბე მზად იყო და ეგნატე ავიდა ზევით, ვნახეთ, რომ ორ საფეხურს გამოტოვებდა და ისე ადიოდა. არც ზევით ასვლისას და არც ჩამოსვლისას კიბის გვერდითა მოაჯირებს არ შეხებია.

საიდანღაც მოიტანეს უზარმაზარი ქვაბები, დაიკლა უღელი ხარი და ბევრი წვრილფეხა საქონელი. ქვაბებს ცეცხლი შეუნთეს და დაიწყო სამზადისი. ახლო

სოფლებიდან ხალხს მოჰქონდა ხაჭაპურები, თაფლი, ღორის ფელიკები, ხილი, არაყი.

ველოდებით სტუმრების გამოჩენას. დავიყავით ბრიგადებად და ვემზადებით იმისთვის, რომ როგორც კი გამოჩნდებიან სტუმრები, წინ შევეგებოთ სიმღერით. ყველა, ვინც იქ იყო, მონაწილეობდა ამ ნაუცბადევიად შექმნილი გუნდების კონცერტში. კვებით არ ვიძახი, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ბრიგადა ყველას ჯობნიდა. მე მგონია, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ბევრნი ვიყავით ერთი სოფლიდან და ბევრი გვექონდა მანამდე ერთად ნამღერი. ეგნატემაც შეგვაქო და გვითხრა, ყველაზე წინ თქვენი გუნდი უნდა შეეგებოსო სტუმარს. თვითონაც ჩადგა ფერხულში. ამ ფერხულს ყველა ერთად ვასრულებდით. ძალიან დიდი წრე გამოდიოდა. თითქმის მთელ მინდორს ვავსებდით. ცეკვა რომ იწყებოდა, ამ წრიდან გავდიოდით და მინდვრის შუაში ვცეკვავდით. მულახელების გუნდს სიმღერაში ეგნატეც ეხმარებოდა. თვითონ მულახელი იყო და კარგად იცოდა ის სიმღერები, რასაც მისი ხალხი ასრულებდა.

მესტიაში რომ შეატყობინეს, რომ ფილიპე მახარაძე ჩამოდისო ზემო სვანეთში ახალგაყვანილი სამანქანო გზის შესამოწმებლად, რაიონი მაშინვე შედგომია სამზადისს. ამ დროს მესტიის რაიონის მილიციის უფროსი იყო სერაპიონ შერვაშიძე – მულახელი წარმოშობით, ძალიან კარგი ვაჟკაცი და დაფასებული ყველა სვანისგან. სერაპიონი დაკავშირებია ასევე მულახელ გოჯი ზურებთან და შეუთვლია, რომ სანადიროდ უნდა წამომყვე – სტუმარს ჯიხვის მწვადებით უნდა დავხვდეთო. გოჯი ზურებიანი განთქმული მონადირე

იყო, კარგი ალპინისტი. სერაპიონის შეთავაზება სიხარულით მიუღია და ერთად წასულან სანადიროდ. იმავე საღამოს დაბრუნებულან კარგი ნადავლით.

მეორე დღეს სტუმარმა ჩვენამდეც მოაღწია. ორი მანქანით შემოვიდა მაშინ მესტიაში. სულ პირველი მანქანა სვანეთში შემოიყვანა ლენჯერელმა სერგია ილდანმა. მეორე მანქანაზე იჯდა მეგრელი, გვარი და სახელი ამ კაცისა, სამწუხაროდ, არ მახსოვს. ზორბა და ლამაზი ვაჟკაცი იყო. არ მახსოვს, ფილიპე მახარაძე რომელ მანქანაში იჯდა.

უხერხულია, ალბათ, სტუმარს რომ ასეთ შეფასებას ვაძლევ, მაგრამ ფილიპე არ მოეწონათ სვანებს. იმდენი ილაპარაკეს მის ჩამოსვლამდე, ისე გვაფრთხილებდნენ, წესიერად მოექცეულიყავით, რათა სტუმარზე კარგი შთაბეჭდილება მოგვეხდინა და რაიონი არ შეგვერცხვინა, რომ ფილიპე მახარაძე ბუმბერაზად და საოცრად ტანად და თვალად გმირად გვესახებოდა. როცა დავინახეთ, ხალხი თითქოს განბილდა. პატარა ტანის კაცი აღმოჩნდა. არ ვიცი, რა ხნისა იყო, მაგრამ ჩვენ ხანშესულად და სუსტ კაცად მოგვეჩვენა. ეტყობა, ეგნატე გაბლიანმა იცოდა მისი ფიზიკური მდგომარეობა და კიბეს იმიტომ გაუკეთა მოკლე-მოკლე საფეხური. ვუყურებდით, როგორ ადიოდა ის კიბეზე. ორივე მოაჯირზე ეკიდა ხელი და ისე ადიოდა ზევით, სვეტებზე შემდგარ მაღალ ჯიხურში. ეს ჯიხური ერთ მხარეს ღია იყო. აქედან უნდა მისაღმებოდა სტუმარი დამხვედრთ.

ძალიან ხმადაბლა ლაპარაკობდა. სულ არ ისმოდა, რას ამბობდა. ძალიან მოკლე სიტყვა თქვა და მერე დაჯდა იქ, სადაც მანამდე ეგნატე იჯდა.

მერე ეგნატე გაბლიანმა მიმართა ხალხს. ალბათ, ორი საათი მაინც ილაპარაკა. სულგანაბული ვუსმენდით ყველანი. ხან ქართულად ლაპარაკობდა, ხან – სვანურად. ცდილობდა, ყველას გაეგო მისი ნათქვამი. ახსენა ყველაფერი, რაც კი მნიშვნელოვანი მოხდა დღიდან მუშაობის დაწყებისა მის დამთავრებამდე. ჩვენი მენყერის ამბავიც ახსენა.

როცა იხსენებდა წარსულს, იმას, თუ რა გაჭირვება და ხიფათი აქვს გადატანილი ამ გზაზე სვან კაცს, გაიხსენა ის ადამიანები, ვინც დაილუპნენ ამ გზაზე, საშოვარზე ან მარილის მოსატანად წასულები. ახსოვდა და იცოდა ყველას გვარი და სახელი, იქნებოდა ის ლენჯერელი, ლატალელი, მესტიელი, მულახელი თუ უღვირს ზევით სოფლებში მცხოვრები. გაგვიკვირდა პირადად ჩვენ, წვირმის მცხოვრებთ, როცა ახსენა ისეთი ადამიანები, რომლებიც სოფელ წვირმიდან იყვნენ წასულები და ამ გზაზე დაილუპნენ. ჩვენ არაფერი ვიცოდით მათ შესახებ.

ბოლოს მოგვილოცა გზის მშენებლობის დამთავრება და თქვა, რომ სვანი კაცის გაჭირვება ამით დამთავრდება, გზა შემოიტანს დოვლათს, სიმშვიდეს და ბარაქას თქვენს ოჯახებში, სვან კაცს ყოფა დაუბრუნდებაო (ღირდე ხოტხენი).

რომ არ გამომრჩეს: სტუმრის ჩამოსვლამდე ორი მანქანით ჩამოიტანეს ჯიხვების ფიტულები. უზარმაზარი ჯიხვები იდგა მანქანების ძარაზე. მოზვრისხელა იყო თითოეული. იქვე ეყუდა წარმოუდგენლად დიდი ყანნები, ალბათ, მოსახლეობამ ათხოვა საჩვენებლად. გაგვიკვირდით, რომ ვნახეთ. აღტაცებას ვეღარ ვმალავდით სვანებიც და მეგრელებიც (შვანწრ ი ზანწრ).



## შეხვედრა უღვირში

მულახელი აკოფა და წვირმელი ფუჩე უღვირში შეხვდნენ ერთმანეთს. უღვირი ერთ ამალღებულ ადგილს ჰქვია და მდებარეობს მულახს და წვირმის შორის. ორივე სოფლიდან თითქმის თანაბარი მანძილით არის დაშორებული და ითვლება ამ სოფლების საზღვრად.

ასე რომ, როცა უღვირში ხვდება ერთმანეთს მულახელი და წვირმელი, არც ერთი არ არის სტუმარი და არც მასპინძელი. სალამს პირველი ის იტყვის, რომელიც უფრო სალმიანი, ანუ, როგორც სვანები ამბობენ, უფრო კითხველია.

მულახელი აკოფა ცოტა გადახრილი, ანუ, როგორც სვანები ამბობენ, „ნაჰულ“ კაცი იყო. ან სულ ტიტველი დადიოდა, ან ტოტებდახეული შარვალი ეცვა. ლაპარაკი კარგი იცოდა – როცა უნდოდა.

– ოო, აკოფა გვენვიოს მშვიდობით, – დაასწრო სალამი ფუჩემ.

– მშვიდობით დამახვედროს ღმერთმა ფუჩეს თავი, – სალამზე სალმითვე უპასუხა აკოფამ.

აკოფას ამჯერად გადაჭრილი შარვალი ეცვა. შარვლის ერთი ტოტი მთლად მოკლე იყო და დაფლეთილი, ბარდაყზე სისხლი ჰქონდა შემხმარი. ხელებიც სისხლიანი ჰქონდა. ქალამანი მარტო ცალ ფეხზე ეცვა.

– რა იყო, აკოფა, ხომ არაფერი შეგემთხვა? თავასარიდებელი ან გვერდასაქცევი ადამიანი ხომ არავინ შეგხვედრია, მტრიანი ოჯახი ხართ. ყველაფერია მოსალოდნელი ასეთ დროს.

– ადამიანი არავინ, ფუჩეს ტკივილი მე, მაგრამ თახუანთ ძუენას ჯავრით თვალეზიდან ნაპერწკლები მცვივა. ეს იმან გამომჭამა ბარდაყი.



ნაკრას უღელტეხილი

– ეჲყ, მგელმა შეჭამოს, რას გერჩოდა?

– რა ვიცი, კაცო, მოვდიოდი ჴერაშთან ჩემთვის. საიდანღაც გამოქანდა, გადმოეწლო ლობეს და უხმოდ მებრდღვნა, გამომძიძგნა ბარძაყი.

– სოფლის თემშარაზე ძალლი არ ერჩის გამვლელ თუ შემხვედრ ადამიანს. ამ სამგლეს რა დაეტაკა? ლეკვობის დროს ხომ არ სცემე, ან ხომ არ აჯავრებდი? ძალღმა დამახსოვრება იცის.

– რის ცემა, რა გაჯავრება, საერთოდ არ ვიცნობდი ამ ძუკნას. ისე არიან ეს თახუანთები უჴმურები და უკუღმართები, პირუტყვსა და ადამიანს ერთნაირად სწყურიათ ფათერაკი.

– ქალამანი მარტო ერთ ფეხზე გაცვია, ძალლის მოგერიებისას ალბათ ვერ შეამჩნიე, და ცალი ქალამანი დაგიკარგავს.

– დაკარგვით არა, ფუჩეს ტკივილი მე, ეს ქალამანი ძუკნას ნავართვი.

## ყარჩა

სვანებს ადრე მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰქონდათ. ოჯახს როცა ბევრი სული ჰყავდა, ეს კარგი იყო იმიტომ, რომ ბევრი მუშა იყო და სახლის ბევრი დამცველიც. ადრე, როცა მთავრობა სუსტი იყო და კანონი არ იცავდა ადამიანს, ისინი თვითონ იცავდნენ თავის თავს. ასეთ დროს სიმრავლე კარგი იყო, მაგრამ ზოგჯერ სიმრავლესაც ჰქონდა ნაკლი. ოჯახში ყველა არ არის ბეჯითი. ვინც მუშაობს, ის ხშირად უკმაყოფილოა იმიტომ, რომ მის ნამუშევარს ჭამს ოჯახის ზარმაცი წევრი. ამას მოჰყვებოდა ოჯახში ხშირი ხმაური და გულსტკივილი. ასეთ დროს ოჯახის დასამშვიდებლად გაყრა ხდება საჭირო.

ომი რომ დამთავრდა, სვანეთში დავარდა ხმა, რომ ყარჩაში (კომენტ. 6) უამრავი სოფელია დაცარიელებული და მთავრობა ყველას დაუკანონებს სახლებს და მიწასაც, თუ ოჯახი აქ აღმოჩნდება საჭირო დროს. სვანეთში ბევრი იყო ისეთი ოჯახი, სადაც ორი ან სამი ძმა ერთად ცხოვრობდა თავის მრავალრიცხოვანი ბავშვებით. მართალია, ზემო სვანეთში ჯერ კოლმეურნეობა არ იყო შემოსული, მაგრამ ძალიან ბევრი იყო უმიწო ოჯახი და რომც გაყრილიყვნენ, ამით მათი მდგომარეობა უკეთესი არ შეიქმნებოდა. საჭირო იყო რაღაც სხვა საშუალება.

ასეთ დროს სვანეთს მხსნელად გაუხდა ყარჩა.

ჩვენი ოჯახიც მრავალრიცხოვანი იყო. 15 ბავშვი იყო სახლში და მუშა მარტო ორი კაცი ვიყავით, მე და ჩემი ძმა თეოფანე. ჩვენ მღვდლის ოჯახი ვიყავით. მიწა და ტყე ბევრი გვქონდა, მაგრამ მიწა არ იძლეოდა

საკმარის შემოსავალს და გაჭირვებაში ვიყავით. გვაკლდა სარჩოც, ტანსაცმელიც და სხვა ყველაფერიც, რაც სჭირდება ცხოვრებას.

იმ დღეს ჩემი ძმა თეოფანე მულახში იყო და სალამოს სახლში რომ მოვიდა, თქვა, რომ მულახიდან ბევრი აპირებს ყარჩაში წასვლას, მათ შორის არიან ჩვენი ნათესავებიც, და იქნებ ჯობია, ერთ-ერთი ჩვენთაგანი გადასახლდეს ყარჩაშიო. შევეკითხეთ მამას. მამამ თქვა, რომ ღმერთის წყალობით ოჯახი გამრავლებულია და თუ რამე გამოჩნდება დამატებით, ამის მომხმარებელიც (მუმკვედი) კი ვართო.

გადავწყვიტეთ, მეორე დღესვე წავსულიყავით. მოვილაპარაკეთ და წასვლა ჩემმა ძმამ გადანყვიტა. გაქანებული მკა და თიბვაა. ასეთ დროს ორივეს წასვლა არ ივარგებდა და მე დავრჩი სახლში.

რაკი სვანეთიდან ბევრი აღმოჩნდა წასვლის მსურველი, მთავრობამ გადანყვიტა, რომ სვანების ყარჩაში ჩასახლებაზე თვითონაც ეზრუნა. იმ დროს მესტიის რაიონში აღმასკომის თავმჯდომარე იყო სპირიდონ ფარჯიანი. მან თავი მოუყარა ყველას, ვინც აპირებდა ყარჩაში ჩასახლებას და გამოვიდა დიდი ჯგუფი. ბევრი ხალხი შეგროვდა. ბალსზემოური სვანეთიდან იყვნენ ნვირმიდან, მულახიდან, მესტიიდან, ლენჯერიდან, ლატალიდან, ხოლო ბალსქვემოურ სვანეთიდან – ბეჩოდან, ცხუმარიდან, ეცერიდან, ფარიდან, ლეგჰადან და სხვა სოფლებიდან. ჯგუფს ხელმძღვანელად გაყვა აღმასკომის თავმჯდომარე სპირიდონ ფარჯიანი. ყველანი ერთად წავიდნენ. მერე თეოფანე ყვებოდა, რომ მთელი გზა ქეიფში იყვნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პატივისცემაში. როცა მიაღწიეს ლაბოგარამ-

დე, ღამე იქ დარჩნენ. მეორე დღეს გააჩაღეს ჭიდაობა. ბალსზემოურები ეჭიდავებიან ბალსქვემოურებს.

მინდორში ცალ-ცალკე დამსხდარან. ძალიან კარგი მოჭიდავე აღმოჩენილა ბალსქვემოელი მოსე წულუკიანი. მას თურმე ყველა ბალსზემოელი, ვინც დაეჭიდა, წაუქცევია.

ამის შემყურე აღმასკომის თავმჯდომარეს სწრაფად გაუხდია პიჯაკი და უთქვამს:

– აბა, ეხლა მე დამეჭიდეთო.

პირველი წაუქცევია იმ დღის გამარჯვებული მოსე წულუკიანი. შემდეგ სათითაოდ გამოუნვევია კიდე ექვსი გამარჯვებული და ყველა წაუქცევია. ეს ძალიან გახარებით ბალსზემოურებს. სპირიდონ ფარჯიანი ლატალელი იყო – ბალსზემოური.

იმავე დღეს ჩააღნიეს სოფელ ხურძუკამდე. ბალსზემოურები ყველანი აქ დარჩენილან. ბევრი მათგანი მეორე დღეს უკან დაბრუნებულა და სასწრაფოდ წამოუყვანიათ ოჯახის წევრები, პირუტყვი, და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დასახლებულან უშკვლანში.

ბალსზემო სვანეთიდან მოსულები ზოგი უშკვლანში გაჩერებულა, ზოგი კარჩუკში. ასე დაუნანილებიათ ადგილები.

ჩვენ, წვირმელებმა, ლენჯერლებმა და ლატალელებმა, კარჩუკში ავიღეთ სახლები.

ჩემმა ძმამ თეოფანემ და ბიძაშვილმა ტიმონე კორძაიამ, ვალო და არდევან ფირცხელიანმა ერთ ადგილას აიღეს სახლები. აქვე, მოპირდაპირე ქუჩაზე დასახლდნენ სხვა წვირმელებიც: კაკილა მუკვანი, გადე და საო ფირცხელიანები, ნიკო მუშკუდიანი. მულახელებიც ერთად დასახლდნენ უშკვლანში. შეუდგნენ



სვანეთიდან ყაბარდო-ბალყარეთში გადასასვლელი  
დონლუზ-ორუნის უღელტეხილი  
1929 წელი

სახლების მოვლა-განმენდას და შემოზიდეს ბარგი სხვა ჩაუსახლებელ სახლებიდან.

ჩემმა ძმამ, თეოფანემ და ტიმონე კორძაიამ გადაწყვიტეს, ახლომდებარე ადგილებიც დაეთვალთ ირებინათ – იქნებ იქ უკეთესია და იქ ავიღებთ სახლებსო. მართლაც, ნახეს და მოეწონათ აქაც. მოუარეს სახლებს, განმინდეს ეზოებიც, შემოზიდეს ნივთები სხვა სახლებიდან. დაანერეს გვარი, სახელი კარზე და ისევ გამოკეტეს კარი. თვითონ დაბრუნდნენ ისევ იმ სახლებში, რომელიც ადრე ჰქონდათ აღებული.

ახალ ადგილას დააკავეს კიდეც ორი სახლი ჩვენი სიძე სამსონ ფანგანისათვის. სამსონი ჩვენი დის ქმარი იყო.

რამდენიმე დღის მერე ჩემი ძმა თეოფანე წამოვიდა სვანეთში. ოჯახმა ძალიან გავიხარეთ მისი მშვიდობით

დაბრუნებით. თეოფანემ მამას დაწვრილებით უამბო, როგორი ადგილია, როგორი სახლები, სამსონისათვის რა სახლები აიღო, ვინ იქნებიან ჩვენი მეზობლები და რისი საშუალება იქნება მომავალში.

– დროზე უნდა წავიდეთ, – ბოლოს თქვა თეოფანემ, – ომინდეც უნდა წამომყვეს, ერთად დავაკვირდებით, სად ჯობია საბოლოოდ ჩასახლება. მე იქ ორი ადგილი დავიჭირე.

– თქვენ ორივემ თუ წინ და უკან იარეთ, აქაურ სახლს რა ეშველება ამ გაგანია მუშაობის პერიოდში. ბოლოს და ბოლოს, სხვა რომ არაფერი იყოს, სახლში ცხრა ბავშვია და ამათ ხომ ჭამა უნდათ.

– სხვა გზა არა გვაქვს, რალაც უნდა ვიღონოთ, იქ გასაკეთებელი გავაკეთოთ, სახლებს ხომ ვერ მივატოვებთ, – ვუთხარი მე მამას.

მამამ დაბალი ხმით, მშვიდობიანად გვითხრა:

– თქვენ იცით, შვილებო. მე ვერაფერში გეხმარებით, მაგრამ ხელს არ შეგიშლით. აქ მე და ნატა ვეცდებით არ გადავხაროთ (ნუმა ოთკაცად) ოჯახიო.

ორი დღე ვიმუშავეთ მე და თეოფანემ სახლში. მივალაგეთ, მოვულაგეთ სასწრაფო საქმეები და მესამე დღეს ერთად ლაყარას გზით დავადექით გზას. თან წავიყვანეთ ხარი, ძროხა და დეკეული. სახლშიც ცალუღელი ხარი, ძროხა და ორი ხბო დავტოვეთ. რამდენიმე კაცს წვირმიდან გზად შევეყარეთ, ისინიც ყარჩაში მიდიოდნენ. დიდი ხანი მოვუნდით მგზავრობას. საქონელს ჩლიქები დაურბილდა მყინვარებზე სიარულით და ძალიან უჭირდა ღორღიან გზაზე.

როგორც იქნა, მივალწიეთ ლაბოგარს. აქ ბალსქვემოურ სვანებს მენველი საქონელი ჰყავდათ გამვე-

ბული. ჩვენი სტუმრობა ძალიან გაუხარდათ, ძალიან ხელგაშლილად და გულითადად მიგვიღეს. ხორცი, ყველი და მანონი თავზე საყრელად გამოგვიტანეს, არაყიც მოიტანეს და საოცარი გულუხვობით გაგვიმასპინძლდნენ.

ეს ღამე იმათთან დავრჩით. პირუტყვმაც მოისვენა. მეორე დღეს ადრიანად დავადექით გზას დასავლეთისკენ (ლექვა) და კარგა ხნის დაღამებული იყო, როცა მივალწიეთ სახლში – ძალიან სიბნელეში. აქ ძალიან გაუხარდათ ჩვენი მისვლა ტიმონეს, ვალოს და არდევანს. როცა მოვიკითხეთ, როგორ არიან ამ ახალ ადგილას და რა აქვთ ახალი, ტიმონემ თქვა, რომ იმ სახლში, რომელიც ბოლოს დავიკავეთ და ბარგიც შევზიდეთ, ვილაცები შესულან და იქიდან ბარგიც წაუღიათო.

– მე ღამე აქეთა სახლებში ვრჩებოდი. ეტყობა ვილაცები მითვალთვალეზდნენ და როცა ნახეს, რომ იქ არავინ იყო, გაუღიათ კარი და ბარგი „კაჭკით“ წაუღიათ. ჩემგან იმათ დაჭრა ეკუთვნით.

მე ვუთხარი, რომ ვერავისაც ვერ დავჭრით, ჩვენც ვიშოვეთ ის ბარგი და იმათაც იშოვეს-მეთქი.

თეოფანემ ძალიან შეიცხადა.

– დანაკლისზე უფრო სირცხვილია, როცა ასე ვინმე მოგექცევა, ხომ ვიცით, აქ ვისა ჰყავს ცხენი და ვის აქვს „კაჭკა“, მე ხვალვე მივალ და ყველაფერს გავარკვევ.

მეორე დღეს თეოფანემ წამიყვანა იმ სახლებში, რომლებიც დაიკავა ადრე და საიდანაც ბარგი გაუტანიათ.

– რას ფიქრობ, როგორი სახლებია, ივარგებს თუ არა საცხოვრებლადო.

მე ვუთხარი, რომ ძალიან კარგი სახლებია-მეთქი, და მართლაც, რვა ოთახი იყო, ერთი მეორეზე უკე-



თესი, შესანიშნავი ხის იატაკებით, ლამფის ორმაგი ფანჯრის ჩარჩოები ჰქონდათ და ყველა ფანჯარა – შემინული. კარი ხისა, ძალიან მაღალი. ახლა ბალი ვნახოთო. ნავედით და ვნახეთ ბალიც, 50 ძირზე მეტი იყო ვაშლი, მსხალი, ბალი და აფრიკოსი. ძალიან მომეწონა ესეც და ვუთხარი ჩემს ძმას, რომ აქ გვირჩევენია-მეთქი დასახლება. მერე მიჩვენა ის სახლებიც, სადაც ჩვენი სიძე – დის ქმარი უნდა დასახლებულიყო. ამ სახლს გარს სამი ბალი ერტყა. იქვე იყო წისქვილი და ბევრი დამხმარე ნაგებობა. მეორე დღეს იქაც შევზიდეთ ბარგი. გამოვკეცეთ კარი და დავბრუნდით იქ, სადაც ტიმონე და სხვა ნათესავები იყვნენ.

არდევან ფირცხელიანმა მკითხა, რას ატყობ, ომინდე, იქ ჯობია, თუ აქ დასახლებაო. მე ვუთხარი, რომ იქ, თეოფანეს ადრე რომ დაუკავებია-მეთქი სახლი. ეწყინათ ვალოს, არდევანს და სხვა ნათესავებს, ერჩინათ, რომ ერთ უბანში ვყოფილიყავით. მოგიხდეთ იქაურობაო (მასგააჲვ ჯარხ), გვითხრეს, თუ იქ გირჩევენიათ, იქ მომრავლდით და იქ იყავით ბედნიერო.

ეს დღე და ეს ღამე ყველანი ერთად ვიყავით. მეორე დღეს ჩემმა ძმამ დააპირა იქ წასვლა, სადაც, ყველას აზრით, ის ბარგი უნდა ყოფილიყო, რომელიც თეოფანეს სვანეთში ყოფნისას ვიღაცამ მოიპარა. ჩემი ძმა მარტო არ გაუშვი. შემეშინდა, რაიმე ფათერაქს არ გადაყროდა. მართალია, ისინიც სვანები იყვნენ და ნაცნობებიც კი, მაგრამ როცა დარწმუნებული არა ხარ, მართლაც მათ მოიპარეს თუ არა, პირზე დადგომა ძნელია. ზოგმა შეიძლება იწყინოს კიდევაც და ყარყაში დაიწყოს.



### გადასვლა უღელტეხილზე

მულახელები სადაც დასახლდნენ, იმ ადგილამდე ჩვენი სახლიდან რამდენიმე კილომეტრი იყო. ჩვენ ფეხით უნდა გვევლო და გზაზე შეგვეძლო ბევრი გველაპარაკა. ჩემი ძმა თეოფანე ჩემზე უფროსი იყო. ამიტომ მისი ნათქვამი ჩემთვის კანონი იყო. მე მის სანინააღმდეგოს არასოდეს ვიტყოდი, მაგრამ ახლა მინდოდა, თავიდან ამეცილებინა რაიმე უსიამოვნება, ამიტომ ვუთხარი:

– თოფი, იქნებ ჯობია, ეს საქმე უხმაუროდ დავტოვოთ და თავი ისე დავიჭიროთ, ვითომ არაფერი მომხდარა.

თეოფანემ მითხრა, რომ ახლა ხალხი აქ თავიდან სახლდება, ერთად ნაცხოვრები არა ვართ და ერთმანეთს არავინ იცნობსო.

– ეს საქმე რომ ასე უხმაუროდ დავტოვო, იფიქრებენ, რომ ჩემი დაჩაგვრა შეიძლება და მომავალში, არ არის

გამორიცხული, უარესიც მიყონ. რაც გააკეთეს, ეს მე მიმაჩნია იმად, რომ ჩემი არ რცხვენიათ (ნავშგურწლი).

მეტი ამ საქმეზე მე არაფერი მითქვამს.

მივალწიეთ იმ სოფელს, სადაც, ჩვენების აზრით, მოპარული ბარგი უნდა ყოფილიყო. ერთ ადგილას გარეთ ეწყობევი სპილენძის ქვაბი და ოჯახის ნივთები. თეოფანემ მითხრა, ეს არის ჩემი სახლიდან გატანილი ბარგიო. მაგრამ რაც კარგები იყო, ისინი აქ არ ჩანსო.

იქვე ირეოდა ხალხი. თეოფანემ იცოდა, ვის ჰყავდა ცხენი და ჰქონდა „კაჭკა“, და პირდაპირ მასთან მივედი. მივესალმეთ ერთმანეთს. თეოფანემ სახელით მიმართა და უთხრა, რატომ იკადრე და რატომ მაკადრე, რომ ჩემი სახლიდან წამოიღე ნივთებიო. მე ცოტა მოშორებით ვიდექი, მაგრამ მესმოდა მათი ლაპარაკი. ორი ახალგაზრდაც მულახელის ზურგს უკან იდგა და უსმენდნენ ლაპარაკს. ალბათ, ჩხუბში ჩაერეოდნენ, იქამდე რომ მისულიყო საქმე.

– თეოფანე, ბოდიშს ვიხდი, მე ეს ნივთები უპატრონო მეგონა. სახლი უკაცრიელი იყო და წამოვიღე ნივთები ისე, როგორც მოგვაქვს ყველას.

– იმ სახლის კარზე ეწერა, რომ ის მე მეკუთვნოდა, და შენ ცარიელი როგორ გეგონა.

– ღამე იყო და კარზე რა ეწერა, იმას ვერ წავიკითხავდიო.

იმ კაცმა ისიც თქვა, რომ შედარებით კარგი ჭურჭელი უკვე წაიღეს სვანეთში იმათ, ვინც მე აქეთ გამომაცვილაო.

რაკი ასე მშვიდობიანად შეგვხვდა მულახელი და ბოდიშიც მოიხადა, ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და ჩვენ უკან დავბრუნდით. გზაში თეოფანე დამშვიდებული იყო. მე გავბედე და ვუთხარი:

– თოფი, ჩვენ ისე მოგვდის, სვანური გამოთქმა რომ არის: ორი სკვინჩა ჩიტი სხვის დერეფანზე გამოფენილი მარცვლის გამო ჩხუბობდაო.

– მართალია, – დამეთანხმა თეოფანეც.

როცა მივალწიეთ სახლში, ტიმონემ იკითხა, რა გაიგეთო. თეოფანემ უთხრა, რომ ნამდვილად ის ყოფილა ნივთების ნამლები, ვისზედაც ჩვენ გვქონდა ეჭვიო. ტიმონემ შეიცახადა:

– როგორ ამიგდო სათამაშოდ, როგორ მოიპარა ის ნივთები, რაც მე მეზარა შესანახად. თქვენ რაც გინდათ, ის ქენით, მე მას აუცილებლად ჭრილობას მივაყენებ (ჩუ ხვაქჩენი).

– არ გინდა, ტიო, მან ყველაფერი აღიარა, ბოდიშიც მოიხადა. დამდურება ამის გამო არ გვინდა, ჩვენ აქ სხვანაირ მდგომარეობაში ვართ, – უთხრა თეოფანემ.

სალამოს თეოფანეს და ტიმონეს ვუთხარი, რომ ხვალ აუცილებლად უნდა ნავიდე-მეთქი სვანეთში და რალაც სამზადისს უნდა შევუდგე-მეთქი. შევაგროვე რალაც ნივთები სახლში წასაღებად. ზურგით უნდა მეზიდა ამ სიშორეზე და შევარჩიე წვრილმანები: ნახშირის უთო, ჩაქურები, გაზი, ტაფა და სხვა რალაცები. ცუდი დრო იყო, არსად არაფერი იშოვებოდა. თეოფანემ მითხრა, რომ სახლში საქმეებს რომ დაალაგებ და ცოტასაც დაისვენებ, უნდა წამოიყვანო ბავშვები, წამოიღო ქვეშაგები და სარჩო, მე მანამდე აქ ვეცდები საქმის მოგვარებასო.

ტიმონემ თქვა:

– გადავალ მეზობელ სოფლებში და გავიგებ, იქნებ ვინმე მიდის სვანეთში. შენ მარტოს ვერ გაგიშვებ ამ შორ გზაზე.

მე ვუთხარი, რომ არაფერი მიჭირს მარტოკასაც. გზა კარგად ვიცი და ამინდიც კარგია-მეთქი.

იარალი არაფერი მქონდა. მეზა პატარა დანა. ტი-მონემ გამიკეთა ძალიან მაგარი ჯოხი. რკინის სალ-ტე გაუკეთა და რკინის ნვეტიანი ნაჭრები ჩაასო შიგ. ხელში რომ ავიღე, ძალიან საიმედო და სანდო მეჩვენა.

– მგელს მოიგერიებ და ყინულზეც გამოგადგება, – მითხრა ტიმონემ.

მეორე დილას გამთენიისას დავემშვიდობე ჩემებს და დავადექი სვანეთისკენ გზას. უშკელაანს რომ მი-ვუახლოვდი, ხიდის ჯებირის მეორე მხარეს დავინახე, მგლების ხროვა დასდევდა ცხენს. უკვე ძალიან მიახ-ლოვებული იყვნენ მგლები ცხენთან და ცოტა ხანში დაენივნენ, წააქციეს და დაუნყეს დაგლეჯვა. სიმარ-თლე უნდა ითქვას, შემეშინდა, მაგრამ ვიფიქრე, იქნებ ჩემი ყვირილისა შეეშინდეთ და ცხენს შეეშვან-მეთქი. დავინყე ყვირილი, თან ჯოხს ვურტყამდი ხიდის მოა-ჯირს. არ მომაქციეს ყურადღება. მხოლოდ ერთმა გადმოიხედა ჩემკენ და ატეხა ყეფა. მაშინ მივხვდი, რომ მგლები კი არა, ძაღლები იყვნენ. თურმე, რო-ცა მოსახლეობა გადაასახლეს ამ მხარიდან, ძაღლები უპატრონოდ დარჩენილან. ჯერ შეუჭამიათ უპატრო-ნოდ დატოვებული წვრილფეხა საქონელი, ცხვრები და თხები, აგრეთვე ვირები და ხბოები. დიდ ხარებს და ძროხებს კი თითოეულად ვერ მოერივნენ, გაერთიანებულან და ჯგუფები ესხმოდნენ საქონელს თავს. როცა ეს შინაური ცხოველები მთლად შეუჭამიათ, გა-დასულან ტყის ცხოველებზე. ამას გვიყვებოდა კარ-ჩუკში დარჩენილი ხეიბარი, რომელსაც ადრახმანი ერქვა და ყველაფერი ეს თავისი თვალით ჰქონდა ნა-

ნახი. ადრახმანი და მისი ცოლი რატომღაც არ იყვნენ გადასახლებულები. ჩვენებსაც უნდოდათ ძაღლების ყოლა და რამდენიმე შეძლო მათი მოშინაურება. ზოგი ადვილად შემოდიოდა სოფელში და არ ერიდებოდა ადამიანებს, ზოგი დღისით არ ჩნდებოდა და მხოლოდ ღამე შემოდიოდა სოფელში. ძაღლები იყვნენ ძალიან დიდები და კარგად ნაჭამი.

ჩემმა ძმამ რომ სახლი დაიკავა, იმის პატრონს ფუტკარი ჰყოლია. სკები არსად ჩანდა, მაგრამ ისე ვატყობდით, რომ აქ საფუტკრე იყო. ამ საფუტკრეში, რომელიც სახლიდან მოშორებით იდგა, ღამე მოდიოდა უზარმაზარი რუხი ძაღლი. იყო ძალიან ღამაზი და ჩანდა, რომ ახალგაზრდაც იყო. როგორ არ ვეცადეთ მის დაჭერას – ხან ყულფი გავუკეთეთ, ხან ხაფანგი დავუგეთ, მაგრამ ვერაფრით დავიჭირეთ. საქმელს ვუდებდით, შრატს ვუდგამდით ტაშტით, მაგრამ დღისით არაფერს მიეკარებოდა, ღამე შეჭამდა და გათენებისას ტყეს მიაშურებდა. ყეფით გაეცლებოდა იქაურობას. ჰო, ამ ძაღლებზე ლაპარაკი დავამთავროთ. მე რომ ცხენის დაგლეჯას შევესწარი, ის ყოფილა ის ცხენი, რომლითაც ჩემი ძმის ბარგი წაიღო მულახელმა. ჩემს ძმას, თეოფანეს როცა ეს ამბავი უამბეს, გაუცინია და უთქვამს, ლეჰანჯ მი (მე აჯაასრულებული), ეს რა კარგი რამ მომხდარა. ახია იმ ცხენზე, მაგრამ, ფისი დაედოს (ფისიჟ ხაბა), რატომ მისი პატრონიც არ იყო მაშინ ცხენთანო.

ვინც სვანეთიდან პირველად იქ წაიყვანა პირუტყვი, ამ ძაღლებმა არავის არაფერი დაუტოვეს. ხარები, ძროხები, ცხენები, ცხვრები და თხები სულ შეუჭამეს. ხალხი იძულებული გახდა, ჩასულიყვნენ რაიონში

– ქლუხორში – და ეთხოვა დახმარება. ქლუხორიდან წამოვიდა მილიცია. მილიციამ და აქაურმა ახალგაზრდებმა ბევრი ძალღი დახოცეს, მაგრამ ბევრიც დარჩა. მაშინ მთავრობამ ადგილობრივ დატოვა თოფები – სანდო ხალხს მისცეს და ნება დართეს აქ მცხოვრებთ, დაეხოცათ ძაღლები. ამით მონადირე სვანებმაც ისარგებლეს და ადრე თუ ვერ აჩენდნენ იარაღს, ახლა იმათაც თავისუფლად იგრძნეს თავი. თან ნადირობდნენ, თან ძაღლების დახოცვაში ეჯიბრებოდნენ იმათ, ვისაც მთავრობისგან იარაღი ჰქონდათ მიღებული. ასე იყო ეს საქმე.

ახლა დავუბრუნდები ჩემს მგზავრობას. ჩავალწიე ლაბრგარამდე. აქიდან მოშორებით იდგა გერმანელების მიერ აშენებული ბარაკი. დაღამებული იყო, როცა აქ შევალწიე. მიხარია, რომ დახურულქვეშ ვარ. ძალიან დაღლილი ვიყავი. პური შევჭამე და არც ფეხზე გამიხდია, არც ტანზე, ისე დავწექი. მაშინვე ჩამეძინა.

მეორე დღეს დავადექი გზას. ორი პერევალი გამოვიარე ისე, რომ არ დავღლილვარ. ხოლო გაჭრილ გზაზე ძალიან დავიღალე. როგორც იქნა, მოვალწიე სახლში.

სახლში დამერივნენ ბავშვები.

– მამა, რა მოგვიტანე? – მეკითხებიან ჩემი შვილები.

– ბიძია, რა მოგვიტანე, ბიძია, რა მოგვიტანე? – მეკითხებიან ჩემი ძმა თეოფანეს შვილები.

ვის რას მოუტანდი, რა იყო მოსატანი. ერთს ჩაქუჩი მივეცი, მეორეს გაზი, სხვებს ქლიბები, მაშა, უთო. ასე იყო.

ახლა მამამ მკითხა:

– აბა, რას ატყობ, როგორაა საქმე?

მე ვუთხარი, რომ ძალიან კარგია იქ ყველაფერი, ოღონდ სასწრაფოდ უნდა დავბრუნდე უკან და წავიყვანო ბავშვები, სამსონის ცოლ-შვილი, მთელი ჯალაბი.

– ეე, მამაშ, ესე არ მოხერხდება. დღეს აღმასკომის საბჭოდან იყო კაცი, მოიტანა ქალაღი. ყველა ოჯახს ანერია თითო 100 კუბამეტრი ხის დამზადება კანტორაში. დამიდეს წინ ცნობა, რომ ომინდე კორძაიამ უნდა დაამზადოს და ჩააბაროს 100 კუბამეტრი ხე-ტყე.

– ყველას ასე ჰქონია გეგმად და ჩვენ, აბა, რას ვიზამთ. მთავარია, ერთი კარგი ამხანაგი ვიშოვო და შევუდგები საქმეს.

– ერთი კაცი რას გიშველის კანტორის ტყეში. ეს ხომ საზამთროდ შეშის მოჭრა არ არის, – მითხრა მამამ.

– მამა, მშვიდად იყავი, დარდი არ გქონდეს, – დავამშვიდე მე.

წავედი მეორე დღეს წვირმიში, ფრიდონ კორძაიასთან. ფრიდონს ვუთხარი, რომ კანტორაში ერთად უნდა წავიდეთ, სხვებს არავის გავირევთ, ასე ნაკლებს მოვცდებით-მეთქი. დამთანხმდა და მეორე დღეს წავედით. შევარჩიეთ ისეთი ადგილი, სადაც ძალიან დიდი ხეები იყო და მდინარის ნაპირამდე დიდი მანძილი კი იყო, მაგრამ დამრეცი, და ეს გაგვიადვილებდა მორების ჩაბარებას იმ ხალხისთვის, ვინც მერე მდინარით დააცურებდა მორებს ზუგდიდისაკენ. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ დაცურებაზე მუშაობდნენ ძირითადად მეგრელები. სხვადასხვა შურიდან (კომენტ. 8) ჩამოყრილი ათასობით კუბამეტრი მორები იმხელა ხერგილს ქმნიდა, რომ კაცს შეეცოდებოდა ის ადამიანი, ვისაც ეს ხერგილი უნდა დაეშალა და მორები თითო-თითოდ გაეტანა მდინარისათვის. პირველ ხანებში გვიკვირდა,



რატომ აგროვებდნენ ამდენ მორს ერთად და რატომ არ მუშაობდნენ ყოველდღე. გვეცოდებოდა ის ხალხი, ვისაც ამდენი სამუშაო ჰქონდა წინ. თან გვიკვირდა ის, რომ მეგრელები ასეთ მძიმე სამუშაოს ჰკიდებდნენ ხელს. შეჩვეული ვიყავით იმას, რომ შავი და ძნელი სამუშაო რაც იყო, ჩვენ, სვანებს უნდა გვეკეთებინა მეგრელების სახლებშიაც, აქ კი ჩვენი მიწა იყო და გაკვირვებული ვიყავით, ამას რატომ აკეთებდნენ. როცა ლესპრონხობები დიდხანს დარჩა სვანეთში, მაშინ კი მივხვდით, რომ მოტყუებული ჩვენ ვიყავით, სვანები.

როგორი პატარა მდინარეც არ უნდა იყოს სვანეთში, წლის მანძილზე ერთხელ მაინც ისე ადიდდება, რომ ყველაფერი მიაქვს, რაც მდინარეშია და რაც არის მისი ნაპირის ახლომახლო. ასე გამოდიოდა, რომ დაცურებაზე მომუშავე ხალხი არც ნაჯახს და არც ლომს ხელში არ აიღებდა. მდინარე აკეთებდა მათ საქმეს. თუ რამდენი კუბამეტრი იყო ხერგილზე, ეს უბნის უფროსებმა იცოდნენ და ალბათ ამის მიხედვით იღებდნენ ფულს ისინი, ვინც დაცურებაზე მუშაობდნენ.

ახლა დავუბრუნდეთ ჩემი და ფრიდონის მუშაობას. კარგი ადგილი ავიღეთ. უბნის უფროსს, კირილე პირველს დავანიშნინეთ ჩვენი ხეები და დროებით შევწყვიტეთ მუშაობა. მე ყარჩაში უნდა წავსულიყავი. ყარჩაში წამსვლელი წვირმიში ბევრი გამოჩნდა. მე მარტოს არ მინევდა მგზავრობა. სახლში მყავდა ჯორი და მქონდა კაჭკა. ხუთი ჩემი ძმის შვილი, ხუთი ჩემი დისა და სამი ჩვენი ნათესავი საო ფირცხელანის შვილი მე უნდა წამეყვანა ამ კაჭკით. უფრო მოზრდილები ფეხითაც მოდიოდნენ, ხოლო პატარები სულ ამ კაჭკაში ისხდნენ. ასე ჩავაღწიეთ ნოღაშამდე. ამას იქით კაჭკის გზა არ

იყო და აქ ცხენები ვიქირავეთ. გზა იმდენად ცუდი იყო, რომ ცხენებსაც უჭირდათ სიარული. ბავშვები, მოხუცი ქალები, ბარგი ხანდახან ჩვენი სატარებელი იყო. კაცებიც ერივნენ წამსვლელელებში – იესე ფანგანი, დომენტი მუკვანი. იყვნენ კიდეც სხვები, მაგრამ ფიზიკურად ისე სუსტი იყო ზოგი, რომ ძნელ საქმეში ბევრჯერ ქალები სჯობნიდნენ. მდინარეები ადიდებულან, საცალფეხო ხიდები – ქოკები – ყველგან წაღებული ჰქონდა წყალს. უნდა მოგვეჭრა ხეები, გაგვეკეთებინა ახალი ქოკები. ეს საამბობად ადვილია, მაგრამ ძალიან ძნელია გასაკეთებლად.

მივდიოდით ნაკრის პერევალით. ორი პერევალი უნდა გაგვევლო. ჩვენ ისეც შორი გზიდან ვიყავით, წვირმიდან ნაკრამდე სამი დღე მოვუნდით. აქ შემოგვიერთდნენ ბალსქვემოური სოფლებიდან, მაგრამ თითქმის ყველანი ქალები და ბავშვები იყვნენ. კაცები წინ წასულან საცხოვრებელი ადგილების დასაკავებლად. კარგი ქალები იყვნენ – მხიარული, საქმეში გამოსადეგი. ჩვენს ზოგიერთ მამაკაცს სჯობნიდნენ საძნელო საქმეში. ჩვენი ქალები უკვე დაღლილები იყვნენ და ძლივს მოდიოდნენ.

ნაკრის პერევალი მოფენილი იყო მკვდრებით. ზვავის მიერ ჩამოტანილი გვამები უკვე ჩანდა, იმიტომ რომ ზვავი თითქმის ყველგან დამდნარი იყო. ზოგან ადამიანის ნახევარი ჩანდა, ზოგან – მარტო ფეხები, იყვნენ ისეთებიც, რომ ცალ ფეხზე შერჩენილი ჰქონდათ ფეხსაცმელი, მეორეზე არაფერი ეცვათ.

ერთ ადგილას წავანყდით სრულიად მთელ და საღ ადამიანის გვამს. როგორც ჩანს, ახლად გამოჩენილი იყო ზვავიდან და არაფერი ჰქონდა დაზიანებული.

ქოჩორი ჰქონდა და პირი ჰქონდა ოდნავ დაღებული. თეთრი ქათქათა კბილები ჰქონდა, არც ერთი არ აკლდა. ეს რომ ქალებმა დაინახეს, მორთეს ისეთი ტირილი, რომ კაცს ეგონებოდა, ახლა ვიღაცა მოუკვდათო. ერთ ბალსქვემოურელ ქალს შავები ეცვა. როგორც ეტყობოდა, ახლობელი ჰყავდა ახალგარდაცვლილი. ამ ქალმა შავი ლეჩაქი მოიხადა, მინაზე დაკეცილი გაფინა, ზედ დაიჩოქა, თმები გაიშალა და ხმამაღლა დაიწყო მოთქმა. ისე მოთქვამდა, როგორც ახლობელის კუბოსთან მოთქვამენ ჩვენი ქალები. სხვა ქალებიც აჰყვნენ და იმათაც დაიწყეს ხმამაღლა ქვითინი. კაცებიც ვტიროდით. ალბათ დაღლილებიც ვიყავით და არც თავის მიგვაჩნდა ძალიან ბედნიერად. გვეტირებოდა ჩვენც.

ბოლოს ისევ იმ ქალებმა, ვინც ნაკრასთან შემოგვიერთდნენ, თავშალი გაშალეს, ზედ დაანწყვეს პური, ხორცი, ყველი და რაც რამე ჰქონდათ, არაყიც ამოიღეს და სუფრა უკურთხეს. მოიხსენიეს მიცვალებულის სული. შენი სულის შემწე იყოსო. რომ არ ველოდით, იმისთანა პურ-მარილი და სასმელი იყო სუფრაზე. ღმერთმა დალოცოს ის ქალები და თეთრით შეეცვალოთ სამოსი. თითქმის გვაქეიფეს კაცები. კარგად დავისვენეთ.

ახლა დავადექით ნეშგვირისაკენ გზას. ღამდებოდა, როცა ჩავალწიეთ. ზოგმა სად გაიშალა დასანოლი და ზოგმა – სად. ჩვენ, მამაკაცებს, დანოლისა და ძილის საშუალება არ გვქონდა. ხარები, ძროხები და ცხენები მისახედი იყო. შეშა იყო მოსაზიდი იმიტომ, რომ ღამე ციოდა და უცეცხლოდ ვერ გაძლებდნენ ბავშვები და ქალები. ახლოს იყო ძალიან კარგი მჟავე წყალი, იმას ვეზიდებოდით. მდინარე, რომელზეც უნდა გადავსულიყავით, შორიახლოს ჩამოდიოდა. ვიდრე დი-

ლაზე ცხენებს უნაგირებს დავადგამდით და ტვირთს ავკიდებდით, შევამონმეთ, არის თუ არა მდინარეზე საცალფეხო ხიდი. აღმოჩნდა, რომ ჭოკი ნყალს ნაელო. ახლა დავუწყეთ ძებნა ისეთ ხეს, რომელიც ჭოკად გამოდგებოდა. ვჩქარობდით, იმიტომ, რომ დილაზე მთის მდინარე დაკლებული იყო და შეიძლებოდა მასზე ცხენების უფრო ადვილად გადაყვანა. როგორც იქნა, მოვრჩით ხიდის საქემეს. დავტვირთეთ ცხენები, ორი კაცი ჭოკზე გადავიდა. მდინარეზე გასულ ცხენებს ტვირთს ხსნიდნენ, მერე ისევ აქეთ გადმორეკავდნენ ცხენებს. ასე გავიყვანეთ ბავშვებიც მეორე ნაპირზე. კაცები და ახალგაზრდა ქალები ჭოკით გადავედით და დავადექით გზას ლაბოგალისაკენ. მაგრამ მოხუცები და ბავშვები ისე იყვნენ დაღლილი, რომ ყოველი ათი მეტრის გავლის შემდეგ ჩერდებოდნენ.

როცა მზეც მალლა აინია და დათბა, ბავშვებმაც სვლას უმატეს და კარგა მანძილი გავიარეთ. ამ დროს შორიდან მოგვესმა სტვენა. იესე ფანგანს დურბინდი ჰქონდა. დაიწყო ყურება იქითკენ, საიდანაც სტვენის ხმა მოდიოდა. ბოლოს მოიშორა თვალებიდან დურბინდი და თქვა:

– ცუდი დღე მოგველის, ვფიცავ ჩემი კარგი შამერთის სულს, დღეს გვინია ალბათ ყველას ნაწერმა, – თან ჩაიცინა. უყვარდა ხუმრობა.

– ცუდ გულზე იყოს, – ვთქვი მე, – ვილაცაა, პურს ნაგვართმევს. პური ჩვენ ჩვენთვის არა გვაქვს.

– პურს ვინლა ჩივის, სხვა ცუდი რამე არ გვიყოს, – იხუმრეს ქალებმა.

ამასობაში მოგვიახლოვდა კაცი და ხელებით გვანიშნა, გაჩერდითო. ჩვენც გავჩერდით. მოგვიახლოვ-

და, გზის მეორე მხარეს გაჩერდა, თავი დაგვიკრა და რაღაცა თქვა. ერთმა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ჩვენ გვახლდა, თქვა, რომ რუსულად გზა დაგვილოცა და პურსა გვთხოვსო. იესემ ამოიღო ჩანთიდან პური და დააპირა მისი მიტანა მთხოვნელთან. იმან ანიშნა, აქ ნუ მოხვალ, იქ დადე, ქვაზეო. იესემაც ასე გააკეთა. მთხოვნელმა პური აიღო. თავი დაგვიქნია მადლობის ნიშნად და გზას გაუყვა. მაღალი, კარგი შეხედულების ახალგაზრდა კაცი იყო. სხვანაირი თოფი ჰქონდა, ძალიან გრძელი, მაგრამ ძლიერ დაჟანგული.

იმ კაცის წასვლის მერე ჩვენი თანამგზავრები გამხიარულდნენ. ატყდა სიცილ-ხარხარი, ვინ რას ამბობდა და ვინ – რას. ამ მხიარულებაში არც გვიგრძენია, როგორ ავათავეთ აღმართი. რაკი შედარებით კარგად მივდიოდით, გადავწყვიტეთ, რომ დღესვე ჩაგვეღწია ლაბოგარამდე, მაგრამ ვერ შევძელით. ბავშვები და მოხუცები ძლიერ დაიღალნენ და იძულებული გავხდით, ღია გზაში გაგვეთია ღამე.

მეორე დღეს ჩავალწიეთ ლაბოგარამდე. აქ ძალიან კარგად გაგვიმასპინძლდნენ. იქიდან ხურძუკში ჩავედით, იმ ღამეს იქ დავრჩით. მესამე დღეს მივალწიეთ სახლში, მაგრამ დაღლილობისგან ფეხზე ვერ ვიდექით. დახოცილები ვიყავით. წვირიდან ყარჩამდე მგზავრობას მოვუნდით რვა დღე.

სამი დღის მერე უკან დავბრუნდით მე, დომენტი მუკვანი და იესე ფანგანი. თან წამოვიღეთ რაღაც, თითქმის გამოუსადეგარი ნივთები: თუჯის „ჩუგუნები“, ჯაჭვები, ცელის გასაკვესი მოწყობილობა. წამოღებად არ ღირდა, მაგრამ სვანეთში ესეც არ იშოვებოდა. თუმცა ყარჩაშიც არაფერი იყო დარჩენილი.

დიდი წვალეების შემდეგ მოვალნიეთ ნოდაშამდე. აქ ერთ მოსახლესთან – ფუთულას ოჯახში, კაჭკა მქონდა დატოვებული. ეზოში არ ვიყავით შესული და გარეთ ვნახე ჩემი კაჭკა, დამტვრეული. ბორბლები ცალკე ეყარა და ღერძი ცალკე ეგდო. შეშის მოსატანად გამოუყენებიათ და დაშმტვრევიათ. შეუდგა ამის კეთებას იესე და, როგორც იქნა, შეკრა და ბორბლებზე დააყენა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იესე შესანიშნავი თანმხლები ადამიანი იყო. მუდამ მხიარული, ყველაზე ძნელი საქმის კეთების დროსაც ხუმრობდა. იცინოდა და გვაცინებდა. მარჯვე ხელები ჰქონდა. სოფელში სამჭედლო ედგა და ყველას ამასთან მოჰქონდა რაიმე გასაჭედი. ისეთი სოფლიდანაც მოდიოდნენ, სადაც სამჭედლო კი იყო, მაგრამ ამისი გაკეთებული ბარგი ერჩიათ. ჩემი ახლო ნათესავი იყო, ხოლო ჩემი სიძის – სამსონ ფანგანის – ბიძაშვილი. სწორედ სამსონის ოჯახის წამოსაყვანად გაგვყვა ყარჩაში.

სანამ ფუთულას ოჯახში შემოვალწევდით, მათი სახლიდან დაშორებით, მაღლობზე, ნაძვნარი ტყე იყო. ამ ტყიდან ვილაცამ დაგვიძახა, ამოდით, თაფლს გაჭმევთო. იესემ ჰკითხა ვინაობა. აღმოჩნდნენ მულახელები. იესემ ყველა იცნო და დაპატიჟებაზე უარი უთხრა. თან რალაცა უთხრა ხუმრობით, მე მისი სიტყვები არ მახსოვს. მახსოვს, რომ მულახელები ხმამაღლა იცინოდნენ. ისინი იქ, ტყეში, რალაცას აკეთებდნენ. მერე ვუთხარი იესეს, უნდა მივსულვიყავით, თაფლს შევჭამდით, ძლივს ვდგავართ ფეხზე შიმშილისაგან-მეთქი.

იესემ მშვიდად თქვა:

– ასე ყოფნა გვირჩევნია.

მოვალნიეთ სახლში. შესული არ ვიყავით, რომ დაგვენია ახალგაზრდა კაცი. გამოგვეცნაურა:

– ფუთოს შვილი ვარ. თქვენ ჩვენი სკა მოგიპარავთ და უნდა ზლოთ.

ეს ჩვენ გვეწყინა – ტყუილის მოდება (ბაქან ლიგემ), გავაპანლურეთ (ოთხძგერედ) და გავუშვით ისე. ნავიდა თავის სახლში. სკა თურმე მულახელებს მოუპარავთ და ჩვენ რომ დაგვპატიყეს, მაშინ აქრობდნენ ამ სკას.

ახლა დავუბრუნდები ჩემს ამბავს. მე მეორე დღეს ნავედი კანტორაში. აქ შენახული გვექონდა სატყეოს ბარგი – ნაჯახები, ხერხები, ქვეშაგები, სამუშაო ტანსაცმელი. შევუდექით მუშაობას, კარგად ვმუშაობთ, კარგ შურუზე ვდგავართ. ისე კარგი იყო, რომ საკმარისია, ოდნავ შევანძროთ მორი, გაქანდება და მდინარის ნაპირამდე მიდის, იქ ჩერდება. უბნის უფროსი კირილე პირველი ძალიან ზრუნავს ჩვენზე. პრემიას გვინერს, მომარაგება ყველაფრისა გვაქვს. ცხრა კაცი მუშაობდა ჩვენს მეზობლად. თითქმის იმათ ვჯობნიდით. თუ ადგილი არ უწყობს ხელს, კანტორაში სიმრავლე ხანდახან კარგი კი არა, ცუდია. არის ისეთი შემთხვევა, რომ ყველას არ უხერხდება, იმუშაოს თავისუფლად. ხის მოჭრის გარდა საჭირო იყო მისი დამორება, დაჭრა და ტოტების შემოცლა. ნაქცეულ ხეზე ყველას ერთად მუშაობა არ ხერხდება. ჩვენ ყველაზე ადრე შევასრულეთ გეგმა.

ჩავაბარეთ ორასი კუბამეტრი. მოგვცეს გასამრჯელოც. ვიყიდეთ ბევრი რამე: მაკარონი, შაქარი, დამარილებული თევზი და კიდევ რალაცები. ავიკიდეთ ზურგზე ჩვენი ნავაჭრი და გახარებული წამოვედით ქვედა გზით. ფრიდონს ვუთხარი:

– პირველად ჩემთან ნავიდეთ. ამაღამ ქეიფი უნდა გადავიხადოთ.

მოვალნიეთ ჩემს სახლამდე. ძალიან გაუხარდათ ოჯახში ჩვენი მშვიდობით დაბრუნება. გახარებული ვიყავით ჩვენც და ხმამაღლა ვთქვი, ამაღამ კარგი ქეიფი უნდა გადავიხადოთ-მეთქი. ჩვენთან იმ დღეს სტუმრად იყო ჩემი მამიდა ოსანო, რომელმაც მითხრა, რომ ქეიფი ნამდვილად ეკუთნის ასეთი საქმის დამთავრებას, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს საქმე საქეიფოდ. მოვიდა დეპეშა, გვატყობინებენ, რომ თეოფანე დაუჭერიათ და ციხეში ჰყავთო ქლუხორში. მე ელდა მეცა. თეოფანე მშვიდობიანი კაცია, რა უნდა ექნა ისეთი, რომ ციხეში მოხვდა?

რა თქმა უნდა, ქეიფის გუნებაზე არავინ ვიყავით და ვუთხარი მეუღლეს, რომ ხვალისთვის საგზალი მომიმზადე, უთენია უნდა დავადგე-მეთქი გზას.

ნატამ მითხრა, ცოტა დაისვენე და მერე ნახვალ, ორჯერ ზედიზედ იყავი ყარჩაში, მერე კიდევ – კანტორაში. ასეთი ჯაფის მერე ვერ შეძლებ სიარულს, თავი ხომ არა გაქვს მოსაკლავიო. მე ჩემი არ დავიშალე და მეორე დღეს რიჟრაჟზე დავადექით გზას.

ჩვენი სახლიდან ლატალამდე ორმოცამდე კილომეტრია. ისე ჩქარა წავედი, რომ ლატალში მაშინ ვიყავი, როცა მოსახლეობა საქონელს ერეკებოდა დილით საძოვარზე. ერთ დღეში ჩავალნიე ნაკრამდე. ის ღამე ჩემს ბიძაშვილთან დავრჩი – ელენე კორძაია აქ იყო გამოთხოვილი. ძალიან გაიკვირვა კიდევ ერთხელ ჩემი ყარჩაში წასვლა. როცა ვუთხარი თეოფანეს დაჭერის ამბავი, ტირილი დაიწყო.

ციხეში მოხვედრა მაშინ ძალიან აშინებდათ სვანებს.

მეორე დღეს უთენია დავადექი გზას. მოიღრუბლა და ცუდ გუნებაზე დავდექი. წვიმაში პერევალზე გას-



ვლადნელია იმიტომ, რომ მდინარეები დიდდება და ქოკები მიაქვს და ფეხით მათზე გასვლა სულ შეუძლებელია. გარდა ამისა, წვიმის დრო პერეველზე ნისლი იცის და ძნელია საცალფეხო ბილიკის მიგნება. ძალიან ადვილია, გზას ასცდე და სადმე ბლემი (კომენტ. 8) ჩავარდე. სხვა რა შემეძლო მექნა – გავაგრძელე გზა.

ერთ ადგილას ყარჩადან მომავალი ბალსქვემოურები შემხვდნენ. თეოფანეს იცნობდნენ, მაგრამ მისი დაპატიმრების შესახებ არაფერი იცოდნენ. თანაგრძნობა გამომიცხადეს, მგზავრობა დამილოცეს და დავშორდით ერთმანეთს.

წვიმამ დაუშვა. ნაკრის მდინარემდე იმ დროს მივალწიე, რომ ის ჯერ ადიდებული არ იყო, ქოკებიც კარგად დამხვდა, არ ჰქონდა მდინარეს წაღებული, მაგრამ წვიმისაგან ძალიან იყო დასველებული და ცოტა შიშმა შემიპყრო. სველ ქოკზე ადვილია ფეხი დაგიცურდეს და მდინარეში ჩავარდე. მშვიდობიანად გადავედი მეორე ნაპირზე.

ნესგვირამდე რომ ჩავალწიე, აქ მდინარე უკვე ადიდებული დამხვდა, ქოკები – წაღებული. კინაღამ ტირილი დავიწყე. რა ვქნა, მდინარეში შევალ – შეიძლება წამილოს, თუ არ წამილებს – გალუმპული ხომ დავრჩები და ღამე სიცივით მოვკვდები, ცეცხლსაც ვერაფრით ავანთებ. ავყევ-დავყევი მდინარის ნაპირს, მაგრამ ვერსად ვიპოვე შეღავათის მომცემი ადგილი. ბოლოს უიმედოდ დავჯექი ხის ქვეშ, წვიმა ცრიდა და მთლად დასველებას ვერიდებოდი.

ამ დროს მდინარის მეორე ნაპირს მოადგა ორი ცხენოსანი. ძალიან კარგი ცხენები ჰყავდა ორივეს. ერთმა ცხენოსანმა ცხენი მდინარის ნაპირზე აატარ-

ჩამოატარა. ბოლოს ქუსლი ჰკრა და ცხენი მდინარეში შემოაგდო. გადმოვიდა იმ ნაპირზე, სადაც მე ვიყავი. მომესალმა და ცხენიდან ბარგი ჩამოიღო. შეაჯდა ცხენს და მითხრა, შენც შეაჯექი, ჩემი ცხენი ორივეს გადაგვიყვანსო. შემოვაჯექი უკნიდან. ცხენი ნელა შევიდა მდინარეში, ერთხელაც არ შეტოვრტმანდა, ისე გადაგვიყვანა მეორე ნაპირზე. წყალი თითქმის მუცლამდე წვდებოდა. მე ფეხები ავნიე ზევით, რომ კიდევ უფრო არ დავსველებულიყავი. აქ მეორე ცხენოსანიც მომესალმა. გამომკითხეს ვინაობა, მგ ზავრობის მიზეზი. როცა ვუთხარი, რომ ჩემი ძმა თეოფანე დაუჭერიათ-მეთქი, მითანაგრძეს და დამამშვიდეს, ალბათ, რაღაც პატარა საქმეზე ჩასვესო, თორემ დიდი საქმე რომ ყოფილიყო, რაიონში აუცილებლად ხმა გავარდებოდაო. შემომთავაზეს საქმელი. უარი ვუთხარი, მე საკმარისად მაქვს-მეთქი. მერე საგზალად მატანდნენ ხორცსა და პურს. ამაზეც, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. თვითონ გზას ადგნენ და ჩემზე მეტი ჰქონდათ გასავლელი, მე როგორ გამოვართმევდი საქმელს. იმდენი მადლობა ვუთხარი, რომ ბოლოს უხერხულად ვიგრძენი თავი – ზედმეტად ხომ არ ვანუხებ-მეთქი. ისეთი ვაჟკაცები იყვნენ, რომ ასეთი საქციელი მათთვის ჩვეული ამბავი იყო.

გამომემშვიდობდნენ. ორივე ცხენი კარგად გადავიდა მეორე ნაპირზე. აჰკიდეს ცხენს ის ბარგიც, რაც ადრე ჩამხსნეს იმისათვის, რომ მე დავეჯდომოდი უკან. ხელი დამიქნიეს და ნავიდნენ იქით, საიდანაც მე ჩამოვედი.

ქრისტე ღმერთმა დალოცოს ორივე. ღმერთი ედგათ ყოველთვის მარჯვენა მხარეზე შემწედ და დამხმარედ. ყველგან სიკეთით ამყოფოს უფალმა ისინი

და ყველა მათიანი, მათი სისხლ-ხორციელი. კეთილად ევლოთ ყველგან და ყოველთვის. ღმერთი იყოს მათი მფარველი. რომ არა ეს ღვთისნიერი ადამიანები, მე იმ ღამეს იქ სიკვდილი მენერა. მთლიანად დავსველდებოდი. არც თავშესაფარი ჩანდა სადმე. მდინარეზე გასვლა რომ გამებედა, აუცილებლად წამიღებდა, დაღლილი, ტანზე ჩაცმული, აბა, რას ვივარგებდი.

ვიარე და მივადექი ახალ უღელტეხილს. მოვიხედე უკან და ეს ორი ცხენოსანი დავინახე მოპირდაპირე მხარეს, უკვე მიაღგნენ მყინვარს. როგორც ჩანს, ყინული უკვე დარბილებული იყო და ცხენებს ვერ იკავებდა. მუცლამდე ეფლობოდნენ თოვლში. კაცებს საპალნე მოეხსნათ და თვითონ ეზიდებოდნენ მყინვარზე. ძალიან მენყინა მათი ასეთი გაჭირვება.

მე უკვე ვუახლოვდებოდი უღელტეხილის წვერს, როცა შეეცრად ჩამოწვა ძალიან სქელი ნისლი. დააბნელა ირგვლივ. საკუთარ ფეხებს ვერ ვხედავდი. როგორც იქნა, მივალნე უღელტეხილს და გავჩერდი, მოვითქვი სული. პატარა ხანი ადგილზე ვიტრიალე და დავეშვი ქვევით. თანდათან ვუჩქარებ ნაბიჯს. ქვევით ნისლი უფრო თხელი იყო და თითქოს ნაცნობ საგნებსაც ვამჩნევდი. ბოლოს, როცა უნდა დამევაკა, ნისლი არ იყო და დავინახე მდინარე და იქვე – ქვების გროვაც. ეს ის ადგილი იყო, საიდანაც ავედი. თურმე უღელტეხილის თავზე რომ ავედი, ცოტა ხანი რომ დავისვენე, მერე ისევ უკან წამოვსულვარ. მხარი მექცია. ტირილი დავიწყე. დავწყევლე ჩემი გაჩენის დღე და ის დღეც, როცა ჩვენ ყარჩაში წასვლა გადავწყვიტეთ.

უკვე ღამდება. აქ სიკვდილი მიწერია, დასველებული, ღია ცის ქვეშ ღამეს როგორ გავათენებ-მეთქი.

სხვა გზა არ მქონდა, მივედი ქვების გროვასთან. ვნახე, ერთ მხარეს კედლის ნარჩენი იყო. ქვები მოვაშორე კედელს და დასაწოლი ადგილი გავიკეთე. შევძვერი აქ. ძალიან რომ შემცვივდებოდა, ავდგებოდი, ადგილზე ვბუქნაობდი, რომ თავი გამეთბო. მერე ისევ შევძვრებოდი. ახლა უნდა-მეთქი გამაგრება, ვეუბნებოდი ჩემს თავს.

როგორც იქნა, გათენდა. გამოვძვერი და დავადექი აღმართს. ძალიან შემცვივნილი ვიყავი და მუხლებს ვერ ვმართავდი, მაგრამ თანდათან გავთბი და მუხლებშიც გავიმართე. უღელტეხილის ნვერს რომ ვუახლოვდებოდი, დავინახე დათვის ახალი ნაკვალევი, მარჯვენა მხრიდან შემოსულა ბილიკზე. კარგა მანძილი გაუვლია იმ ბილიკით, სადაც მე ჩამოვედი ქვევით. მერე ჩაუხვევია მარცხნივ და ხევში ჩასულა. გულზე მომეშვა. იარაღი არ მქონდა და დათვისან შეხვედრა საშიში იყო.

როდის-როდის, ჩავალწიე ლაბოგარამდე. აქ საქონელი ჰყავდათ ბალსქვემოურ სვანებს. ყველა ნათესავად მერგებოდა. გამიხარდა და მათაც ძალიან გულთბილად მიმიღეს. შემომთავაზეს მანონი და პური, მაგრამ უარი ვუთხარი, არ შევყევი კარავში. ღმერთი იყოს-მეთქი თქვენი მადლობელი ჩემი ასე კეთილად მიღებისთვის. ვკითხე, ხომ არაფერი იცით-მეთქი ჩემი ძმის დაჭერის შესახებ. ეწყინათ, მისი დაჭერა რომ გაიგეს. ჩვენ ამის შესახებ არაფერი გვსმენიაო.

გამოვემშვიდობე და წამოვედი. ჩავალწიე ხურძუკვამდე. აქ მყოფებმა კი იცოდნენ ჩემი ძმის ამბავი და დაწვრილებით მომიყვნენ ყველაფერს.

თურმე ჩემი სიძის, სამსონ ფანგანის ძალლი მოუკლავს მეზობელ სოფელში ახალჩასახლებულ ლენჯე-

რელს – გერმანს. ეს სამსონს შეურაცხყოფად მიუღია და სასტიკად განრისხებულა. კაცები მიუგზავნია – რატომ ამიგდო აბუჩად და რატომ მოკლა ჩემი ძაღლიო, შეუთვლია. იმას, ვინც ძაღლი მოკლა, მოციქულებისთვის უთქვამს, რა მოხდა, ვიშოვი ძაღლს და მივცემო, მეტი რა უნდა სამსონსო. მოციქულები რომ დაბრუნდნენ, სამსონს პირდაპირ უთხრეს გერმანის სიტყვები. ამან კიდევ უფრო გააბრაზა სამსონი. მან უჩუმრად შემოიბა ხანჯალი, გარედან გრძელი პალტო ჩამოიცვა და ასე მივიდა თავის ცოლისძმა თეოფანესთან. სთხოვა, წამომყევი ლენჯერში, რაღაც საქმე მაქვსო გერმანთან. თეოფანე გაყოლია.

იქ რომ მისულან სამსონს უთქვამს თეოფანესთვის, ადი, გერმანს დაუძახე, აქ ჩამოვიდეს, მე აქ ვიქნებიო. თეოფანე მისულა გერმანის სახლთან და დაუძახნია მისთვის. გერმანი სახლში ყოფილა. გულითადად მისალმებია თეოფანეს და სახლში შეუპატიჟებია. სახლში შემოსასვლელად მე არა მცალია, სამსონი მელოდება, სამსონს შენთანაც აქვს რაღაც სალაპარაკო და შემოგიტვალა, იქნებ ცოტა ხნით ჩამოვიდესო. გერმანი ჩაყვა. აქ გერმანი და სამსონიც მიესალმნენ ერთმანეთს. სამსონმა ჰკითხა, რატომ მოკალი ჩემი ძაღლიო. გიშოვიო კარგ ძაღლს, უთხრა გერმანმა.

– აჰა, ძაღლს მიშოვი? – ჰკითხა სამსონმა, დააძრო ხანჯარი და გადაუსვა გერმანს ბარდაყზე. სისხლით შეეღება შარვალი.

ეს თეოფანემ სასტიკად შეიცხადა.

– სამსონ, ეს რა ჰქენი, ასეთი ავკაცობა თუ გედო გულში, მე სად გადმომიტყუე? – ეუბნება სამსონს.

სიძე-ცოლისძმა მაშინვე გაეცალნენ იქაურობას. გაერიდნენ სოფელს. მკვლელობა შეიძლება მომხდარიყო. გაიგეს ლენჯერლებმაც. ეს ძალიან კარგი თემი იყო. მთელი სოფელი სასწრაფოდ დაიძრა და მიექრნენ თეოფანესა და სამსონს სახლში. სამსონზე მეტად თეოფანეზე არიან გაჯავრებული. აქ თეოფანე სრულიად უდანაშაულოა. ჩემი ფიქრით, დამნაშავეები არიან მოციქულები, სამსონს მთლად დიდი შეცდომმა აქვს დაშვებული. ყველაზე შესაბრალო აქ თეოფანეა.

მან არ იცოდა, რაზე მიჰყავდა სამსონს, რა განზრახვა ჰქონდა მას. არ შეიძლება, ჩემი ფიქრით, იმ მოციქულების საქციელის გამართლება, რომლებიც სამსონმა გერმანს მიუგზავნა. მათ უნდა რალაცნაირად შეერბილებინათ გერმანის ნათქვამი და პირდაპირ არ ეთქვათ ის, რაც მათ დააბარა გერმანმა სამსონთან საქთმელად. ასეთ დროს ერთი სიტყვა „ბოდიში“ დიდ უსიამოვნებას ააცდენდა იქითაც და აქეთაც.

ახლა გავაგრძელებ ჩემი მგზავრობის ამბავს. ხურძუკიდან ჩემი ძმის სოფლამდე ადრე ჩავალწიე. სამსონის სახლთან რომ მივალწიე, სიმლერის ხმა შემომესმა. რალაცის იმედი მომეცა, იქნებ თეოფანე გამოუშვეს მეთქი და ახლობლებთან ერთად ლხინობენ, მაგრამ მოვტყუვდი. მოქეიფე ხალხში ჩემი ძმა არ ერია და არც სამსონი ჩანდა. ქეიფობდნენ იესე, კაკილა, კაკილას უფროსი შვილები და სხვა ჩვენი ახლო ნათესავები. მოქეიფეებმა მე რომ დამინახეს, გაუხარდათ და სუფრაზე მიმინვიეს. დამჯდარი არ ვიყავი და ახალგაზრდები უკვე ჭიქაში ასხამდნენ ჩემთვის სასმელს. მე არ ვიყავი ქეიფის გუნებაზე და ხმამაღლა ვთქვი:

– თქვენ აქ ჰარირას იძახით და ჩემი ძმა ციხეში აწმირე (ხელის წისქვილით მარცვალს როშავს).

ხოროცი არ შეუწყვეტიათ, მხოლოდ იესემ მიიღო სერიოზული სახე და მითხრა:

– ოდი, გენაცვალოს ჩეჩე, როგორ ფიქრობ, თოფის იქ ხელის დოლაბით დასაღერლს მარცვალი ექნება კია?

ეს ისეთი სახით თქვა, რომ მეც გადამიარა სიბრაზემ და მარტო ეს ვუთხარი:

– ჩეჩე, ნეტავი შენ, რომ სულ ხუმრობის გუნებაზე ხარ. იესემ ისევ გააგრძელა ხუმრობა:

– ჩემი კარგი შამერთის სულს გეფიცები, ოდი, გულისწყრომას ქეიფი სჯობია.

ახალგაზრდები იცინიან. არავინ ყურს არ უგდებს ჩემს წყრომას.

სამსონმა მილიციას თავი აარიდა და არავინ იცის, სად არის, თეოფანე დაჭერილია და ლენჯერლებიც მას ემდურიან უფრო მეტად, ვიდრე სამსონს.

ამალამ აქ დავრჩი. მეორე დღეს ჩავედი ქლუხორში, სადაც ჩემი ძმა ჰყავდათ ციხეში. აქ მილიციის განყოფილების უფროსი იყო ჭვიბერელი ტარასი ანსიანი. ვთხოვე მას, ეჩვენებინა ჩემი ძმა. ტარასიმ მაშინათვე დაუძახა ორ მილიციელს და მაჩვენეს ძმა.

თეოფანემ თავიდან ბოლომდე მიაგმო, როგორ მოხდა ყველაფერი და ბოლოს თქვა, რომ არც გერმანეს ნათესაობას და არც მილიციას არ ესმით ჩემი ნაამბობი, ალბათ, ციხე არ ამცდებო. მე ვანუგეშე და ვუთხარი, რომ სიმართლე გაირკვევა და მას მალე გამოუშვებენ. ჩემს თავს არა ვჩივი, ბავშვები მადარდებს, საჭმელი უთავდებათო, მითხრა. მე ვუთხარი, რომ ხვალვე ნავალ-მეთქი სვანეთში და საჭმელს ჩამოვუტან, ეს ნუ

გედარდება-მეთქი. ტარასიმ მითხრა, რომ ათწლიანი მუხლები აქვსო შენს ძმას, სამსონი უნდა ჩაბარდეს მილიციას, თქვას, როგორ მოხდა ყველაფერი, მაშინ თეოფანეს მდგომარეობა შემსუბუქდებაო.

წამოვედი ისევ უკან. იესეს ვუთხარი, რომ მე ხვალვე ვაპირებ-მეთქი სვანეთში წასვლას. თეოფანე ციხეშია, მის ობლებს საჭმელი უთავდებათ-მეთქი. იესემ მითხრა, რომ თვითონ აქ სამსონის შერიგების საქმეზე იზრუნებს, სვანეთში მოგვიანებით მოუწევს ჩამოსვლა.

მეორე დღეს გამოვუდექი გზას სვანეთისაკენ. სახლში ოჯახის წევრები დავამშვიდე. ვუთხარი, რომ თეოფანე კარგად არის-მეთქი და მილიციის უფროსი ჩვენი შორეული ნათესავი ტარასი ანსიანი არის-მეთქი. თან ისიც დავამატე, რომ ტარასი შემპირდა და ყოველნაირად იზრუნებს თეოფანეზე.

მესამე დღეს ავკიდე ცხენს ორი ტომარა ხორბალი და ნავედი ყარჩაში. ამჯერად არ გამჭირვებია მგზავრობა. მხოლოდ ერთგან მომიხდა ცხენიდან ტვირთის ჩამოხსნა. ძალიან გამიჭირდებოდა ტვირთის ხელახლა ცხენზე აკიდება. ორი ტომარა მინაზე უნდა შემეკრა და ისე ამეკიდა ცხენისათვის. ცალ-ცალკე დადების შემთხვევაში საპალნეს ვერ დავამაგრებდი ცხენის ზურგზე. ჩემდა საიღბლოდ, იქვე, ქვევით, მყავე წყალი იყო. აქ ისვენებდა ყარჩადან სვანეთში მიმავალი რამდენიმე ახალგაზრდა. მათ რომ ნახეს, როგორ ვენვალებოდი საპალნის ცხენზე დადებას, ამოცვივდნენ ზევით. ნუ გეპინია, ჩვენ გიშველითო. ახალგაზრდები იყვნენ, სასწრაფოდ დამიტვირთეს ცხენი და გზა დამილოცეს. დალოცოს ღმერთმა მათი მოდგმა და განაყოფი. არ გავწვალეზღვარ, ისე ჩავედი სახლში.



ბავშვებს საკვები უკვე გამოლეული ჰქონდათ. ჩემ-  
მა დამ, პასიკომ იზრუნა მათზე, ვიდრე მე იქ ჩავიდო-  
დი. ახლა უკვე ბავშვების კვების საკითხი არ იყო სა-  
დარდელი.

მეორე დღეს მე და იესემ დავინწყეთ მოციქულების  
ძებნა. ისეთი კაცები უნდა მიგვეგზავნა ლენჯერელე-  
ბისთვის, ვისაც იცნობდნენ, როგორც ღირსეულს,  
და ვისაც ანგარიშს გაუწევდნენ. მართლაც ვნახეთ  
ჩენილი კაცი ელიზბარ რეხესიძე. მან თვითონ შეარ-  
ჩია ორი სხვა ღირსეული კაცი და შეუდგნენ საქმეს.  
ძალიან მოინდომეს (გუნ ანგუშეხ). მოიტანეს ამბა-  
ვი, რომ გერმანი უფრო თეოფანეს ემდურისო, ვიდრე  
სამსონს. თეოფანემ ჩამომიტყუა, თორემ ასე ადვი-  
ლად თავს არ დავაჭრევინებდი სამსონსო. მოციქუ-  
ლებს დაუნყიათ დარწმუნება, რომ თეოფანემ არაფე-  
რი იცოდა სამსონის განზრახვაზე. თუ ეს ასეა, მაშინ  
თეოფანემ ხატზე დაიფიცოს ექვსი მოფიცარით. ჩვენ  
ამაზე დავყაბულდით. ექვსი კაცის პოვნა არ გაგვი-  
ჭირდა. ყველამ იცოდა, რომ თეოფანე შეცდომაში  
იყო შეყვანილი. სამსონს რომ ეთქვა, რა განზრახვაც  
ჰქონდა, თეოფანე აუცილებლად გადაათქმევინებდა.  
ძალიან მოყვარული სიძე-ცოლისძმა იყვნენ. ერთიმეო-  
რეს ძალიან უწევდნენ ანგარიშს, მაგრამ ამ შემთხვე-  
ვაში სამსონი, ალბათ, ძლიერ იყო გაჯავრებული იმის  
გამო, რომ გერმანემ ბოდიშის მოხდის მაგივრად ის შე-  
მოუთვალა, რომ სხვა ძაღლს ვიშოვი და მოგცემო.

ჩვენ ხატზე დავიფიცეთ ისე, როგორც ამას გერმა-  
ნი ითხოვდა. სამსონიც ჩაბარდა მილიციას და გაასა-  
მართლეს. რუსეთში გაუშვეს, მაგრამ მალე დაბრუნ-  
და. თეოფანე ცოტა ხანს კიდევ ჰყავდათ ციხეში და

მალე გაათავისუფლეს. ლენჯერელებს შევურიგდით. ჩემმა დამ, პასიკომ შვილი მოუნათლა გერმანეს. ამით ეს ორი ოჯახი თითქმის დამოყვრდა. ძალიან კარგი ხალხი იყო და ჩემს სიძეს და მის მეუღლეს ახლობლებად მიიჩნევდნენ.

ახლა დავბრუნდები უკან და დავწერ იმას, როგორ ვიმოგზაურე ბოლოს ყარჩადან სვანეთში. როცა კაცების გაგზავნის საკითხი მოგვარდა, იესემ მითხრა, რომ უკან უნდა წახვიდეო სვანეთში, იქ მარტო ბავშვები არიან ქალის ამარათ. წამოვედი, თან წამოვიყვანე ორი მოზვერი. ცხენი, რომლითაც აქეთ ხორბალი წამოვიღე, დავტვირთე რალაც ბარგით – სპილენძის ქვაბები, ტაფები და სხვა მსგავსი თითქმის უვარგისი (მწდმარგაა) ბარგით. ცხენი ისე იყო დატვირთული, რომ ზედმეჯდომა გამორიცხული იყო. ძალიან უხერხული ბარგი ეკიდა, იმდენად მძიმე არ იყო, რამდენადაც უხერხული.

დილით ადრე რომ გამოვედი სახლიდან უშკვლანამდე ახალგაზრდებმა გამაცვილეს. აქამდე კარგად მოვედით, მაგრამ ამის მერე შემექმნა დაბრკოლება. მოზვრებს როცა წინ ვუშვებდი, გზიდან განზე უხვევდნენ. იმდენჯერ ცხენიც უნდა წამეყვანა იქით, საითაც მოზვრები წავიდნენ. ზედ როცა ზიხარ, ცხენს ადვილად მიახვევ-მოახვევინებ, მაგრამ აღვირით როცა გიჭირავს, ხანდახან გაჯიუტდება. თავს მაღლა აწევს და გაჩერდება. ჩემი ცხენი კარგად იყო დაჭედილი. იესე მჭედელი იყო. ცალ ფეხზე ახალი ნალი გაუკეთა და სხვა სამ ფეხზე ნალები დაუმაგრა. ბოლოს გადავწყვიტე, ცხენი წინ გამეშვა და მე უკან მოვყოლოდი მოზვრებთან ერთად. ის დალოცვილი ცხენი ისე მიჰყვე-

ბოდა ჯერ გზას და შემდეგ ბილიკებს, რომ არც ერთ ადგილას გზას არ გასცდენია. როცა შეატყობდა, რომ ძალიან დაგვშორდა, გაჩერდებოდა და როცა მიუახლოვდებოდი, ისევ აგრძელებდა გზას.

პირველი უღელტეხილი მშვიდობიანად გავიარეთ, თითქმის სულ მყინვარზე (ვოლ) მივდიოდით, საქონელს ჩლიქები და ფოლები დაურბილდა და გაუკრიალდა. ნაკრის უღელტეხილიდან რომ დავიწყეთ დაშვება, აქ ცოტა გამიჭირდა. ჯერ ცხენმა ისე მოუხვია კლდესთან, რომ ცალი ქვაბი კლდეს გამოედო. ცხენი უკანა ფეხებით ბილიკიდან კინალამ გადავიდა, შეტორტმანდა, მაგრამ, რალაც ბედზე თავი შეიმაგრა. აქ გადავრჩი. მეორე ხიფათი წინ მედო. ერთ მოზვერს რატომღაც უეცრად გამოეცალა წინა ფეხებთან ყინულის დიდი ნატეხი. მოზვერმა თავი დახარა და უნებურად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი ქვევით. ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ მოზვერი მთლიანად სლიპ ყინულზე შემდგარიყო. როგორც ციგა, ისე წავიდა ქვევით. წინა ფეხები გაჭიმული ჰქონდა. თავის შეკავება უნდოდა, მაგრამ ფეხებს ვერ იყენებდა. ყველა ფეხი გაჩერებული ჰქონდა და თანდათან უმატებდა სიჩქარეს ცურვით. ვიფიქრე, გადაიჩეხება მეთქი, მაგრამ ჩემი და მის ილბალზე კლდის პირას მოზრდილი არყისხე იდგა. იმას მოედო. ხემ დააკავა. ახლა რა ვქნა, როგორ გავაკეთო ისე, რომ როგორმე თავი ზევით ან განზე ვაქნევინო, რომ იქით გაუხვიოს. ღმერთმა უშველოს იესეს. იმან შეატოვა ამ მოზვერს რქებზე საკმაოდ დიდი თოკი. ეუბნებოდნენ სხვები, რა საჭიროა ამხელა თოკი, მარტო ამძიმებს მოზვერსო. იესემ თქვა ორი უღელტეხილი აქვს გასავლელი, კაცი მარტოა და ვინ რა

იცის, სად რა დასჭირდებაო. ნელა მივუახლოვდი. თან დაბალი ხმით ვუყვავებდი. ძალიან ფეთიანი (შფეთ) მოზვერი იყო. სულ იალალებზე ნამყოფი და ადამიანს უფრთხოდა. მაგრამ ამჯერად არ განძრეულა. ქვევით იყურებოდა და კანკალებდა. ქვევით ხრამი იყო, ძირს – მდინარე. მე მივედი. ჯერ ფერდზე დავუსვი ხელი, მერე ზურგზე და კისერზე, ბოლოს სახეზე. თან ველაპარაკებოდი დაბალი ხმით. დავუწყე თოკს შეხსნა, მაგრამ თოკი რატომღაც დასველებული იყო და ძალიან მაგრად ჰქონდა რქებზე მიკრული. როგორც იქნა, თოკის ბოლო ვნახე და ნელ-ნელა შეეხსენი თოკი. მარცხენა მხარეს, საკმაოდ მაღლა, მეორე არყის ხე იყო. ძალიან წვრილი ჩანდა და ვიფიქრე, ეს ვერაფერს მიშველის-მეთქი. თან იმის შიში მქონდა, რომ თოკი იქამდე არ გამწვდებოდა. ნავილე თოკის ბოლო იქამდე და ზუსტად განვდა. რაც შეიძლება ძირში დავამაგრე თოკი, რომ წვრილი ხე ადვილად არ გადაზნექილიყო. გავყევი თოკს უკან ფრთხილად. სახესთან რომ მივალწიე, მოზვერს ცალ რქაში ნავატანე ხელი. მეორე ხელით თოკი მაგრად გამოვქაჩე და დაველაპარაკე – მომყევი-მეთქი. ერთ ხანს არ ინძრეოდა, მერე დავინახე, რომ წინა ერთი ფეხი ფრთხილად მოხარა სახსარში და განზე გადმოდგა. ცოტა ხნის მერე მეორე წინა ფეხიც მოაყოლა. ახლა რქას ნელა გავუშვი ხელი. ავყევი თოკს და შუა ადგილას დავქაჩე, რაც ძალი და ღონე მქონდა. ხარმა მორჩილად შეაბრუნა თავი. უკანა ფეხი განზე გადგა და ორ ფეხზე დაყრდნობით გვერდზე ზევით გადმოხტა. ცოტა ხანი იდგა, შემდეგ ზევით ქნა თავი და დაიწყო მაღლა ასვლა ზუსტად იმ ადგილას, სადაც ჩამოცურდა. არაფრით განზე არ გადაუხვია,

მაშინაც კი, როცა თოკი დაიჭიმა და მოზვერს მარცხნივ ექაჩებოდა. მე მივედი თოკი ხის ძირთან დანით შევაჭერი და თოკს ხელი გავუშვი. მოზვერმა თოკი აათრია, ავიდა ბოლომდე. მერე გაჩერდა და დამინყო ლოდინი. მოვკიდე თოკს ხელი. სხვა დროს ახლოს არ მიკარებდა. ახლა ისე მორჩილად წამომყვა, როგორც ჯაჭვებმული ძაღლი მიჰყვება პატრონს. ცხენი და მოზვერი ცოტა მოშორებით იდგნენ. ჩვენ რომ მივუახლოვდით, მერე მათაც დაინყეს ქვევით სვლა.

უკვე დაღამებული იყო, როცა ნაკრის მდინარეს მივადექი. ცხენი და მოზვერები მდინარეზე გავრეკე. მე საცალფეხო მორზე გავედი. მორი დასველებული იყო. ფეხი მიცურავდა, მაგრამ მშვიდობით გადავედი მეორე ნაპირზე. პირუტყვი იქ იდგა და მელოდა. ცოტა რომ გამოვიარე, ვნახე, რომ ვილაცას ცეცხლი ენთო. მივედი და ვნახე, რომ მგზავრები იყვნენ ლენჯერიდან და ლატალიდან. ორი ახალგაზრდა ადგა და ცეცხლთან ადგილი მომცა. ერთი შედარებით ხნიერი კაცი იყო. იმან მკითხა, ეს შენ იყავი, ხარი რომ კინალამ გადაგეჩეხაო. მე ვუთხარი, რომ ის კაცი მე ვიყავი და, სიმართლე გითხრათ, ძალიანაც შემეშინდა-მეთქი. მეო, იმ კაცმა თქვა, ბიჭების ამოგზავნა დავაპირე, რომ დაგხმარებოდნენ, მაგრამ უკვე ღამდებოდა და აზრი არ ჰქონდა. ისე ძალიან გვეცოდებოდი იმდენს წვალლობდით. ღმერთი ადგია პირუტყვისაც და ადამიანსაც. დღეს ღმერთმა გიშველაო. მე მადლობა ვუთხარი თანაგრძნობისთვის და რომ ჩავთბი, ჩამეძინა მაშინვე მშიერს. გათენებისას გავიღვიძე, ზურგში მციოდა და, ალბათ, იმან გამომალვიდა სხვებზე ადრე. სხვებს ჯერ კიდევ ეძინათ. მე მოვნახე უნაგირი და ბარგი, ღამით

რომ მოვხსენი ცხენს საპალნე, ეტყობა, უადგილო ადგილზე დავაგდე. ახალგაზრდებს სადგომთან ახლოს მოუტანიათ და იქ დაედოთ.

ცხენს ავკიდე ბარგი და ახლა მოზვრების აყენება დავიწყე. ისე იყვნენ დაღლილი, რომ არაფრით ადგომა არ უნდოდათ. ამ დროს ბიჭებსაც გაუღვიძიათ და მოვიდნენ ჩემთან, რომ მომშველებოდნენ. ავაყენეთ მოზვრები, მაგრამ ლორლიან მინაზე ნაბიჯის გადადგმა არ უნდოდათ, სასტიკად ტკიოდათ დანასველები და დანარბილები ჩლიქები. როგორც იქნა, გადადგეს ნაბიჯები. ბიჭებმა კარგა მანძილზე გამაცილეს. მერე მგზავრობა დამილოცეს და უკან დაბრუნდნენ. ისინი ყარჩაში მიდიოდნენ და გზა ერთად არ გვქონდა. ღმერთმა ყოველთვის კეთილად ამგზავროს ისინი. მოზვრებს ფეხები, ალბათ, გაუთბათ და უკვე მშვიდად მოვდიოდით. მეორე დღეს მოვალწიე სახლში, ასე იყო ეს.

ოთხჯერ მომიხდა იმ წელიწადს ყარჩაში წასვლა. ეს ადვილია სათხრობლად და გასაგონად, მაგრამ ძალიან ძნელია გასაკეთებლად. ბავშვებისა და მოხუცების გადაყვანა ორ უღელტეხილზე. ეს არ არის ისეთი ამბავი, რაც კეთდება ცხოვრებაში ყოველდღე. ჩვენ მაშინ 8 დღე მოვანდომეთ სამი დღის გასავლელის გავლას. ღია ცის ქვეშ ბავშვების ღამე დატოვება, წაყვანილი პირუტყვის მოვლა გზაში, ეს ძალიან ძნელია. მთაში ნადირი იცის და სრულ სიბნელეში რა ფათერაკი ელის კაცს, ეს ძალიან გასათვალისწინებელია და შიშის შემცველიც.

მგზავრობის სიძნელეს თან ისიც ერთვოდა, რომ სულ ცუდ გულზე ვიყავი. ცალკე ის მანუხებდა, რომ მე როცა წასული ვიყავი, სახლში მარტო ქალი იყო და არავინ მისი დამხმარე. მერე ამას ზედ მიემატა ჩემი

ძმის პატიმრობა. სვანეთში მთავრობის მიერ ადამიანის დაპატიმრება იმ დროს ძალიან საძნელო საქმე იყო. თუ კაცს ორ ან სამ წელს მიუსჯიდნენ, ის კაცი დაკარგულად მიაჩნდათ (ლგქრავე მწარე) და როცა ამ კაცის ახლობელს ვინმე შეხვდებოდა, სამძიმარით ეტყოდა მას – ცოდვა იყო ამისთანა კაცი დასაკარგავადო. პატიმრობაში მყოფი ჩემი ძმის ხუთი შვილი უდედოდ იყო სხვა ქვეყანაში. ეს ძალიან დიდი გულისტკივილი და საფიქრალი იყო. ცალკე სატყეოს ბეგარა მქონდა შესასრულებელი, ასი კუბამეტრი მერქანი უნდა ჩამებარებინა დაცურებისათვის, ცალკე გზების შეკეთების ბეგარა იყო. სხვები რომ თავის ბეგარას შეასრულებდნენ და ის მონაკვეთი, რომელიც შენ უნდა გაგეკეთებინა, არ იყო გაკეთებული, ეს აფერხებდა მანქანის იქ გავლას და მთავრობა ამაზე ძალიან წყრებოდა. ყოველდღე ანუხებდა თურმე მთავრობის ხალხი ჩემს ცოლს – სად არის შენი ქმარი, გზას რატომ არ აკეთებსო. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ალბათ, ამიტომ ვიტანდი ასეთ გასაჭირს. სხვა დროს კაცი შეიძლება შერს მიადგეს (დაშვრეს).

ახლა, როდესაც მოხუცებულობაში ვარ შესული და უკან გავხედავ იმ გზას, რაც გავიარე, ვრწმუნდები იმაში, რომ ადამიანს თავისი საქციელით შეუძლია ბევრი უსიამოვნება ააცილოს თავის თავსა და სხვასაც. ის ლენჯერელი, რომელმაც ჩემს სიძეს, სამსონს ძალლი მოუკლა, არ მოიქცა სწორად. ძალლი სხვა სოფლიდან იყო შემოსული და არაფერს აშავებდა. ტყუილუბრალოდ მისი მოკვლა არ არის კარგი საქციელი. მერე – როცა სამსონმა კაცები გაუგზავნა, არ იყო სათქმელი ის, რომ რა მოხდა, სხვა ძალლს ვუშოვიო. სიტყვა

„ბოდიში“ რომ ეთქვა, სამსონი უკვე ხმას არ ამოიღებდა. სამსონი ძალიან თავმოყვარე კაცი იყო, მისთვის რომ ეთქვათ, ძაღლის ნაფასს გადავუხდით, ეს უდავო მკვლევლობის მიზეზი გახდებოდა. ძაღლიც არ ენანებოდა, მისი ნაფასზე ლაპარაკიც ხომ არ შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა. სამსონს თავმოყვარეობა შეეღობა და ამან ქნა ის, რომ კაცი მიძიმედ დაჭრა. გერმანემ სამსონი კიდევ ერთხელ იმით გააჯავრა, რომ თავის კარზე მოსულ ადამიანს უთხრა – რა მოხდა, სხვა ძაღლს გიშოვი, მოგცემო. „აჰა, ძაღლს მომცემ ხომ?“ ესლა უთხრა სამსონმა და ხანჯალი დაუსვა ბარძაყზე.

ძალიან შეცდნენ მოციქულებიც, მაშინ, როცა გაჯავრებულ სამსონს პირდაპირ ის სიტყვები მიახალეს, რაც გერმანემ შეუთვალა. მოციქულებს შეეძლოთ შეერბილებინათ დანაბარები: გერმანემ ბოდიში მოიხადა და გამოთქვა მზადყოფნა იმის გასაკეთებლად, რასაც შენ მოითხოვ და შენი მოციქულებიო. საქმე აქ დამთავრდებოდა. სამსონი მეტს არაფერს მოითხოვდა და არც დაემდურებოდა ძაღლის მკვლელს. მისი ფიქრით, ამით სირცხვილი გასტუმრებული იქნებოდა (შგვირ ლუმ-შგვანე ლასე). ლენჯერლები ძალიან აკვარგინი თემი იყო, სირცხვილ-სახელის მიმხედავი. შერიგებისას მათ ზომიერება გამოიჩინეს, ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე დათანხმდნენ მოციქულთა გამოტანილ გადანყვეტილებას. შერიგების შემდეგ ნამდვილი ნათესავებივით იყვნენ ჩემი სიძე და ისინი ერთმანეთში. აქ საქმეს შველოდა ის, რომ როგორც სვანეთში ამბობენ, თავისთავის ნადგომზე დააყენეს ერთმანეთი (ნაგამჟი ლიგნე).

როცა თეოფანეს ბარგი წაიღეს მულახელებმა, იქაც მოსალოდნელი იყო შეხლა-შემოხლა. მაგრამ მულა-



ხელი შედარებით ხანშიშესული იყო, ჰქონდა გამოცდილება, იცოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო ასეთ დროს. მან ჯერ ბოდის სიტყვები უთხრა ჩემს ძმას, მერე ისიც კი ანიშნა, ვიშოვე ეს ბარგი, ისე როგორც ყველა ვშოულობთ აქაო. სახლის კარზე თუ შენი გვარი ეწერა, ის ჩვენ ვერ ნავიკითხეთ, ღამე იყო, თორემ ამას არ გავაკეთებდითო. თეოფანე ასეთმა დახვედრამ დაამშვიდა, და აქითობას გზაში ლაპარაკის დროს მითხრა, რომ მულახელები ერიდებიან, ვისმეს ზევიდან უყურონ და არც სხვებისგან იტანენ ამასო.

სვანები ამბობენ, რომ კაცის ღმერთი კაციაო. მე ნამდვილ ღმერთად მომეგვლინა ის კაცი, მდინარეზე რომ გადამიყვანა თავისი ცხენით. იმ ღამეს სიკვდილს თუ გადავურჩებოდი, გაციება არ ამცდებოდა და დაქარიანდებოდი სამისდღემშიოდ.

ღმერთი იყოს იმ ვაჟკაცისა და მისი მოდგმის მადლობელი.

## **ოთარშა ვარგი**

ოთარშა ვარგი თურმე სანადიროდ მიდის. შვილიც თან ახლავს. უკან მსახური – ფამლი მოჰყვებათ. მამა-შვილის იარაღი და საგზალი ამ ფამლის ჰკიდია.

როცა მზემ შემოიმაღლა და დაცხა, მამა-შვილმა გარე ტანსაცმელი გაიხადა და ესეც ფამლის აჰკიდეს.

წესის მიხედვით, ფამლი ვარგებს უკან მიჰყვებათ ხოლმე. წინ უშვებენ მას მაშინ, როცა მდინარეზე გადებულ საცალფეხო მორზე არიან გადამსვლელები, ფონია წყალზე მოსანახი, ან სხვა დაბრკოლებებია.

ამჯერად, რაკი ფამლი უზომოდ იყო დატვირთული და გზის ცუდი მონაკვეთი იწყებოდა, მამა-შვილმა წინ ფამლი გაუშვა.

მამამ შეხედა წინმიმავალ ფამლის, და როცა დაინახა, ტვირთის სიმძიმისგან ნელში როგორ იყო მოხრილი, როგორ უპრიალებდა მზეზე მოტვლეპილი ოფლიანი თავი და როგორ მძიმედ ადგამდა მოკაკვულ ფეხებს, უნებლიედ გაეცინა და ფამლის გაეხუმრა:

– ღმრთის მადლმა, ჯაშავ, შენ ახლა ერთი ვირის საპალნე გკიდია.

– ერთი ვირისა არა, პატრონის თვალისჩინმა, ორი ვირის, – უპასუხა ფამლიმ.

(აშხვმიშ დწმეგ, ფუსდიწშ თერაჯწონ, იარუ წელიშ).

## **დაცინვა, რომელიც არ იწვევს წყენას**

ჩემი ახალგაზრდობის დროს, რომელიმე პიროვნების ან გვარის აშკარად აუგადხსენება ძალიან საწყენი და საძნელო (ლეგხოლე ი ლედნელე) საქმე იყო. ასევე, არავინ არავის აპატიებდა ოჯახის ან გვარის მახვიის ცუდად მოხსენიებას. ძალიან უფრთხილდებოდნენ აგრეთვე ისეთი პიროვნების აგდებულად, უპატივცემულოდ მოპყრობას, ვისაც რალაცა ფიზიკური ნაკლი ჰქონდა: იყო ყრუ-მუნჯი, ხეიბარი, ბრმა ან მთლად დავრდომილი. გლახას, ღვთისაგან განწირულ ადამიანს, მეტი მოვლა-პატრონობა (ხოშა ლიზნანი) სჭირდებაო – ასე ამბობენ სვანები. ნურაფერს ვიტყვით ქალებზე. ყველა ქალს, განსაკუთრებით, გათხოვილს, ორი პატრონი, ორი საძმო იცავდა. ერთი იყო ის გვა-

რი, ვისი ასულიც (ჰასვიში) ქალი იყო, და მეორე კიდეც – ქმრის გვარი. ვინ რას აკადრებდა სვანეთში ქალს.

ხუმრობა კი ახალისებს ადამიანს. სვანებსაც მონახული ჰქონდათ ხუმრობის ისეთი ფორმა, რომ არავის უნდა სწყენოდა, არავინ დამცირებული ან შეურაცხყოფილი არ უნდა ყოფილიყო.

მეტწილად უკვე წასულებზე იყო ასეთ დროს ლაპარაკი. მაგალითად, გვარის გარდაცვლილ კაცებზე.

აი, მაგალითად, ერთი ეუბნება მეორეს:

– თქვენი გვარის რჩეულმა ვაჟკაცებმა გადანყვიტეს, დიდი ქეიფი გადაიხადონ და მოიწვიონ ყველა ნათესავი. დიდი ბჭობის შემდეგ გადანყვიტეს, რომ დაკლან მამალი. დააჭერინეს ეს მამალი სხვა გვარის ბავშვს. თვითონ ვერ დაიჭირეს. დაჭერილი მამალი გამოართვეს ბავშვს. დაეჭიდა გვარის ყველა რჩეული ვაჟკაცი იმ მამალს და, როგორც იქნა, წამოაქციეს. ეს იყო, უნდა გამოეჭრათ ყელი, რომ შეიბერტყა ეს მამალი და თქვენი გვარის ყველა რჩეული თითო საყენზე გაისროლა იქით-აქეთ. ზოგი კედელს მიენარცხა, ზოგმა საქონლის ბაგაში მოადინა ზღართანი. თქვენი ძველები ამ დღეს ძალიან დაზარალებულან. დღემდე გაგყვათ იმ დღის მარცხი. ახლაც ზედ გატყვიათ იმ დღის კვალი.

– ეგ რა სალაპარაკოა იმასთან შედარებით, რაც თქვენი გვარის ერთ წევრს მოსვლია ერთ დღეს, – პასუხობს მეორე, – ამ დღეს, თურმე, თქვენი ძველი მთაში მიდიოდა. როგორც ყოველთვის, ამ დღესაც უზმო ყოფილა, მხოლოდ მძახებელის ლუკმა (მგყლა ნაპუ) ჰქონია პირში ჩადებული. თან საგზალი არც ახლა ჰქონია. მოშივდა, რა თქმა უნდა. სანამ უხამებდა

(ხანს ხანკდა), მისდა საილბლოდ, ქვევით, ხევში, დიყის ფოთლები დაუნახავს. ეს მას დუცი ჰგონებია. ჩავიდა ხევში, ახსენა, თურმე, თქვენი სალოცავი, და შედგო-  
მია ჭამას. ჩანს, კარგად მიაძღა. მეორე დღეს სოფლის „ფადასმა“ ჩამოასვენა ცხენსაკაცით. დიდი წინაპარი დაგიკარგავთ თურმე იმ დღეს.

– თქვენი დიდი წინაპარი სანადიროდ წასულა. ხევში ნაზვავი ყინული წოლილა, ხოლო ზევიდან გდებულა ზვავის მიერ ჩამოტანილი მკვდარი ჯიხვი. წამოუ-  
ლია ზურგით. ის ღამე მთელმა თქვენმა საგვარეულომ თურმე ლოცვაში გაატარა. მაღლი შესწირეს თურმე აფსათს, რომელმაც წყალობა არ დაიშურა თქვენი განთქმული წინაპრისთვის.

დაუნყეს თურმე გატყავება, იმისთანა სუნი დაუ-  
ყენებია დამპალ ლეშს, რომ თქვენს სახელოვან წინა-  
პარ– ჩენილებს კინაღამ ერთმანეთი გადაუთელიათ მაჩუბის კარებში, თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ თურმე სხვადასხვა მხარეს.

## **შალიანის ნაბანი**

ერთ წელიწადს, სკოლაში სწავლა რომ დამთავრდა, სოფელ იფარის ათწლეუდდამთავრებულმა ახალგაზ-  
რდებმა გადაწყვიტეს, სკოლის დამთავრება დიდი ქეი-  
ფით აღენიშნათ.

მაშინ საშუალო სკოლა მარტო იფარში იყო. იფარის სასოფლო საბჭოში შემავალ სხვა სოფლებში იელიში, წვირმიში, ადიშში, ხალდესა და კალაში მარტო 8-წლი-  
ანი სკოლები იყო. მერვე კლასის დამთავრების შემ-

დეგ ჩამოთვლილი სოფლების ახალგაზრდები იფარის საშუალო სკოლაში გადმოდიოდნენ და აქ ამთავრებდნენ ათწლედს. მაღალ კლასებშიც ბევრი მოსწავლე იყრიდა თავს და სკოლაში თითქმის ყოველთვის ორ ჯგუფად ყოფდნენ მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებს.

მე რომ ამბავს გიყვებით, იმ წელს სამოცამდე ბავშვმა დაამთავრა იფარის საშუალო სკოლა.

რაკი ამდენი იყვნენ, გადანყვიტეს სკოლის დამთავრება ისეთი ქეიფით აღენიშნათ, როგორიც არ ახსოვდა იფარის სკოლას.

ყველა მონაფემ გამოართვა მშობლებს იმდენი ფული, რამდენიც დათქვეს, მაგრამ რომ დაიანგარიშეს მიხვდნენ, რომ თანხა მარტო იმდენი ჰქონდათ, რომ საშუალო, ერთდღიანი ქეიფისათვის თუ ეყოფოდათ, არაფრით გამორჩეული არ იქნებოდა მათი ლხინი წინა წლების სკოლადამთავრებულების ქეიფისაგან. რა ქნან? ზოგი მშობელი კი დაუმატებდა ცოტას იმ თანხას, რაც შვილს ადრე მისცა, მაგრამ ესეც ეუხერხულათ ბავშვებს. ვინც ვერ მოიტანდა დასამატებელ თანხას, ის უხერხულად იქნებოდა ქეიფის დროს და არ გამოუვიდოდათ მხიარული დროსტარება. დაიწყეს ბჭობა და გადანყვიტეს დამატებით ხორცი როგორმე იშოვონ მუქთად და სასმელისათვის ფული თავზესაყრელად ექნებოდათ. ვილაცებმა თქვეს, რომ იციან უკვე გარეთ გაშვებული ღორების ღამის სადგომი ტყეში. იქ ურევია რამდენიმე დიდი და მსუქანი ტახი, როგორმე უნდა მოვიპაროთ ერთი მაინცო.

როცა ზაფხული ძალაში შედის და ღამითაც თბილა, ღორები ხშირად რჩებიან გარეთ. სადმე იკეთებენ სად-



მჟავე წყალი ენგურის ნაპირას

გომს და ერთი ოჯახის ღორები ღამე ერთად წვებიან, სხვა ოჯახის ღორებს არ შეიერთებენ. დღისით, როცა ერთად იკვებებიან იტანენ სხვა ღორებსაც, მაგრამ მარტო მაშინ, თუ საკვები ყველასთვის საკმარისია.

ბიჭებმა შეარჩიეს ერთი ოჯახის ღორები. საღამო ხანს, როცა კარგი ამინდი იყო და იცოდნენ, რომ ღორები ტყეში დარჩებოდნენ, წავიდნენ სანადიროდ. წაიღეს ერთი ვედრო თბილი შრატში აზელილი სიმინდის ფქვილი. თუ შრატი თბილია, მაშინ სიმინდის ფქვილს ოხშივარი ასდის და ღორებს ძალიან იზიდავს ასეთი სალაფავი.

დაღამების წინ, ვიდრე ღორები მოვიდოდნენ დასაძინებლად, ეს სალაფავი ისეთ ადგილას დაყარეს, რომ იქვე ჩასაფრებული ბიჭები ღორებს არ დაენახათ და თოფის სროლაც გაუადვილდებოდათ.

დალამებამდე ღორები მართლაც დაბრუნდნენ სადგომში და ხარბად დაუნყეს სალაფავს ქამა – როგორც ეს ჩვევიათ ღორებს.

ერთი ბიჭი შორიახლოს ბუჩქებში დამალულა და გეკო უსვრია ყველაზე დიდი ტახისათვის. გეკო ძალიან ზუსტად ისვრის და თან ძლიერია, ხმაც არ აქვს დიდი. ტყვია ტახს ყურში მოხვდა და იქვე უხმოდ დაანვინა მინაზე ისე, რომ სხვა ღორები არც დამფრთხალან.

ბიჭები ოთხნი ყოფილან წასული, ღორი ადგილზე დაუნანევრებიათ, ნანლავები იქვე დაუყრიათ და დანარჩენი ტომრებში ჩაუდვიათ. როცა დალამდა მიუტანიათ ერთ-ერთის სახლში.

სკოლის დამთავრების ქეიფი მართლაც დიდებული გამოსვლიათ. ღვინო ოჯახში არ იყიდებოდა, მაგრამ მესტიაში იყო ღვინის წერტი – იქიდან მოუტანიათ. ხილის სვანური არაყი, ნათავედიც ბლომად ჰქონიათ და სამი დღე გადაბმით უქეიფიათ. რა თქმა უნდა, ღორის მოკვლის ამბავი მაშინვე გაიგო პატრონმა და ისიც იცოდა, ვინ მოკლა. სოფელში ასეთი რამე არ იმალება, მაგრამ ქეიფი არ ჩაამწარა ახალგაზრდებს და ისეთი სახე მიიღო, თითქოს არაფერი მომხდარა.

ერთი კვირა რომ გავიდა, ღორის პატრონმა მაღაზიაში იყიდა სამლიტრიანი ემალის თეთრი ჩაიდანი, არ ჩაიდო ტომარაში და სოფელ ბოგრემის გავლით დაადგა გზას სოფელ კალასაკენ, სადაც კვირიკეს ეკლესია დგას. სოფელში ვინც შეხვდა, ყველამ იკითხა – შენ წვირმიში ცხოვრობ და ცარიელი ჩაიდანი რატომ მიგაქვს კალაშიო. – რალაცა საქმე მანუხებსო – დინჯად პასუხობდა. სოფელ ბოგრემს რომ გასცდა, ჩაიდანი გულდასმით დამალა და თვითონ კოლმეურნეობის ფერმისაკენ წავიდა. ეს ფერმა ლაშნაში იყო, თით-

ქმის 2 კილომეტრით დაშორებული სოფელ ბოგრეში-დან. ჩაიდნის პატრონი მივიდა ფერმის მუშაკებთან. იქ იყვნენ მწყემსები, მწველავი ქალები – ყველა ნაცნობი და ნათესავიც. ილაპარაკა ამ ხალხთან, გაერთო და მერე დაბრუნდა უკან. აილო თავისი ჩაიდანი და იქავე გაავსო წყაროს წყლით. ეს წყარო ბოგრეშთან ახლოს გადმოდის კლდიდან. არის ძალიან ცივი და როგორც ამბობენ მარგებელიც. ამ გზაზე ისე არავინ გაივლის, რომ ამ წყაროს არ დაენაფოს.

შემოვიდა სოფელში და სვიფში განაცხადა, რომ კალას კვირიკეს ეკლესიიდან მოიტანა ნაკურთხი წყალი – შალიანის ხატის ნაბანი, და უნდა საფუარში ჩაუსხას ყველას. ვინც მართალია და სუფთა, ეს წმინდა წყალი სიმშვიდეს და ბარაქას მოუტანს მის ოჯახს. ვინც მტყუანია, იმას უკვე წმინდა კვირიკესთან ექნება საქმე. ღვთის ნებას ვინ სად წაუვალთ (სოფელ კალას წმინდა კვირიკეს და ივლიტას მონასტერში ინახება ბიზანტიური ხელობის ძვირფასი ოქროს ხატი. ამ ხატს სვანები შალიანის ეძახიან. იგი საგანგებო ყუთში უდევთ და არავის აჩვენებენ ეკლესიის მსახურნი. ამ ხატს წელიწადში სამჯერ გულდასმით წმენდნენ და საგანგებოდ მოტანილი წყაროს წყლით ბანდნენ. ხატის ნაბან წყალს ვერცხლის დიდ სურაში ასხამდნენ და გულმოდგინედ ინახავდნენ. ვისაც ქურდობა ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ არ აღიარებდა ქურდობას, მას შალიანის ნაბანი წყლით მიადგებოდნენ კარზე და შესთავაზებდნენ მის საფუარში ჩასხმას. თუ უდანაშაულო ხარ, შალიანი შეეწევა და გააძლიერებს შენს ოჯახს, თუ დამნაშავე, მაშინ შალიანი იცის თქვენი ოჯახის საქმეო, იტყოდნენ.



ხატის შიშით ბევრი ქურდობა მჟღავნდებოდა.

საინტერესოა ამ ხატის ისტორია: იგი მულახელ შალიან შერვაშიძეს მიუღია საჩუქრად იმერეთის მეფისგან, გეგუთის მინდვრის ერთ დღეში გათიბვისთვის.

ქუთაისიდან ლატფარის გზით წამოსულ შერვაშიძეს კალაში დაღამებია და იქ, სოფელ ლალხორში მცხოვრებ ერთ-ერთ მოსახლეს მიუწვევია ოჯახში. სტუმარს კარგად გამასპინძლებიან და დასასვენებლად ცალკე ოთახიც მიუჩენიათ.

სტუმარს რომ დაუძინია, ოჯახის ცნობისმოყვარე ქალებს გადაუწყვეტიათ – მოდი, ვნახოთ, რა აქვს ტომარაში ჩვენს სტუმარსო. გაუხსნიათ ტომარა და უნახავთ ისეთი რამ, რაც აქამდე მათ თვალებს არ ენახათ.

აცნობეს ამის შესახებ ოჯახის კაცებს. მათაც რომ დაუნახავთ ეს ზღაპრული ნივთი, უთქვამთ, ამ განძის გაშვება ჩვენი ოჯახიდან არაფრით არ შეიძლება, უნდა მოვიფიქროთ ისეთი რამ, რომ ნივთი ჩვენ დაგვრჩესო. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ გადაუწყვეტიათ, რომ მძინარე სტუმრისთვის მიეწვინათ ოჯახის ერთ-ერთი რძალი. ასეც მოქცეულან. მათი დასწრებით ქალი მიუწვა მძინარეს და ფრთხილად გადახვია ხელი.

კაცები გარეთ დამდგარან და კარგა ხნის შემდეგ ხმაურით შეუღლიათ კარი და თავზე დადგომიან მწოლიარეთ. შემცბარი, გაოგნებული და ნახევრადმძინარე სტუმარი ჯერ გონს ვერ მოგებულა, მერე უკითხავს, რას მემართლებითო.

– როგორ თუ რას გემართლებით, სტუმრად მიგიღეთ, რაც შეგვეძლო, პატივი გეცით და შენ რითი გადაგვიხადე სამაგიერო, აბუჩად აიგდე ჩვენი ოჯახი, სვანეთში რომ არავის სმენია, ისეთი საქციელი ჩაიდი-

ნე, საქვეყნოდ თავი მოგვჭერი. ამას სიკვდილის მეტი არაფერი უშველის.

სასტიკად შეშინებულ სტუმარს ხატის აქ დატოვებით დაუხსნია თავი.

ოჯახს ეს ხატი სოფელ კალას წმინდა კვირიკესა და ივლიტას მონასტრისთვის შეუწირავს. აქ ინახება დღესაც, საგანგებოდ შეკრულ ყუთში.

როცა ხდება მკვლელობის შემდეგ შერიგება, სვანეთის ყველა კუთხიდან აქ მოდიან. შალიანის ხატზე დაფიცებისთვის ძველ დროში 25 მანეთს იხდიდნენ. ბოლოს ერთი ძროხა დანესდა დაფიცების საფასურად.

ხატზე დაფიცების საფასურს არ ახდევინებდნენ მულახელ შერვაშიძეებს, რაკი მათი წინაპრის მიერ იყო მოტანილი ეს ხატი.

დავუბრუნდეთ ჩაიდნიან კაცს.

სოფელ ბოგრეშში ბევრ დიასახლისს გამოუთქვამს სურვილი იმისა, რომ ეს წმინდა წყალი მის საფუარში მოხვედრილიყო, მაგრამ ყველა ოჯახს აქ არ მიადგა, იცოდა რომ მისი ტახის ქურდები სხვა უბანში ცხოვრობდნენ.

მივიდა იქ, სადაც ტახის მკვლელები ეგულებოდა. ჯერ მიადგა მათ მეზობლებს და ხმამაღლა დაიწყო ეზოში ლაპარაკი ისე, რომ ირგვლივ ყველას გაეგონა: მე არავის შეურაცხყოფა არ მინდა. ჩვენი წინაპრები ამას ყოველთვის აკეთებდნენ, როცა მსგავსი ამბავი შეემთხვეოდათ. ეს სანყენ საქმედ სოფელს არასოდეს მიუღია. არც ახლა უნდა მიწყინოს ვინმემ. მე ჩემს დანაკარგს ვეძებ, სამი წლის ხუთფუთიანი ტახი ვილაცამ წამართვა. ბავშვებიანი ოჯახისთვის ეს დიდი დანაკლისია. მოვიტანე კვირიკეში ნაკურთხი და შალიანის სურაში ნადგომი

ნმინდა წყალი. თან მაქვს ეკლესიაში ნაკურთხი ჭიქა და საფუარში მინდა ჩავუსხა ყველას. უბრალოს და უდანაშაულოს სიკეთეს მოუტანს ეს წყალი დამნაშავესა და მტყუანის საქმე უკვე ღმერთმა იცის.

შევიდა ეზოს პატრონის ოჯახში. იცოდა, ეს ოჯახი უბრალო იყო. ამოიღო ჯიბიდან სუფთა ნაჭერიში გახვეული ჭიქა შემოხსნა ნაჭერი და გადასცა დიასახლისს. შემდეგ მონინებით მოხსნა ჩაიდანს ცხვირში ჩაჭედული მუხის ფოთოლი და ფრთხილად ჩაუსხა ჭიქაში წყალი ოჯახის დიასახლისს. დაუნყო დალოცვა – სასარგებლო იყოს თქვენი ოჯახისთვის ეს სინმინდე, ბარაქა დაეხვიოს თქვენს ოჯახს, ტყის ფოთოლივით გაგამრავლოთ კვირიკემ.

ქალებმა თურმე ნებართვა ითხოვეს, ჩვენც გვინდა დავესწროთ ამას, ვნახოთ, როგორ სრულდება ეს საღმრთო მოქმედება, მერე ჩვენთანაც შემოდითო.

ბევრს შეჰყვა და ბევრგან წამოთქვა ეს დალოცვა.

როგორც მერე თვითონ მომიყვა, როცა იფარიდან წვირმიში მიდიოდა და ჩვენთან გამოიარა, კინაღამ საქმე გამიფუჭა ღორისმკვლელის ოჯახის ახალგაზრდა ქალმაო. დაიჩემა, გინდა თუ არ გინდა, ჩემს საფუარშიც ჩაასხი ეს „იურდანიო“. მე ელდა მეცა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ოჯახი არ აღიარებს ღორისმოკვლას და არაფერს არ ამინაზღაურებენ. პირდაპირ უარის თქმაც არ შეიძლებოდა, მეზობლის ქალები გვესწრებოდნენ. გაჭირვებამ მომაფიქრა თუ წვირმის მაცხოვარმა მიშველა, გამახსენდა, რომ ეს ახალგაზრდა ქალი ოჯახის ახალმოყვანილი რძალი იყო. მსახურობდა მონანგარიშედ და იმდენად საოჯახო საქმეებს არ აკეთებდა.

მე ვუთხარი ამ ახალგაზრდა ქალს, რომ საფუარის შიმეფდლ (ხელისმკიდებელი) თქვენი დედამთილია

და თქვენ რომ ჩაასხათ საფუარში ეს წმინდა წყალი, ეს იგივეა, რომ გარეშემ გააკეთოს ეს.

სვანები განუყოფელ ოჯახებად ცხოვრობდნენ და ამიტომ ქალებს, განსაკუთრებით, ძმების ცოლებს, ფუნქცია მკაცრად ჰქონდათ განაწილებული. საფუარი და ფქვილი ერთს ებარა, რძის ნაწარმს სხვა განაგებდა, საქონელს სხვა უვლიდა და ა. შ. ერთმანეთის საქმეში არ ერეოდნენ. მაგრამ ეს ადრე იყო. იმხანად, როცა ტახის პატრონი „წმინდა წყალს“ დაატარებდა სოფელ-სოფელ, საფუარის განკარგვა ოჯახის რომელიმე წევრ ქალისგან ისევე დავინწყებული იყო, როგორც ხატის ნაბანის ჩასხმა საფუარში. ამკარად მიფუჭდებოდა საქმე. ამიტომ ვუთხარი ქალს, ან დიასახლისს უნდა დაუძახოთ, ან ოჯახის მახვში უნდა დაგვესწროს-მეთქი. ვილაცამ თქვა, ამისი მამამთილი მესერს აჭდებს აქვე, თუ შეიძლება, დავუძახებთო. მე ვუთხარი, რაკი სხვა გზა არ არის, დაუძახეთ-მეთქი. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ მოიყვანეს ოჯახის „მახვში“ – ჩემი ტახისმკვლელის მამა. გულთბილად მომესალმა, მოიბოდიშა, რომ სამუშაო ტანსაცმელშია და ოფლიანიცაა. მერე რძალს მოუბრუნდა – რამე გამოიტანე სუფრაზე, ჭიქას აწევს სტუმარიო. ჩაიდანი გამომართვა, ფანჯარაზე დადგა და დაბალი ხმით მითხა – ვიცი, რაზეც ხარ მოსული, მე სხვა ბიჭების მამებსაც მოველაპარაკები და ზარალს აგინაზღაურებთო. თან მომიწონა საქციელი, რომ ბიჭს პირდაპირ სახალხოდ არ დავადექი პირზე.

ამას მე არც გავაკეთებდი. ამ ასაკში ახალგაზრდები თავმოყვარეობით არიან გატენილი. ამას ისინი არასოდეს მაპატიებდნენ. სუფრიდან რომ ავდექით და გარეთ დერეფანზე გამოვედით, მასპინძელმა გამოიტანა

ჩემი ჩაიდანი, გამოაძრო მუხის ფოთოლი და პირდაპირ ჩაიდნის ცხვირიდან დაუნყო დაღევა, თითქმის დაცალა. მერე ხელისგულით მოიწმინდა ტუჩები და თქვა, ერთ სოფლად ღირს სვანეთის ნებისმიერი წყარო, ამ სიცხეში ამის დაღევას არაფერი სჯობსო.

## ჭვიბერში

მე და ჩემი უმცროსი ძმა იონა ვაპირებდით დაღში (კოდორის ხეობა) წასვლას. იქ ნათესავს სამუშაო ეშოვა და ჩვენც დაგვიბარა. იონა სოხუმიდან გადავიდა იქ. მე საქმე მქონდა სახლში და რამდენიმე დღის მერე ჭვიბერის უღელტეხილით გადავწყვიტე წასვლა. რაკი მანქანა არ იყო, ფეხით გავუდექი გზას. ვიყავი მარტო. დილაზე ისე ადრე დავადექი გზას, რომ მხოლოდ ლატალში გათენდა. იმავე დღეს ჩავალწიე ჭვიბერამდე. ეს დაუჯერებლად ეჩვენებოდა ყველას, ვისაც მერე ვუამბე ამის შესახებ. ეს ნამდვილად ასე იყო. ახალგაზრდა ვიყავი, ჯანმრთელი.

უკვე დაღამებული იყო, როცა ჭვიბერს მივალწიე, გავჩერდი ერთი მოსახლის ეზოში და მასპინძელს დავუძახე. გამოიხედა გოგონამ. ვუთხარი, ბინა მჭირდება-მეთქი ღამის გასათენებლად. შემობრძანდიო, მითხრა გოგონამ. მე ვუთხარი, უფროსებს დაეკითხე-მეთქი. ჩვენი ლაპარაკი გაუგონია მასპინძელს. გამოვიდა აივანზე და ვიდრე მივესალმებოდი, თვითონ დამიძახა, შემოდი, შე კაცო, ბინა რა საკითხავიაო.

შევედი. მივესალმეთ ერთმანეთს. მე ბოდიშის მოხდა დავაპირე, მეუხერხულება-მეთქი უდროოდ ოჯახის



მგზავრები ცხენებით სოფლის სკოლის ეზოში  
სოფელი ბეჩო, ზემო სვანეთი  
1929 წელი

შენუხება. არ დამამთავრებინა – აქ რა არის საბოდიშოო. გამეცნო – მე პეტრე ვარო ვიბლიანი. მეც ვუთხარი, საიდანა ვარ – წვირმიდანა ვარ-მეთქი კორძია, ომინდე მქვიან-მეთქი. კარგი ვაჟკაცი ჩანხარ, სახელი ვერ გრქმევია კარგო – გამეხუმრა. მერე მითხრა, რომ სოფელ იელიში ჩემი მოგვარეები ცხოვრობენო – ხვიბლიანები. რამდენიმეს სახელიც მითხრა – თუ იცნობო. მე ვუთხარი, ყველას ვიცნობ და ჩემი ნათესავებიც არიან-მეთქი. ეს სინამდვილეშიც ასეა. ძალიან ესიამოვნა, მამაჩემსაც იცნობდა.

ოჯახში რამდენიმე გოგონა იყო. ერთი მეორეზე ლამაზი, რალაცას საქმიანობდნენ დედასთან ერთად. პეტრემ უთხრა ახალგაზრდებს – სტუმარს მოუარეთო. დატრიალდნენ, ფეხზე გამხადეს. ტაშკით თბი-

ლი წყალი და საპონი მოიტანეს. ერთ-ერთს უნდოდა ჩემთვის ფეხების დაბანა. ეს პატივისცემის ყველაზე დიდი გამოვლინებაა და ნიშანი იმისა, რომ სასურველ სტუმრად მიმიღეს. არაფრით ამის უფლება არ მივეცი. მართლაც, ანგელოზივით გოგოები იყვნენ და ამას როგორ ვაკადრებდი.

სასწრაფოდ გაამზადეს ვახშამი – ხაჭაპურები, კუბდარები, ხორცი საქონლისა და ღორისა, ანწლის არაყი, მოსავლის (ნამშაია) არაყი, ნათავედი. ისეთი უხვი სუფრა გაშალეს, ქორწილს ეყოფოდა.

ნავახშმევს პეტრეს ვუთხარი, რომ ხვალ ადრე მიინდა წასვლა, რომ დალში ჩავალნიო-მეთქი. მეექვსეა, ხვალ შეიძლებოდეს უღელტეხილით წასვლა, ძალიან თოვსო, მითხრა პეტრემ. გარეთ რომ გავიხედე, ვნახე, რომ მართლაც ძლიერ თოვდა.

დანოლის წინ პეტრეს ვთხოვე, ფანჯრის დარაბა გაეღო, რათა შუქის შემოსვლა ადრე მეგრძნო. დავნექით, რაკი წინ გრძელი გზა მედო, ადრე გავიღვიძე. გავიხედე ფანჯრისაკენ – შუქი არ შემოდის. კიდევ წავუძინე. რომ გამომეღვიძა და ვნახე შუქი არც ახლა შემოდოდა, პეტრეს გადავძახე – ძალიან გრძელი ღამე გამოვიდა-მეთქი – ვიხუმრე. მეც კარგა ხანია მღვიძავს, მიკვირს შუქი რატომ არ შემოდისო – თქვა პეტრემ. ადგა ჩემი მასპინძელი. უნდოდა კარის გაღება, ვერ გააღო. კარგა ხანი ეჭიდავა კარს. როგორც იქნა, გააღო და რომ დაინახა, რა ხდებოდა გარეთ, შეშფოთებულმა შემომძახა – ომინდე, სასწრაფოდ ადექი, საცაა თოვლი სახურავს ჩამოანგრევსო.

ავდექი, სასწრაფოდ ჩავიცვი და გავედი გარეთ. თოვლს დაეფარა ყველაფერი. პეტრეს ორი ქურქი ჰქონ-

და, ერთი მე ჩავიცვი, მეორე – მან. ავედით სახურავზე. სასწრაფოდ ჩამოვთოვლეთ. პეტრემ თქვა, ცოლეურების სახურავზე უნდა გადავიდეო. ცოლეურები ანსიანები იყვნენ. იქვე ახლოს ცხოვრობდნენ. ავედით იმათ სახურავზე და დავინყეთ თოვლის ჩამოყრა. ცოტა გვეკონდა დარჩენილი, მოგვადგა ორი ვაჟკაცი, დასაბმარებლად მოვიდნენ, მაგრამ ამოსვლა ვერ მოასწრეს, რომ იქვე მდგარი თხების სადგომი ჩაინგრა. ახლა იქ გადავინაცვლეთ.

დავინყეთ თოვლის გადაყრა. ჩავალწინეთ სახურავამდე. ორი დირე გარდიგარდმო გახიდიულა და სახურავი იმან დააკავა, თხებს არ დაეცათ ბედად. მხოლოდ სამი თხა იყო დაშავებული. არადა, ასზე მეტი თხა ჰყავდათ. გავათავისუფლეთ თხებიც.

რაკი საქმეს მოვრჩით, მასპინძელმა თქვა, სახლში შევიდეთ, აქ საქმე უკვე დავამთავრეთო. შევედით სახლში. სველი ტანსაცმელი გავიხადეთ. დავიბანეთ ხელ-პირი. ჩავიცვით ახალი ტანსაცმელი და მივუსხედით გამზადებულ სუფრას. პეტრე დაჯდა თამადად. გაიმართა ქეიფი. შუა ქეიფში ვიყავით, როცა ოთახში შემოვიდა პეტრეს ცოლისძმა აქსენტი ანსიანი და გადაგვიპატიჟა თავის ოჯახში. აქაც სუფრა დაგვხვდა გაშლილი. ნათლობას აპირებდა ოჯახი.

სამი ვაჟი გაუჩნდა ოჯახში სამ ძმას, ერთის ნათლიად თქვენებური, ლენჯერელი, პორფილე ჯაჯვანი იქნება. ალბათ იცნობო. ძალიან გამიხარდა. ნავედით. არაჩვეულებრივ ოჯახში მოვხვდი. ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცები და ქალები იყვნენ. ოჯახი დულდა და გადმოდულდა. უამრავი სტუმარი ჰყავდათ. არნახული სუფრა გაიშალა. თამადად ერთ-ერთ ნათლიად



დათქმული პორფილე ჯაჯვანი დასვეს. იმის გარდა, რომ კარგად მოყვანილი, საოცრად ვაჟკაცური შესახედაობისა იყო, განათლებული და კარგად მოლაპარაკე პიროვნებაც იყო. ისეთი მოწინებით ეპყრობოდნენ, თითქოს ღმერთი ყოფილიყოს. მეინახენი მაგრად დაათრო. სუფრას როცა ათამდე კაცი შემოვრჩით, თამადა ჩემი ვინაობით დაინტერესდა. ავუხსენი, წვირმელი ვარ-მეთქი. გაეხარდა და შემაქო. ცოტა სასმელი რომ მომეკიდა, გავთამამდი და სხვებთან ერთად მეც ავმღერდი. ამჯერად თანამეინახეთა ქება დავიმსახურე, განსაკუთრებით მანდილოსნებს მოენონათ ჩემი სიმღერა. მეორე დღესაც მაგრად ვიქეიფეთ. მე ვწუხდი, რომ დაღში წასვლა არ შემეძლო. ათი დღე დავყავი პეტრესთან, რომელმაც არნახული მასპინძლობა გამინია (მრავალჯერ გადამიპატიუეს მეზობლებმაც). ერთ დღესაც მასპინძელმა მომიტანა ამბავი, ჩვენებურები მიდიან დაღში, ხუთი კაცი, ჰოდა, იმათთან ერთად წადიო. დიასახლისმა კუბდარები დააცხო – უხვი საგზალი მომიმზადა, ანწლის არაყიც კი ჩამიდგეს ხურჯინში. თხის ტყავის ქალამნები შემიკერა – მსუბუქად ივლი, არც გაიყინებაო. წავედი. მგზავრები ასული იყვნენ ბურნაყაანთ სახლამდე. ცეცხლიც დაენტოთ. მივესალმეთ და გამოვეცნაურეთ ერთმანეთს. ჩემი სადაურობა რომ გაიგეს, დამცინეს – უკან გაბრუნდი, შენი ხელით ტარების თავი არა გვაქვს, ბალსზემოურების უღელტეხილზე სიარული ვის გაუგიაო. სწორედ თქვენი იმედით წამოვედით-მეთქი, ვუპასუხე გაბრაზებულმა. ვინმე ადიშელი ნიკო ქალდანი ახსენეს. ხელით სატარებელი გაგვიხდაო. ამ გზავრებს შორის იყო ხნიერი კაცი, ჩაგი სუბელიანი.



კოშკის ნაშთი სოფლის შუაგულში  
ზემო სვანეთი  
1929 წელი

ის არ დაეთანხმა ახალგაზრდებს, ვაჟკაცები ბალსზე-  
მოურებსაც ჰყავთო. მიპატიჟება არც დასცდენიათ, ან  
რად მინდოდა მათი საგზალი, მაგრამ ის მწყინდა, რომ  
დამამცირეს. სახლი, სადაც ვიდექით, ორსართულიანი  
იყო. მეორე სართული თივით იყო სავსე. ამის შესახებ  
პეტრემ გამაფრთხილა. იქ ადი, კარგად გამოიძინებო.  
მე ავედი მალლა, მოვინყვე საწოლი თივაში, საჭმელი  
ვჭამე, ცოტა არაყი დავლიე, შემოვიხვიე ქურქი და ჩავ-  
ნექი. მშვენივრად გამოვიძინე. მეორე დღეს ჩემი მომა-  
ვალი თანამგზავრები საშინელ დღეში იყვნენ. უღმერ-  
თოდ ციოდა. ამათ შეშაც შემოლევიათ. მე დასვენებუ-  
ლი ავდექი, ვჭამე, ცოტა არაყიც დავლიე. ისე კარგად  
ვიყავი, ფრენა მინდოდა. კარგი ამინდი იყო. თოვლი ორ  
მეტრამდე იყო, არც ტყე ჩანდა, არც ნაგზაური, მაგრამ  
კარგი ის იყო, რომ თოვლის ზედაპირი გაყინული იყო

და თოვლში არ ვეფლობოდი. ჩემი თანამგზავრები წინ წავიდნენ. მე მოშორებით ავედევენე. რაკი თოვლქვეშ ტყე და ბუჩქნარი არ ჩანდა, წინმავალნი არაერთხელ ჩაეფლნენ თოვლში. მე, ცხადია, თავს ვარიდებდი მათ ნაკვალევს და არც ერთხელ არ ჩავფლულვარ თოვლში. როდის-როდის ავალწიეთ უღელტეხილის პიკამდე. წინმავალნი ისე დაილაღნენ, რომ დასასვენებლად როცა დასხდნენ, ადგომის თავი არა ჰქონდათ. მე მშვენივრად ვგრძნობდი თავს. ჩაგი სუბელიანმა თქვა, როგორც ჩანს, უკან დაბრუნება მოგვიხდება, ველარ წავალთო. ახალგაზრდები დაეთანხმნენ, ვერ წავალთო. ახლა სამაგიეროს გადახდის დრო დამიდგა და მეც დავცინე: აკი წუხელ დიდ გულზე იყავით, ასეთი სიარულით მუშურის უღელტეხილზე ვერ გამოდგებით-მეთქი.

ჩემს თანამგზავრებს ბავშვიანი ქალი ახლდათ. მირანგულა ერქვა. მოხუცი ჩაგი სუბელიანის რძალი ყოფილა. მოსალოგინებლად ჭუბერში მამის სახლში ჩამოუყვანიათ. ჩაგი მის საკენში წასაყვანად მოსულა, მაგრამ თოვლის გამო ჩარჩენილა. ახლა მათ აცილებდნენ სეყან ვიბლიანი, მოსე წულუკიანი და ერთიც ჯაჭვლიანი (სახელი აღარ მახსოვს). ჩაგი, ალბათ, ოთხმოცამდე წლისა იქნებოდა, ძალიან კარგი კაცი იყო. მოსე ძლიერი ვაჟკაცი ყოფილა, ბეჭდაუდებელი მოჭიდავე და საიმედო თანამგზავრი, მაგრამ ამჯერად ვერ გაუმართლა. ვაჟკაცობა ახლაა საჭირო-მეთქი, ვუთხარი თანამგზავრებს, თხილამურებს თუ მომცემთ ბავშვს მე წამოვიყვან-მეთქი. ამ თხილამურებს სვანურად თხილმარალ ჰქვია. ოვალური ფორმის რკალებია თოკებით ამოიკრავენ ფეხზე. თოვლში არ ჩაეფლობა კაცი. მომცეს. ჩათბუნებული ჩვილი ყაბალახში გავახ-

ვიე და მხარზე გადავიკიდე. ნავედი წინ მირანგულას-თან ერთად. ისე ჩქარა ნავედით, რომ თანამგზავრებს დიდი მანძილით გავასწარიით. როდის-როდის მივალ-წიეთ ხევს, საიდანაც საკენი გამოჩნდა. რაკი კარგი ამინდი იყო ამ ქალის მეუღლე თურმე ბინოკლით იყურებოდა უღელტეხილისაკენ. უცხო კაცი რომ დაუნახივარ, გაკვირვებია, მაგრამ იმას კი მიმხვდარა, რომ ბავშვი მე მომყავდა.

მირანგულას ქმარს არსენა ერქვა. ჩაგი ამ არსენას უფროსი ძმა იყო – მირანგულას მამა. ჩაგი მირანგულას წასაყვანად ჩამოსულა დალიდან, მაგრამ დიდი თოვლი მოსულა და ჩაკეტილა. ახლა, როცა გამოიდა-რა, მშობლებმა თავის ასულს ნება მისცეს წასულიყო ქმრის სახლში, თან გააყოლეს სამი კარგი ვაჟკაცი. მათი გვარი და სახელი ზემოთაც ვახსენე. ძალიან კარგი ვაჟკაცები იყვნენ სამივე. ლაპარაკი არ უნდა, რომ სხვა დროს საიმედო თანამგზავრები იქნებოდნენ, მაგრამ ამჯერად არ გაუმართლათ. მთელი ღამე უძილოდ ჰქონდათ გატარებული, სასტიკი ყინვა იყო და უკაცრიელ მაჩუბში უცეცხლოდ ღამის გათევა ძალიან ძნელია. ის მიკვირს, რომ ადგილობრივი მკვიდრნი იყვნენ და როგორ არ იცოდნენ, ზედა სართულზე რომ თივა იყო. მე ნაწყენი ვიყავი ცუდი დახვედრით და ამიტომ არაფერი ვუთხარი, არ დავპატიჟე სხვის თივის ზვინზე.

დავუბრუნდეთ გზას. ბავშვი მე მეკავა. მირანგულა ყოჩაღად მომდევდა. სხვები საერთოდ დავკარგეთ მხედველობიდან. დავეშვით უღელტეხილიდან და მალე მივადექით ზემლიანკას. ეს გერმანელების აშენებული იყო, ალბათ. ძალიან კარგად იყო დაცული. გრძელი სკამიც იყო და ლოგინიც იყო კედელზე მიჭედილი.

მე ბავშვი ლოგინზე დავანვინე, ყაბალახი ქვეშაც მოვუტნიე და ზედაც დავაფარე. ცეცხლი ავანთე და ამ დროს მირანგულამაც მოაღწია. დავსვი ცეცხლთან და ვუთხარი, რომ წავალ ამხანაგებთან შესახვედრად-მეთქი, შენ არაფრის დარდი არ გქონდეს-მეთქი. მაღლობა მითხრა, მე აქ რა მიჭირსო სითბოში.

წავედი უკან. დაახლოებით ორი კილომეტრი მქონდა გავლილი, როცა სეყან ვიბლიანი შემხვდა. მითხრა, სხვები უკან მოდიანო. ნუხელ დიდ გულზე იყავით, დღეს რა დაგემართათ-მეთქი – ვუსაყვედურე. ცოტა მანძილის გავლის შემდეგ მოსე და ჯაჭვლიანიც შემხვდნენ. ჩაგი გზაში დაგვრჩა. უხამა უჭმელობამ (ხამს ხაჯიდ). თბილად შევფუთნეთ, არ გაიყინებო. ცუდი ჯვარი გენეროთ-მეთქი (ხოლა ჯვარუ ჯაგხ). წავედი, მალე ჩაგიც ვნახე. საჭმელი და არაყი თან მქონდა. დაუფუჭევი გვერდით. საჭმელი ვაჭამე. თითო ქარახსი არაყიც დავაყოლეთ. ჩაგიმ დალოცვა დამიწყო, შენ გადამარჩინე, ჩემი ღმერთი ხარო. მალე ადგა და საკმაოდ ჩქარა მოვიდა ჯანზე. ჩავედით. სხვებიც მისულიყვნენ უკვე „ზემლიანკამდე“. ცალი ფეხით შემასწრეს. ორთქლი ასდიოდათ, ძლივს სუნთქავდნენ. თურმე ჯანი გაუნყდათ (ხამს ხაჯიდხ), უხამათ უჭმელობამ. თან შემეცოდნენ – ყველანი კარგი ვაჟკაცები იყვნენ, მაგრამ გულის სიღრმეში კმაყოფილიც ვიყავი.

მე ვუთხარი, უნდა წავიდეთ-მეთქი, რომ დაღამებამდე ჩავალნიოთ საკენამდე. ავიყვანე ბავშვი, ჩაგი მე წამომყვა, მირანგულა უკან მოდიოდა. სხვებმა ზემლიანკაში დარჩენა ამჯობინეს – დავისვენებთ და მერე წამოვალთო.

კარგა მანძილი რომ გავიარეთ, მირანგულას ქმარი არსენაც შეგვხვდა.

- აი, არსენა, გახსოვდეს, რომ ამ კაცმა, ომინდე კორძაიამ გადაგვარჩინა მე და შენი ცოლ-შვილი.

არსენა გადამეხვია. თქვა, რომ ყველაფერი თავისი თვალით დაინახა, როგორ წამოვიყვანე ქალი და ბავშვი კარავში, როგორ დავბრუნდი ჩაგის წამოსაყვანად, მთელი გზა მადლობას მიხდიდნენ ჩაგი, მირანგულა და არსენი.

მივალწიეთ საკენამდე. არსენი ამ სოფელში ცხოვრობდა აღმოსავლეთ ნაპირზე. ძალიან კარგი ოჯახი ჰქონდა. 150-ზე მეტი მარტო თბა ჰყავდა ოჯახს. სახლში შესვლისთანავე ჩაგიმ უთხრა ძმას – შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორ პატივსა სცემ ჩვენი ოჯახის გადამრჩენსო. თხების ჯოგში აარჩიეს ყველაზე დიდი და მსუქანი ვაცი. ახალგაზრდებმა სასწრაფოდ დაკლეს საკლავი, ჩადგეს ხორცი მოსახარშად. დაპატიუეს ხალხი და გაიშალა ზღაპრული სუფრა. სხვა თანამგზავრებმაც მოაღწიეს, მაგრამ ისე იყვნენ დაღლილი და გაღაბულნი, რომ სუფრაზე დაჯდომის თავიც არ ჰქონდათ და დანვნი დასასვენებლად. სიმართლე უნდა ითქვას – შეკრებილ ხალხს თითოეულმა უთხრა, რომ მე გადავარჩინე ჩაგი და მირანგულა თავისი შვილით. მე მათი ქება ისე მივიღე, რომ ვითომ არ გავიგონე, გულში კი მესიამოვნა. მთელი ღამე გასტანა ქეიფმა. გათენებისას დაიშალა ხალხი და მეც გამიშალეს ლოგინი. კარგად გამოვიძინე. ისევ ქეიფი, ცეკვა და სიმღერა. დღის მეორე ნახევარზე მასპინძელს ვუთხარი, რომ მინდოდა სოფელ აჯარაში წასვლა, სადაც ბიძა მყავდა და სადაც მიცდიდა ჩემი უმცროსი ძმა იონა. არაფრით

არ გამიშვებს. სამი დღე სულ ქეიფში ვყავდი. მეოთხე დღეს შემსვეს ცხენზე და გამისტუმრეს აჯარაში.

აჯარაში ბევრი ჩვენიანი იყო. ყველას გაუხარდა ჩემი მშვიდობით ჩასვლა. მე და იონა შევეუდექით მუშაობას. დაბარებულიც ამისთვის ვიყავი.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს ბიძია ვასილთან მოვიდა ორი ახალგაზრდა და აცნობეს, რომ გარდაიცვალაო გიორგი პირველი. გიორგი ვასილს ბიძად ეკუთვნოდა. ვასილმა მისი სიკვდილი რომ გაიგო, ტირილი დაიწყო. ბიძია ვასილმა მითხრა, რომ შენც და იონაც უნდა წამომყვეთო გინწვიშში. სოფელ გინწვიშში უცხოვრიათ იფარიდან წასულ სვანებს.

მეორე დღეს წავედით ოჯახის დასახმარებლად. ყველა უფროსმა მამაკაცმა თითოეულად დაიტირა მიცვალებული. მე და იონამ ეს ვერ შევძელით. მარტო მივუსამძიმრეთ ჭირისუფალს. იმავე დღეს საკენიდან გინწვიშში ჩამოვიდნენ ჩაგი, არსენა თავისი მეუღლით. თან ახლდათ თითქმის ყველა თანასოფელი. მე რომ დამინახეს, ისე გაიხარეს, თითქოს ძალიან ახლო ნათესავს შეხვდნენ დიდი ხნის განშორების მერე. საკენიდან მოსულებმაც დაიტირეს გიორგი.

ამასობაში ოჯახმა სუფრა გაშალა. თამადად დასვეს ლევან ჯაჭვლიანი (ბადრიშა), აქვე იყო მისი ძმა ზაქარი. მთელი დალის მოსახლეობა თითქმის მთლიანად აქ იყო. ლევანსა და მის ძმას განსაკუთრებული მოწინებით ეპყრობოდა ყველა. ჩანდა, რომ თავის ხალხში დიდი სახელი ჰქონდათ. ლევანმა ჩაგის დაუძახა და თხოვა მასთან დამჯდარიყო. თურმე თანაშეზრდილები და ძალიან ერთმანეთის მოყვარულნი ყოფილან. ლევანმა გვერდით მოისვა აგრეთვე ჩემი ბიძია ვასილიც.

ლევანმა რომ დაინახა, როგორი შინაური ვიყავი საკენიდან მოსული ხალხისათვის, ჰკითხა ჩაგის – ამ ჩვენს კაცს თქვენ საიდან იცნობთო. ჩაგიმ დაწვრილებით უამბო ჩვენი მგზავრობის ამბავი და ბოლოს თქვა – შენს ბადიშს მირანგულას რომ ჯანმრთელს ხედავ, ეს ამ კაცის, ომინდე კორძაიას დამსახურებააო.

ლევანი ადგა მოვიდა ჩემთან, გადამკოცნა და მითხრა – ბუბას ხალატ (ბიძიას უყვარხარ), ასე სახელიანი იყავი ყოველთვისო. ეს ჩემთვის უდიდესი ჯილდო იყო.

ახალგაზრდას წვრილმანი რამე გულსაც დასწყვეტს და გაუხარებს კიდევაც.

იმ დროს სვანეთში მუდმივი სამუშაო ადგილი თითქმის არავის ჰქონდა. ყველას იქით-აქით სიარული უხდებოდა იმისათვის, რომ თავი გაეტანა და ოჯახი ერჩინა. გამონაკლისი არც მე ვიყავი. ბევრგან ვყოფილვარ, ბევრი ადამიანი მინახავს, ზოგი კარგი, ზოგიც – ცუდი, მაგრამ ჭვიბერელი პეტრე ვიბლიანი, მისი ოჯახი, ნათესავები და გარემოცვა (მიჩა ასაბია) ჩემს მენსიერებაში დარჩა როგორც სიკეთის განსახიერება. დიდთოვლობის გამო მე ამ ოჯახში 11 დღით ჩავიკეტე. რაც მე იქ სიტბო, სიყვარული და პატივისცემა ვნახე, არასოდეს დამავინწყდება, საფლავში ჩამყვება.

ამჟამად მე მღვდელი ვარ. სვანებს ძალიან უყვართ, როცა მათ სასულიერო პირი დალოცავს, ისევე როგორც ძალიან ეშინიათ მის მიერ დაწყევლისა. ხელაპყრობილი ვლოცავ პეტრე ვიბლიანის ოჯახს, მის მოდგმას და შთამომავლობას. ღმერთი იყოს მათი შემწე და მათი მუდმივი მფარველი.



## კომენტარი

1. სვიფ – სოფლის მცხოვრებთა თავშესაყარი ადგილი, სადაც იმართებოდა ბჭობა სოფლისათვის საჭირობოროტო საკითხებზე. სვიფში ისვენებდნენ უქმე დღეებში. მართავდნენ სხვადასხვაგვარ შეჯიბრებებს – ჭიდაობა, საჯილდაო ქვის ანევა, ტყვიის სროლა ნიშანში და ა. შ.  
სვიფი ერთი სოფლის სხვადასხვა უბანში მოსახლე ახალგაზრდობისათვის შეხვედრა-გაცნობის ადგილიც იყო.
2. ბეგარა – გასული საუკუნის 50-იანი წლების თითქმის ბოლომდე სვანები ვალდებული იყვნენ ადგილობრივი სასოფლო საბჭოს მითითებით უფასოდ ემუშავათ გზების გაყვანაზე, ხიდების აშენებაზე, სახელმწიფოსათვის ხის მერქნის დამზადება-ჩაბარებაზე, ადმინისტრაციულ და სხვა საზოგადოებრივ შენობათა აგება-აშენებაზე.  
ვინაიდან სამუშაოს შესრულებაში სახელმწიფო ხალხს არავითარ ანაზღაურებას არ აძლევდა, ამიტომ ამ სახის სამუშაოს მათ ბეგარა შეარქვეს.
3. მუჟვაბირ – მესტიის რაიონი, ანუ ზემო სვანეთი ორ ნაწილად იყოფა – ბალსზემოური და ბალსქვემოური სვანეთი.  
ბალსზემოურელ სვანებს ჟაბარს ან მუჟვაბირს ეძახიან. ბალსქვემოურებს ჩვაბარს ან მუჩაბირს.
4. ეს ეკლესია მე-19 საუკუნის ბოლო წლებში ააშენა სოფელ წვირმის მაცხოვრის სამრევლო ეკლესიის მოძღვარმა თეოფანემ (კორძაია).  
ეკლესიის ასაშენებელი ადგილი შეურჩევია ეპისკოპოს გაბრიელს (ქიქოძეს).  
თეოფანეს ორგზის მოუწყვია თავისებური კალმასობა იმისათვის, რომ მოეპოვებინა ეკლესიის ასაშენებლად საჭირო სახსარი.

ეკლესიის შენობის ერთი პროექტი თბილისიდან ჩაუტანია. პროექტის ავტორი ცნობილი არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი ყოფილა, მაგრამ იგი ვერ გამოუყენებიათ (როგორც ჩანს, პროექტის სირთულის გამო). შემდგომ სხვა პროექტი ქუთაისიდან ჩაუტანიათ და ამ პროექტით აუშენებია გუმბათიანი ეკლესია. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ხალდე აჯანყების მონაწილე, გადასახლებიდან დაბრუნებული მომი ჩეგიანი. წვირმის სამრევლო ეკლესიის მოძღვრად თეოფანეს ორმოცი წელი უმუშავია (1860–1900 წ.წ.).

1900 წლიდან სიკვდილამდე (1911 წ.) იგი თავის აშენებულ ეკლესიაში მოღვაწეობდა, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, მიმონერა ჰქონდა იმ დროს ბევრ ცნობილ პირთან. იყო სვანურ-ქართულ-რუსულ ენაზე შედგენილი სვანური გრამატიკის „ლუმენუ ანბანი“ თანაავტორი.

5. ეს პერიოდი ემთხვევა ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობას სვანეთში.

1910 წლის ზაფხულში, ცნობილი მეცენატის, პავლე თუმანიშვილის დაფინანსებით სვანეთში წასულა ექსპედიცია ექვთიმე თაყაიშვილის, ფოტოგრაფ დიმიტრი ერმაკოვის, არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილისა და თბილისის პირველი გიმნაზიის პედაგოგის, ივანე ნიჟარაძის შემადგენლობით.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებიდან ჩანს, სვანეთში ჩასულთ ექსპედიციის ორი წევრი სიმონ კლდიაშვილი და ივანე ნიჟარაძე ჩამოშორებიათ – სიმონ კლდიაშვილს ისტორიულ ძეგლთა (როგორც საეკლესიო, ასევე სამოქალაქო ნაგებობათა) გაზომვა-შესწავლისათვის მიუყვია ხელი, ხოლო ივანე ნიჟარაძე ადგილობრივი მკვიდრი იყო და, ალბათ, ძირითადად თავის სოფელში უშგულში იმყოფებოდა.

ექვთიმე თაყაიშვილსა და დიმიტრი ერმაკოვს დაუწყიათ ადგილობრივ ეკლესიებში დაცული ხატებისა, ჯვრებისა და სხვა სინმინდეების შესწავლა. დაუვლიათ ზემო სვანეთის თითქმის ყველა სოფელი, უნახავთ ზემო სვანეთის თითქმის ყველა ეკლესია, მათ შორის სოფლების ნაკიფარისა და წვირმის ეკლესიებიც. ექვთიმე თაყაიშვილს აღუწერია ამ ორი სოფლის ეკლესიებში დაცული ხატები, ჯვრები და მას, რატომღაც,

იფარის წმ. გიორგის ეკლესიის მასალებთან გაუერთიანებია არქიმანდრიტ თეოფანეს ეკლესიაში დაცული ძვირფასი ხატებიც.

ექვთიმე თაყაიშვილი არც ადასტურებს და არც უარყოფს იმას, ინახულა თუ არა თეოფანე ბერის მიერ აშენებული ეკლესია. იმას კი ამბობს, რომ „ბერი თეოფანე ჩემი მოგზაურობის დროს კიდევ ცოცხალი იყო, ხოლო სულ დასაპყრებული“ (იხ. ექვთიმე თაყაიშვილი, ემიგრანტული ნაშრომები, გვ. 268).

სოფელ წვირმიდან სოფელ იფარში და პირიქით მოგზაურობის დროს თეოფანე ბერის მიერ აშენებულ ეკლესიას ადამიანი გვერდს ვერ აუვლის, ვინაიდან ზემოთ ნახსენები სოფლები ერთი სამარხილე გზით არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ეს გზა თეოფანეს მიერ აშენებული ეკლესიის ეზოზე გადის. როცა აღწერს თეოფანე ბერის ეკლესიაში დაცულ ხატებს და, რატომღაც ისინი შეაქვს სოფელ ნაკიპარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში დაცულ სინმინდეების ნუსხაში, ექვთიმე თაყაიშვილი ამბობს, რომ ეს ხატები აღწერილი აქვთ ბართლომეის, გრაფინია პრასკოვია უვაროვასა, ალექსანდრე ხახანაშვილის და მეც ამ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული მასალებით ვისარგებლეო. არადა, არც ერთ ზემოთ დასახელებულ პირს ისე დეტალურად არ აქვს აღწერილი თეოფანეს ეკლესიაში დაცული ხატები და ხელნაწერები, როგორც ეს გაკეთებული აქვს ექვთიმე თაყაიშვილს.

ექვს არ ინვეს ის, რომ ამ ნაშრომის დაწერისას ექვთიმე თაყაიშვილს ხელთ ჰქონდა ეს სინმინდეები: „ოქროს ხატი ვედრების ღვთის მშობლისა; ხატი წმინდა ბარბარესი, ნაზი ხელობისა; მაცხოვრის ხატი შემკობილი ფირუზებით“ (ნუსხა ექვთიმე თაყაიშვილისა (ა. კ.). „ემიგრანტული ნაშრომები“ გვ. 275-276).

ჩანს, ექვთიმე თაყაიშვილს ჩაუთვლია, რომ ზემოთ დასახელებული ხატები მის მიერ დაარსებულ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმში“ უფრო საიმედოდ იქნებოდა დაცული, ვიდრე „სულ დასაპყრებული“ ბერის ეკლესიაში. სხვათა შორის, ივან ბართლომეი, პრასკოვია უვაროვა, ალექსანდრე ხახანაშვილი, ალექსანდრ სტაიანოვი და სხვანი თეოფანეს ყველგან არქიმანდრიტად მოიხსენიებენ. ექვთიმე თა-

ყაიშვილი კი დემონსტრაციულად მას ყველგან ბერ თეოფანეს ეძახის (იხ. „დაბრუნება“, ტ. 1, ემიგრანტული ნაშრომები, გვ. 268, 274, 275).

ამას იგი არ აკეთებს შემთხვევით. მას უნდა ხაზი გაუსვას იმას, რომ ბერი, და ისიც დავრდომილი, საუნჯის ვერაფერი შვილი დამცველია, ამიტომ ჯერ არს, ამ ბერის ეკლესიაში დაცულ სინმინდეებს საიმედო ხელი დაეპატრონოს.

მისი სვანეთში მოგზაურობის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ეს ყოფილა: „ექსპედიციის მიზანი იყო... შეგვეკრიბა არქეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული ნივთები და მასალები „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის“ (იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 5-6).

ექსპედიცია წარმატებული და შედეგიანი გამომდგარა. „საკმაოდ ბევრი და ძვირფასი სამუზეუმო ნივთები შევაგროვეთ. ...ჩვენი მუზეუმი გამდიდრდა საყურადღებო ტყავის ხელნაწერებით და საარქეოლოგიო-საეთნოგრაფიო ნივთებით“ – კმაყოფილებით აღნიშნავს ექვთიმე თაყაიშვილი (იქვე, გვ.6) გასაკვირი ექსპედიციის შედეგი!

სვანეთი ოდითგანვე იყო საიმედო დამცველი ჩვენი ეროვნული განძის. ძნელბედობის ჟამს ჩვენი ქვეყანა იქ ინახავდა თავის საუნჯეს. სვანეთიც თვალისჩინივით უფროთხილდებოდა მას, განსაკუთრებით კი – საეკლესიო სინმინდეებს და სასტიკად სჯიდა მის ხელმყოფთ.

ამის არაერთი მაგალითი იცის ჩვენი ერის ისტორიამ.

თუ არა ფარულად და ქურდულად, აშკარად, ჟღაერად ვინ გაბედავდა და შეძლებდა სვანეთის ეკლესიიდან რაიმეს სადმე გატანას.

6. ყარჩა. – მდინარე ყუბანს ადგილობრივნი ყარა ჩაის (შავი წყალი) უწოდებენ. სვანებმა ეს სახელი თავისებურად შეამოკლეს და გამოვიდა ყარჩა.

სვანები ყარჩას ეძახიან არა მარტო იმ დასახლებულ პუნქტებს – სოფლებს, სადაც თვითონ ჩასახლდნენ (უჩკვლანი, კარჯუტი და ხურძუკი), არამედ ყველა დასახლებულ პუნქტს, რომელიც მდინარე ყუბანისა და მისი შენაკადების აუზში მდებარეობს.

## სარჩევი

კოკინაი	5
მკვლელობა უმიზეზოდ	11
შიშზე გაიმბობთ	21
ხუმარა ანტონ ფირცხელიანი	30
საო გაუშა	35
გელაშა ჯუა	38
ფეხმარლების ეკლესია	40
არტენი. გულადობა ვაჟკაცობაა	54
ხარების ამბავი	74
არჩვის თავი	77
გზის მშენებლობა	80
შეხვედრა უღვირში	96
ყარჩა	98
ოთარშა ვარგი	136
დაცინვა, რომელიც არ იწვევს წყენას	137
შალიანის ნაბანი	139
ჭვიბერში	148
კომენტარი	160